www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 23 თებერვალი, 2004 წელი. №44 (593)

ფასი 50 თეთრი

პოლიტიკა

"ახალგაზრდა იურისტთა" ანგარიში

დღეს "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" ოთხი იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების საბოლოო ანგარიშს გამოაქვეყნებს.

A2

ეკონომიკა

საგარეო პოლიტიკა თუ ოჯახური ინტერესები

"გაზეტა.რუ"-ს ცნობით, უკრაინის მინისტრთა კაბინეტი შავი ზღვის ქერჩთან მდებარე შელფის დასამუშავებლად გაცემას აპირებს. უკრაინის გარემოს დაცვის სამინისტროს უკვე აქვს უფლება, ამ რეგიონში ნავთობის დაძიება-მოპოვების სამუშაოებზე ტენდერი გამოაცხადოს.

A4

უცხოეთი

ოსამა ბინ ლადენი ხაფანგში გაება

ბრიტანული გამოცემა "სანდი ექსპრესი", აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოში არსებულ ანონიმ წყაროზე დაყრდნობით იუწყება, რომ ოსამა ბინ ლადენის ზუსტი ადგილსამყოფელი უკვე დადგენილია. "ბინ ლადენი მახეში ვირთხასავით არის გაბმული," - ასეთი სათაურით იწყებს სტატიას "სანდი ექსპრესი."

A5

საზოგადოება

ბიზნესი და ქართველ ქალთა წვრთნა

2003 წლის ოქტომბერ-ნოემბერში თბილისის "კავკასიის ბიზნესის სკოლაში" ჩატარდა "საქმიან ქალთა ლიდერობის პროგრამის" პირველი ციკლი (პროგრამის მეორე ეტაპი ჩატარდება 20 მარტიდან 10 აპრილამდე). 20 თებერვალს სემინარში მონაწილეობის მსურველი ქალბატონების რაოდენობამ ორასს გადააჭარბა, მაგრამ სურვილის ასრულებას მხოლოდ ოცდაათი ქალბატონი შეძლებს.

A6

სამართალი

თბილისში მომხდარი გაუხმაურებელი მკვლელობა საიდუმლოებითაა მოცული

ერთი კვირის წინ, მთაწმინდაზე, შანიძის №-32-ში მცხოვრები დავით გუგუშვილი საკუთარ ბინაში, საკუთარ ოთახში დედამ ცეცხლსასროლი იარაღით მოკლული იპოვა. მომხდარი მკვლელობა დღემდე საიდუმლოებით არის მოცული და ამის შესახებ არავინ საუბრობს.

A7

ამინდი

თბილისი	6
ქუთაისი	11
ბათუმი	9
სოხუმი	10
ფოთი	11
თელავი	2
ზუგდიდი	11
გორი	2
ახმეტა	3
ჭიათურა	7

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.0450
ევრო	2.5859
გირვანქა სტერლ.	3.8552
რუბლი	0.0718

ვარიანტი "ომეგა"

დავით ზურაბიშვილი

იყო ასეთი ტელეფილმი უხილავი ფრონტის მებრძოლებზე, მეორე მსოფლიო ომის თემაზე გადაღებული საბჭოური სერიალებიდან. ფილმის მთავარი გმირი, გერმანელ ოფიცრად გადაცმული რუსი მზვერავი ვერ ახერხებს დავალების შესრულებას, მაგრამ ფარ-ხმალს არ ყრის. იგი მიმართავს სათადარიგო გეგმას კოდური სახელწოდებით "ომეგა". კერძოდ, ისე იქცევა, რომ მასში უტყუარად ამოიცნონ აგენტი და დააპატიმრონ. გერმანელები აიძულებენ მზვერავს, დათანხმდეს თანამშრომლობაზე და როცა ჰგონიათ, რომ გაშიფრული აგენტის ყველა ნაბიჯს აკონტროლებენ, სწორედ მაშინ მიიღებენ გამანადგურებელ დარტყმას. საბოლოოდ კი, ყველაფერი იმით მთავრდება, რომ საბჭოელი აგენტი დავალებასაც შეასრულებს და კიდევ აქეთ დააშანტაჟებს მის მაკონტროლებელ ოფიცერს... ომეგა-ჯგუფის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი ამ ძველი ტელეფილმის სიუჟეტს ჯერ მხოლოდ იმით ეხმაურება, რომ აქაც და იქაც ბერძნული ანბანის უკანასკნელი ასო ფიგურირებს, თუმცა არის ერთი ვარიანტი, რომლის მიხედვითაც სიტუაციის მსგავსება ამ უკანასკნელით, შესაძლოა, არც შემოიფარგლოს. ეს არ ეხება უშუალოდ ომეგა-ჯგუფს. ფირმა "ომეგა" ამ შემთხვევაში მხოლოდ სიმპტომია, გამჭვირვალე მინიშნება იმაზე, თუ რა შეიძლება მოხდეს, თუკი რევოლუციური ხელისუფლება ვერ გააცნობიერებს მოსალოდნელ საფრთხეს. ეს საფრთხე კი საკმაოდ რეალურია და მარტო ხელისუფლებას არ ემუქრება.

გაგრძელება A8 გვერდზე

ჯოხთაბერიძე №5 იზოლატორში გადაიყვანეს

ინტერპრესი

ყოფილი პრეზიდენტის სიძე სასამართლოს უკანა გასასვლელიდან გაიყვანეს.

გუშინ მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე რამდენიმე საათის განმავლობაში ისმოდა სკანდირება – "გია, გია"...
გია ჯოხთაბერიძის სურათებით და სხვადასხვა პლაკატებით აღჭურვილი "მაგთიკომის" თანამშრომლები და ყოფილი პრეზიდენტის ოჯახის ახლობლები ფირმის დამფუძნებლისადმი თანადგომას და სამართალდამცველებისადმი პროტესტს ამ ფორმით გამოხატავდნენ.

თამარ კაციტაძე

"ჩვენ ვითხოვთ ობიექტურ გამოძიებას და უდანაშაულოდ დაპატიმრებული ადამიანის გათავისუფლებას", - ამბობდნენ აქციის მონაწილენი. სასამართლოსთან მისული ედუარდ შევარდნაძის შვილები - მანანა და პაატა შევარდნაძეები კი ჯოხთაბერიძის დაპატიმრებას პოლიტიკურ დევნას უკავშირებდნენ და მომხდარს ყოფილი პრეზიდენტის ოჯახის დისკრედიტაციით ხსნიდნენ.

გენერალური პროკურატურის მიერ გადასახადებისთვის თავის არიდებაში ბრალდებულ, "მაგთიკომის" დამფუძნებელ გია ჯოხთაბერიძეს გუშინ მთაწმინდა-კრწანისის რაიონის სასამართლოში გამომძიებლის შუამდგომლობის საფუძველზე აღმკვეთ ღონისძიებას უფარდებდნენ. როგორც მოგეხსენებათ, ჯოხთაბერიძეს, როგორც ფიზიკურ პირს, გამოძიება ფირმა "ჯიკომის" შესყიდვისას ბიუჯეტისთვის სავალდებულო 12 პროცენტის, ანუ 700 ათასი ლარის გადაუხდელობას ედავება.

ბოლო პერიოდში დაპატიმრებულ თანამდებობის პირებისგან განსხვავებით, ჯოხთაბერიძის წინასწარ პატიმრობაზე მსჯელობა სასამართლოს თავმჯდომარეს მამუკა სონღულაშვილს არ მოუწია. მან ორი დღის წინ შევარდნაძის სიძის აგარაკის ჩხრეკის დადგენილებას მოაწერა ხელი. კანონის თანახმად კი, ერთი და იგივე მოსამართლეს ერთსა და იმავე საქმეზე ორჯერ გადაწყვეტილების გამოტანა ეკრძალება. ამიტომ, ყოფილი პრეზიდენტის ოჯახის წარმომადგენლის ბედის გადაწყვეტა მოსამართლე მებონიას დაევალა.

გაგრძელება A7 გვერდზე

პრობლემების პირისპირ

კულტურის სამინისტრო "შავი არქეოლოგიის" წინააღმდეგ

ახალი ინიციატივა: დააბრუნეთ მოპარული

დიანა ჩაჩუა

უკანონოდ მიღებული შემოსავლების ჩამორთმევის აუცილებლობაზე დღევანდელი ხელისუფლება ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნებამდე საუბრობდა. ამ თემის ერთგვარ ლოგიკურ გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს, ამჟამად უკვე პრეზიდენტის რანგში, სააკაშვილის მიერ გაჟღერებული ინიციატივა, რომ თუ პირი თანხების დამალვის ფაქტს აღიარებს და ბიუჯეტში შეიტანს, მის მიმართ სისხლის სამართლის დევნა არ გატარდება.

ინიციატივის თანახმად, შეიქმნება კანონპროექტი, რომელიც შემდეგ პარლამენტმა უნდა განიხილოს. კანონპროექტზე ამჟამად ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროები მუშაობენ. ფინანსთა სამინისტროში ამ საკითხს კოორდინაციას მინისტრის მოადგილე ნოდარ ხადური უწევს, რომლის განცხადებითაც, კანონპროექტის "ხერხემალზე" მუშაობა თითქმის დასრულებულია და მხოლოდ იურიდიული მექანიზმების შეთანხმება დარჩა, რათა კანონპროექტი საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოვიდეს.

გაგრძელება A2 გვერდზე

ამერიკული ცდუნება ყოფილი პრეზიდენტის სიძისთვის

მაია ურუშაძე

ვინ არის "მეტრომედია"

"მეტრომედია" ამერიკული სატელეკომუნიკაციო კომპანიაა, რომლის საქმიანობამაც 80-90-იან წლებში პოსტსაბჭოური სივრცისა და აღმოსავლეთ ევროპის საკომუნიკაციო ბაზრის დიდი ნაწილი მოიცვა. თავისი არსებობის ყველაზე წარმატებულ პერიოდში ის, საქართველოს გარდა, წილებს ფლობდა უკრაინაში, რუსეთში, ლიტვაში, ლატვიაში, ესტონეთში, ბელარუსში, მოლდოვაში, უნგრეთში, რუმინეთში, ჩეხეთში, ყირგიზეთში, ჩინეთში, ყაზახეთსა და უზბეკეთში.

კომპანია ყველა ქვეყანაში ერთი სცენარით მოქმედებდა. მისი მიზანი მარტივი იყო: ის განვითარებად სახელმწიფოებში ადგილობრივ ხელისუფლებასთან სხვადასხვა სახის გარიგებების საფუძველზე შედიოდა და, ამავე ხელისუფლების მხარდაჭერით, ბაზარზე ერთპიროვნული ლიდერი ხდებოდა. მოქმედების სქემის მიხედვით, "მეტრომედია"-ს პარტნიორები (პირდაპირ ან ირიბად) ადგილობრივი ხელისუფლების მაღალჩინოსნები ან მათი ოჯახის წევრები ხდებოდნენ, რის შედეგადაც "მეტრომედია"-ს მონაწილეობით შექმნილი კომპანიები ადვილად იღებდნენ ლიცენზიებს. მათ ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობაც, აგრეთვე, გარანტირებული ჰქონდათ. შემდეგ, "მეტრომედია" თავისივე კომპანიებს აძლევდა კრედიტს, რომლის ოდენობაც, როგორც წესი, ბევრად აღემატებოდა თავად "მეტრომედია"-სა და მისი ადგილობრივი პარტნიორების ერთობლივ შენატანს ამ კომპანიების საწესდებო კაპიტალში. პროცენტი პროცენტს ერიცხებოდა, ვალი წლობით იფარებოდა და "მეტრომედიაც" შემოსავალს მანამდე ბევრად უფრო ადრე იღებდა, ვიდრე დივიდენდების განაწილება დაიწყებოდა.

გაგრძელება A4 გვერდზე

ემუქრება თუ არა თელავის გამგებელს ციხე?

პარადოქსია, მაგარამ ფაქტია: სანამ რეგიონის პროკურატურა მედეა მეზვრიშვილის მიმართ აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს, შესაძლოა უფრო ადრე იგივე სიტუაციაში აღმოჩნდეს თელავის "დემოკრატი" გამგებელი გელა კირვალიძე. მასალების მოკვლევას აწარმოებს რაიონის პროკურატურა, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის და თავისუფლების ინსტიტუტის მიერ მოძიებული დოკუმენტაციის საფუძველზე. საქმე ეხება ს.ს. "ჭიჭნაურის" ძაფსახვევი ფაბრიკის ხელოვნურად გაკოტრებას და თანხების არამიზნობრივად გაფლანგვას.

ზვიად რუძე
კახეთიდან

კახეთში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები იმ ჩინოვნიკების საქმიანობით ინტერესდებიან, რომლებიც ვარდების რევოლუციის წყალობით ამ მთავრობაში მოგვევლინნენ. მათი პირველი სამიზნე თელავის გამგებელი გელა კირვალიძე ხდება, რომელიც ერთ დროს მედეა მეზვრიშვილის და "მოქალაქეთა კავშირის" გუნდრუკის მკმეველი იყო. იგი "ახალგაზრდა იურისტებმა" და "თავისუფლების ინსტიტუტმა" თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში ამხილეს. მას ბრალად ედება სააქციო საზოგადოება "ჭიჭნაურის" ძაფსახვევი ფაბრიკისთვის გამოყოფილი კრედიტის გაფლანგვა და ქონების ჩალის ფასად გაყიდვა.

გაგრძელება A2 გვერდზე

"ფოთი განსაკუთრებული ქალაქი უნდა იყოს"

მოსახლეობა – 50 ათასი, ფართობი – 14 კვადრატული კილომეტრი, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა – სავალალო; ასე შეიძლება მოკლედ დახასიათდეს დღეს ქალაქი ფოთი, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს აყვავების რეალურ იმედებს იძლეოდა. რომან მელია - ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში, ამას ქალაქის ძირითადი დანიშნულების უგულებელყოფით ხსნის.

მაკა ჭაიანი

- ფოთი ახლა უძლიერესი ქალაქი უნდა იყოს, თუმცა მთელ შავიზღვისპირეთში, უფრო შორს არ წავალ, ვერსად იპოვით ასეთ დაბალგანვითარებულ და ჩამორჩენილ საპორტო ქალაქს. ნახეთ ეისკი, ქერჩი, ტუაფსე – პატარა სანავსადგურე ქალაქები, აღარაფერს ვამბობ ოდესასა და ილიჩოვსკზე. ფოთში არ არსებობს საკითხი, რომელიც გადაწყვეტილი იყოს. კარგი, შუქი ყველაგან პრობლემაა, მაგრამ ფოთში საერთოდ არ არის – ნავსადგურს აქვს; წყალი არ არის - ნავსადგურს აქვს; გზები – 1991 წელს ჩემპიონატი რომ არ ჩაგვეტარებინა, ახლა, ალბათ, ურმითაც ვერ გაივლიდი; საავადმყოფოში, დიდი-დიდი ერთი ნემსი გაგიკეთონ, სხვა საშუალება არა აქვთ, ექოსკოპიც კი არ არის ქალაქში; განათლების სფერო ნულამდეა დასული... –

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 მოულოდნელი რაკურსი

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5-B7 "საოჯახო ტოტო" B8 სხვადასხვა

ახალი ინიციატივა: დააბრუნეთ მოპარული

პირველი გვერდიდან

"ვფიქრობ, ორ-სამ დღეში კანონპროექტი მზად იქნება," – აცხადებს ხადური.

ეკონომიური ექსპერტები პრეზიდენტის ინიციატივას არაერთგვაროვნად აფასებენ. მაგალითად, რომან გოცირიძე ინიციატივას იზიარებს და აცხადებს, რომ მანამდე, სანამ კანონპროექტი კანონად იქცევა, ის მაქსიმალურად უნდა დაიხვეწოს. **"პროექტს სერიოზული მომზადება სჭირდება. მარტო გადაუხდელ გადასახადებს ის არ უნდა ეხებოდეს. იგი უნდა მოიცავდეს პირის არა მარტო ფინანსურ, არამედ ქონებრივ მხარესაც. ჩემი აზრით, ეს კანონპროექტი ძალაში მომავალ საგადასახადო კოდექსთან ერთად უნდა შევიდეს. ასევე, აუცილებელია ფულისა და ქონების დეკლარირების და ქონების შეფასების ახალი სისტემების შექმნა. უნდა დაწესდეს ზომიერი გადასახადები, რაც ქონებისა და სხვა ფინანსური აქტივების ლეგალიზებისთვის აუცილებელია. ყოველივე ამის შემდეგ კი, ერთხელ და სამუდამოდ, უნდა დამთავრდეს ძველი ქონების რევიზია და შეწყდეს სისხლის სამართლის დევნა,"** – განუცხადა გოცირიძემ "24 საათს".

ამ ინიციატივას იზიარებს ექსპერტი რეზო შავიშვილიც და აცხადებს, რომ [illegible] სამართლის დევნისგან [illegible] **"თუ ადამიანი აღიარებს დანაშაულს და გადაიხდის, რაც დამალული ჰქონდა, ვფიქრობ, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან უნდა გათავისუფლდეს,"** – განაცხადა მან.

შპს "მარტინ ბაუერის" გენერალური დირექტორი კოკი ცეცხლაძე მიიჩნევს, რომ პრეზიდენტის ახალი ინიციატივა მისაღებია, მაგრამ მისი განხორციელების მექანიზმი კარგად უნდა დამუშავდეს. მისი აზრით, "საკუთარი ნებით ჩაბარებულთა" დეკლარაციის შედგენაში, მეწარმესთან ერთად, ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტიც უნდა მონაწილეობდეს. მაგრამ, ცეცხლაძე არ ეთანხმება დამალული გადასახადების იმ ზღვარს, საიდანაც იწყება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა: **"2000 ლარი ისეთი უმნიშვნელო თანხაა, რომ, ამ ოდენობის გარღვევა შეიძლება ყველა მეწარმეს ჰქონდეს."**

როგორც პარლამენტარმა ვახტანგ ხმალაძემ განაცხადა, ამ კანონპროექტის ნაჩქარევად მიღება დადებით შედეგს ვერ გამოიღებს, **"საკანონმდებლო დოკუმენტებში დაწვრილებით უნდა იყოს აღწერილი, რა ტიპის გადასახადის დამმალავ ფირმებს შეეხება იგი,"** – განაცახადა ხმალაძემ. მისი თქმით, არ იქნება სამართლიანი, თუ ეს არ შეეხება იმ ფირმებს, რომელთა ხელმძღვანელების მიმართ სისხლის სამართლის საქმე უკვე აღძრულია გადასახადების დამალვის გამო.

ინიციატივას კომენტარი ბიზნესმენმა თემურ ჭყონიამაც გაუკეთა. **"ბიზნესმენს ხუთი წლის განმავლობაში დამალული გადასახადების გადახდა ერთ დღეში მოსთხოვო, ესეც სასჯელია,"** – განაცხადა მან. მისი თქმით, ბიზნესმენები გადასახადს კი არ მალავდნენ, შემოსავლების დამალვისთვის ქრთამს უხდიდნენ თანამდებობის პირებს, დღეს კი ამ ქრთამის უკან დაბრუნების საშუალება აღარ აქვთ, ვინაიდან ქრთამის ამღები პირები თანამდებობებზე აღარ არიან. ჭყონიასთვის საგულისხმოა ისიც, თუ როგორ მოხდება დამალული შემოსავლების დეკლარირება. **"თუ ბიზნესმენის სიტყვას ენდობიან და მის მიერ დეკლარირებულს გადაახდევინებენ, შედეგს უფრო სწრაფად მიიღებენ. ხოლო, თუ ხელისუფლებამ გადამოწმება დაიწყო, მაშინ ეს პროცესი გაჭიანურდება და ამას წლები დასჭირდება",** — მიიჩნევს ის.

დანაღმული ტერიტორიები მოსახლეობას დღითიდღე საფრთხეს უქმნის

იანვარ-თებერვალში, მხოლოდ საგარეჯოს რაიონში არსებული ნაღმების აფეთქების შედეგად, 10 ადამიანი დაშავდა. საქართველოს ანტინაღმური მოძრაობის ხელმძღვანელის ალექსანდრე რუსეცკის ცნობით, ანტინაღმურმა მოძრაობამ და ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის საერთაშორისო კამპანიის საქართველოს კომიტეტმა სულ ახლახან დაასრულეს კახეთის რეგიონში დანაღმული ტერიტორიების მონიტორინგი.

სამუშაოები თელავის, საგარეჯოს, დედოფლისწყაროს, ლაგოდეხის, ახმეტის რაიონებში და პანკისის ხეობაში არსებულ საბჭოთა კავშირის ყოფილი სამხედრო ბაზების ტერიტორიაზე ჩატარდა და მდგომარეობა ყველგან საგანგაშო აღმოჩნდა.

რუსეცკის თქმით, სამხედრო ბაზების დიდი ნაწილი, პრაქტიკულად, არც ერთი უწყების ბალანსზე არ ირიცხება, ანუ მათ პატრონი არ ჰყავთ. ამ ბაზების ტერიტორიებზე თავისუფლად შედის ადგილობრივი მოსახლეობა, მაგალითად, ჯართის მოსაპოვებლად; აქვე აძოვებს საქონელს. მიუხედავად გახშირებული ტრაგიკული ფაქტებისა, მოსახლეობა დანაღმულ ტერიტორიებზე ისევ აგრძელებს ჯართის მოგროვებას და საქონლის მწყემსვას.

ალექსანდრე რუსეცკის შეფასებით, საბჭოთა კავშირის ყოფილ სამხედრო ბაზებზე მდგომარეობა სავალალოა, მით უმეტეს, რომ სამთავრობო სტრუქტურები ამ პრობლემის გადასაჭრელად არავითარ ზომებს არ მიმართავენ. სამხედრო ობიექტები თითქმის დაუცველია, განნაღმვის სამუშაოები შეჩერებულია.

ანტინაღმურ მოძრაობას აღრიცხვაზე 400-მდე დაზარალებული ჰყავს, რომლებიც ნაღმის აფეთქების შედეგად დაშავდნენ, თუმცა რეალურად მათი რიცხვი ათასობითაა. საქმე ის არის, რომ სამედიცინო დაწესებულებებში ნაღმის აფეთქების შედეგად დაჭრილები ან დაღუპულები აღირიცხება, როგორც უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებულები, ანუ, ინფორმაცია იმალება. ანტინაღმური მოძრაობა ქვეყნის ხელისუფლებისგან დანაღმული ტერიტორიებისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას და განნაღმვის სამუშაოების დასაფინანსებლად თანხების გამოყოფას მოითხოვს.

მხოლოდ საგარეჯოს ბაზის ტერიტორიაზე 105 ჰექტარია დანაღმული და მისი განნაღმვისთვის 1,5-2 წელიწადია საჭირო.

დღემდე დაფინანსება, ძირითადად, აფხაზეთის ტერიტორიების განნაღმვაზე მიდიოდა, თუმცა, როგორ იხარჯებოდა ეს თანხები, არავინ იცის. საქართველოს სხვა რაიონებში არანაკლებ საგანგაშო მდგომარეობაა, რაც ათასობით ადამიანის სიცოცხლეს სერიოზულ საფრთხეს უქმნის. თუ ქვეყნის ხელისუფლება ანტინაღმური მოძრაობის მოთხოვნას უპასუხოდ დატოვებს, იგი ამ ფაქტს საერთაშორისო რეზონანსს მისცემს.

მედია-ნიუსი

"ყველას დავიჭერთ, ვინც კანონს არღვევს,"

ქვემო ქართლის მხარის პროკურატურამ ორი თვის მანძილზე სისხლის სამართლის 79 საქმის აღძვრა მოასწრო. როგორც მხარის ახალი პროკურორი მამუკა ცაავა აცხადებს, ამ პოსტზე მისი დანიშვნის პერიოდში პროკურატურას წარმოებაში სისხლის სამართლის მხოლოდ რვა საქმე ჰქონდა. ამჟამად, ქვემო ქართლის პროკურატურაში სხვადასხვა სფეროში მომუშავე ჩინოვნიკების კორუფციულ ქმედებებში მონაწილეობისათვის 30-მდე საქმეა აღძრული, თუმცა დაკავებულთა რიცხვი მცირეა.

მხარის პროკურატურას დღემდე კორუფციაში ბრალდებული მხოლოდ ოთხი ადამიანი ჰყავს დაჭერილი - სოფელ ხაიშის გამგებელი და მისი ერთი თანამოაზრე, მარნეულის ტექბიუროს ხელმძღვანელი და ნაზარლოს სამხედრო კომისარი. ცაავას მტკიცებით, მალე მისი თანამშრომლები მსხვილ მოხელეებზეც გავლენ. "ყველას დავიჭერთ, ვინც კანონს არღვევს," - აცხადებს მხარის პროკურორი.

24 საათი

"ფოთი განსაკუთრებული ქალაქი უნდა იყოს"

პირველი გვერდიდან

რომან მელია.

და ეს ისეთი შესაძლებლობების მქონე ქალაქში, როგორიც ფოთია. ფაქტობრივად, მკვდარია იქაურობა. იმის გამო, რომ მასთან მიმართებაში ჯერაც ისეთივე დამოკიდებულებაა, როგორიც კომუნისტების დროს იყო.

- რას გულისხმობთ?

- კომუნისტური მმართველობის პერიოდში ქალაქი ორად გაიყო. ნავსადგური საკავშირო დაქვემდებარების ობიექტი გახდა - მოსკოვმა წაიღო, ქალაქი დარჩა ცალკე. მოსკოვი ნავსადგურს ავითარებდა იმდენად, რამდენადაც სჭირდებოდა; ქალაქი და მისი ინფრასტრუქტურა კი არ აინტერესებდა. ფოთი ვითარდებოდა იმის მიხედვით, თუ როგორი პირველი მდივანი მივიდოდა სათავეში. ამიტომაც ხელოვნურად წამოიწია ისეთი დარგები, რომელსაც ქალაქის დანიშნულებასთან არავითარი საერთო არ ჰქონდა – აშენდა ელექტრო-მაგნიტური გამაძლიერებლების ქარხანა, ქარხანა "ელექტროაპარატურა", სამკერვალო ფაბრიკები, ჩაის ფაბრიკა, გემმშენებელი ქარხანა, რომლითაც ვამაყობდით, თითქოს, ძალიან მაღალი დონისა იყო, თუმცა ქალაქს გემსარემონტო ქარხანა უფრო სჭირდებოდა. ყველაფერი ეს იმისთვის გაკეთდა, რომ უმუშევრად დარჩენილი ხალხი დაესაქმებინათ - ნაცვლად იმისა, რომ დეპოების სისტემა აემოქმედებინათ. არადა, უამრავი სარკინიგზო სამუშაო აქვს ზღვისპირა ქალაქს - სასაწყობო მეურნეობები, ავტოგზების დამუშავება, საერთოდ, ყველაფერი, რაც ბუნებრივი და აუცილებელია საპორტო ქალაქისთვის. ეს რომ შეცდომა იყო, ამას ისიც ადასტურებს, დამოუკიდებლობის შემდეგ ამ ფაბრიკა-ქარხნებიდან თავი ვერც ერთმა რომ ვერ შეინარჩუნა.

როდესაც ფოთის მერად დავინიშნე, რადგან ქალაქის მართვის გამოცდილება არ მქონდა, შემოვიკრიბე ისეთი ხალხი, რომელიც ამ საქმეში ერკვეოდა: მარტვილის ყოფილი პირველი მდივანი, ცნობილი პიროვნება, მეცნიერი, ირაკლი მოწერელია; ცნობილი არქიტექტორი, ცხონებული შოთა ყავლაშვილი; ბატონი დათო იაკობიძე - საქართველოს ერთ-ერთი ძლიერი ფინანსთა მინისტრი; გურამ დოლბაია, რომელიც დღეს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსია. დავიწყეთ მსჯელობა იმაზე, თუ რა ადგილი უნდა ჰქონოდა ფოთს დამოუკიდებელი საქართველოს ცხოვრებაში. საბოლოოდ მივედით დასკვნამდე, რომ ნიკო ნიკოლაძის კონცეფცია საუკეთესოა – ეს ქალაქი უნდა განვითარდეს, როგორც ევრაზიის დერეფნის სატრანსპორტო კვანძი, ქალაქი-ნავსადგური.

- ფოთი დღესაც ქალაქი-ნავსადგურია...

- ფაქტობრივად, ნავსადგური ქალაქისთვის არ არსებობს. ნავსადგურის დღევანდელი ხელმძღვანელი კარგი პიროვნებაა, მისი საწინააღმდეგო მე არაფერი მაქვს. საკითხისადმი ცენტრალური ხელისუფლების დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს. ფოთს უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული სტატუსი. თავისი მნიშვნელობის გამო, მეფის რუსეთმა მისცა მას ასეთი სტატუსი - უფლება მისცა, აერჩია ხმოსნები, ქალაქის თავი. ნიკო ნიკოლაძე ქალაქს 16 წელი მართავდა და ფოთმა არნახულ წარმატებას მიაღწია: 1700-დან 24 ათასამდე ავიდა მოსახლეობის რაოდენობა, ბიძგი მიეცა არა მარტო კონკრეტული მხარის, არამედ საქართველოს ეკონომიკის განვითარებასაც. ამ დასკვნამდე მივედით ჩვენც და ვთქვით, რომ ქალაქმა მისი პირვანდელი დანიშნულების მიხედვით უნდა იცხოვროს – ნავსადგური ქალაქის ცხოვრებას ორგანულად უნდა შეერწყას; თავისი სატრანსპორტო საშუალებებით, ტერმინალებით, სასაწყობო მეურნეობებით ჩაერთოს მის ინფრასტრუქტურაში და ა.შ.

- ფოთის განსაკუთრებულ სტატუსში რა მოიაზრება?

- შეიძლება ეს იყოს ფედერალური ქალაქი ან - სხვა განსაკუთრებული სტატუსის მქონე. მე ჩემს თანაგუნდელებთან ერთად პარლამენტში მოვიდვარ იმისთვის, რომ ფოთთან დაკავშირებით განსაკუთრებული კანონი იქნას მიღებული. ბატონ მიხეილ სააკაშვილს, ზურაბ ჟვანიას, ასევე, მიაჩნიათ, რომ ფოთის საკითხი გადასახედია - არ შეიძლება იგი მოწყვეტილი იყოს ნავსადგურს. მე არ ვამბობ, რომ ქალაქი ერთპიროვნულად უნდა მართავდეს ნავსადგურს, მაგრამ ცენტრალური ხელისუფლების მიერ მისი განვითარება ნავსადგურთან მთლიანობაში უნდა მოიაზრებოდეს. საქართველოს წინა ხელისუფლება ამას ხელს არაფრით უწყობდა - პირიქით, კლანური ინტერესებით მართავდა ნავსადგურს, რამაც მარტო ქალაქი კი არა, მთელი სახელმწიფო აზარალა. დარწმუნებული ვარ, ახალი ხელისუფლება ამ მდგომარეობას გამოასწორებს. ქალაქს უნდა მიეცეს საშუალება, თავად აირჩიოს ხელმძღვანელობა. ახალმა პრეზიდენტმა თქვა კიდეც, რომ მომავალი წლიდან ყველა ქალაქში მერის პირდაპირი არჩევნები იქნება. იმედი მაქვს, ფოთს ექნება რეალური შესაძლებლობა, ჰქონდეს საკუთარი დაფინანსება და თავად მიხედოს საკუთარ პრობლემებს. მე მჯერა ახალი გუნდის, მისი ხედვის იმედი მაქვს. შესაბამისად, ვიმედოვნებ, რომ ძალიან მალე ფოთი ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს.

გუბერნატორი უვიცი პოლიციელების წინააღმდეგ

ქვემო ქართლის ახალი გუბერნატორი სოსო მაზმიშვილი სამართალდამცველებისგან რეგიონში კრიმინოგენული სიტუაციის გამოსწორებას მოითხოვს.

როგორც მაზმიშვილმა სამხარეო ადმინისტრაციაში რეგიონის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, ძალოვნებმა ქვემო ქართლში კრიმინოგენული ვითარების გამოსასწორებლად ყველა ღონე უნდა იხმარონ.

გუბერნატორის თქმით, პირადად მას არ აქვს სურვილი, რომ ქუჩებში დაცვის თანხლებით დადიოდეს.

"ქალაქსა და რაიონებში ისეთი ვითარება უნდა შეიქმნას, რომ ადამიანებს უშიშრად შეეძლოთ გამოსვლა", - აცხადებს გუბერნატორი.

ამასთან, გუბერნატორმა პოლიციის ხელმძღვანელ პირებს თავიანთი განყოფილებების არაკეთილსინდისიერი თანამშრომლებისაგან გაწმენდა მოსთხოვა. მისი თქმით, პოლიციაში ქუჩური მენტალიტეტის თანამშრომლები არ უნდა მუშაობდნენ.

"ბოლო უნდა მოეღოს იმ დროს, როცა თანამდებობებზე ისეთი პოლიციელები ინიშნებოდნენ, რომლებსაც სისხლის სამართლის კოდექსიც კი არ ჰქონდათ წაკითხული და მხოლოდ ის იცოდნენ, როგორ გაერჩიათ ვინმესთვის საქმე, მანქანაში ჩაეტენათ და განყოფილებაში მიეყვანათ", - ასეთია გუბერნატორის პოზიცია.

ინტერ-პრესი

ემუქრება თუ არა თელავის გამგებელს ციხე?

პირველი გვერდიდან

უნდა აღინიშნოს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა მასალების მოკვლევა იმ პენსიონერების მიერ მიწოდებული ინფორმაციების მიხედვით მოახერხეს, რომლებმაც ფაბრიკაში მუშაობის დროს პროფესიული დაავადებები მიიღეს. ფაბრიკა მათ 2002 წლამდე კომპენსაციის სახით დამატებით პენსიებს აძლევდა. უკვე მეორე წელია, მათ ეს შემწეობა არ მიუღიათ. სანამ ამ ფაქტთან დაკავშირებით საქმეში არასამთავრობო ორგანიზაციები ჩაერთვებოდნენ, დაზარალებულმა პენსიონრებმა დახმარებისთვის კახეთის ახალ გუბერნატორს თამაზ ხიდაშელს მიმართეს. მან კი რეაგირებისთვის განცხადება სწორედ იმ ადამიანს გადასცა, ვისაც პენსიონრები უჩიოდნენ.

"ჩვენ ვენდეთ ხიდაშელს, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ იგი დაგვხმარებოდა, ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ჯერ იყო და ერთი კვირა თავის კაბინეტთან დარაჯებად დაგვაყენა, შემდეგ იქით ვალი დაგვადო და გვითხრა, თუ წნევამ დამარტყა, თქვენი ბრალი იქნებაო. ერთი კვირის შემდეგ მისულთ, ყურებს არ დავუჯერეთ, როცა გვითხრა, თქვენი განცხადება განსახილველად კირვალიძეს გადავეცითო. კირვალიძემ კი იცი, რა გვითხრა, ეხლა სადაც გინდა იქ იჩივლეთ, ეგ თქვენი განცხადება მე მაქვს და ფეხებსც ვერ მომჭამთო," (სტილი დაცულია) - გვითხრა ფაბრიკის ყოფილმა თანამშრომელმა ნათელა ჭიჭიაშვილმა.

უნდა აღინიშნოს, რომ თელავის ძაფსახვევი ფაბრიკა 1994 წლიდან სააქციო საზოგადოებად გადაკეთდა. თანხების არამიზნობრივად გახარჯვა კი აქ 1999 წლიდან დაიწყო. ეს ის პერიოდია, როცა "ჭიჭნაურის" ანგარიშზე, რეკონსტრუქციის მიზნით, პრეზიდენტის ფონდიდან 300 ათას ლარი გადაირიცხა, წლიური 10 პროცენტიანი დარიცხვით. საწარმომ მუშაობა ამავე წლის ივლისის ბოლოს დაიწყო, ოქტომბერში კი გაჩერდა. ამ დროს ქარხნის აღმასრულებელი დირექტორი სწორედ გელა კირვალიძე იყო. ფაბრიკის გაჩერებას ქარხნის იმდროინდელი ხელმძღვანელები იმით ხსნიან, რომ მაშინ აბრეშუმის ფასი მსოფლიოს ბაზარზე საგრძნობლად დაეცა. ერთ მიზეზად იმასაც ასახელებდნენ, რომ თანხა პრეზიდენტის ფონდიდან ეტაპობრივად ირიცხებოდა.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ადვოკატი ალექსანდრე შოშიკელაშვილი ამ ფაქტს სხვა მიმართულებას აძლევს: **"მე ვფიქრობ, რომ თანხების ეტაპობრივად გადარიცხვა "ჭიჭნაურის" ანგარიშზე წინასწარ იყო გათვლილი, რადგან ის პროცედურები, რომლებიც სააქციო საზოგდოებასთან არის დაკავშირებული, დამალულია თვით აქციონერებისთვისაც. უფრო მეტიც, არის სათანადო დოკუმეტაცია, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ 300 ათასი ლარიც უკვალოდ არის გამქრალი. სწორედ აქ უნდა ჩაეძიოს პროკურატურა."**

ფაბრიკაში კი მას შემდეგ დამძიმდა მდგომარეობა, როცა ქარხანას პროცენტული ვალის გასტუმრება უნდა დაეწყო. კახეთში "თავისუფლების ინსტიტუტის" ომბუდსმენის გიორგი გოცირიძის განმარტებით, საწარმო სწორედ ამ ვალის შემდეგ გაკოტრდა: **"პრეზიდენტის ფონდის გარდა, "ჭიჭნაურს" პროცენტული ვალი "საქართველოს ბანკის" მიმართაც ჰქონდა, თანამშრომლებზე და ფაბრიკის კმაყოფაზე მყოფ პენსიონრებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მარტო ფონდის დავალიანებამ 503 ათას 200 ლარი შეადგინა,"** - ამბობს გოცირიძე. ვალების გამო ძაფსახვევ ფაბრიკას ყადაღა დაედო. საწარმო და ტექნიკა-აპარატურის ნაწილი ჩალის ფასად გაიყიდა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ქონების გაყიდვა აუქციონის წესით ხდებოდა, მყიდველები კი ერთი და იგივე პიროვნებები იყვნენ. ეს პიროვნებები კი, როგორც "24 საათს" სანდო წყარომ განუცხადა, თელავის გამგებლის ოჯახის წევრები - შვილები არიან. ასე მაგალითად, 2002 წლის 15 ივლისს და 27 აგვისტოს მოქალაქეებმა გიორგი და ლევან კირვალიძეებმა აუქციონზე შეიძინეს ძაფსახვევი ფაბრიკის ქონება, სულ 10 040 ლარის.

ყოველივე ეს არასამთავრობო ორგანიზაციებს აფიქრებინებს, რომ ადგილი აქვს საწარმოს ხელოვნურად გაკოტრებას. **"ამავე დროს, კირვალიძე თავისი ახლობლების მეშვეობით ცდილობს, ჩალის ფასად თვითონვე შეიძინოს დარჩენილი ქონება, რათა შემდეგ მის ბაზაზე დააფუძნოს ახალი ორგანიზაცია. დღეს კი საწარმოში დარჩენილი ტექნიკა-დანადგარები უკვე ჯართის სახით იყიდება. ამ ყველაფრის უკანაც თელავის გამგებელი გელა კირვალიძე დგას,"** - ირწმუნებიან ახალგაზრდა იურისტები.

უნდა აღინიშნოს, რომ გელა კირვალიძე 1999 წლამდე ფაბრიკის აღმასრულებელი დირექტორი იყო, თელავის საკრებულოს თავმჯდომარედ დანიშვნის შემდეგ კი, მან ესტაფეტა ცისანა თოთლაძეს გადულოცა, თუმცა დაწინაურებამ მას ფაბრიკაში უფლებები არ შეუზღუდა. იგი (უფრო სწორად, ოფიციალურად მისი მეუღლე) აქციების 95 პროცენტის მფლობელია. იმ ქონების ღირებულება, რომელიც ამჟამად სააქციო საზოგადოება "ჭიჭნაურშია" დარჩენილი, რამდენიმე ათას ლარსღა შეადგენს.

არიან თუ არა ამ საქმეში რაიონის სხვა ჩინოვნიკები გარეულნი, ამის შესახებ გამოძიება არაფერს ამბობს. თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაციები არ გამორიცხავენ, რომ კვალი ბოლოს თელავის ექს-გამგებლამდე მედეა მეზვრიშვილამდეც მივიდეს.

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ხუთდღიანი სამუშაო ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები აშშ-ს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან, სახელმწიფო მდივან კოლინ პაუელთან, ბუშის მრჩეველთან ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში კონდოლიზა რაიზთან, ასევე, აშშ-ს სენატისა და კონგრესის წარმომადგენლებთან, მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის ხელმძღვანელებთან. ქართული დელეგაცია თბილისში 27 თებერვალს დაბრუნდება.

პრაიმ-ნიუსი

ბათუმში "ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის" ოფისი დაწვეს

დაუდგენელმა პირებმა ბათუმში "ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის" ოფისი დაწვეს, ხოლო პარტიის ბათუმის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ავთანდილ დარჩია სასტიკად სცემეს. იგი სხეულის დაზიანებებით საავადმყოფოში მოათავსეს.

როგორც საგანგებო პრესკონფერენციაზე მოძრაობა "ჩვენი აჭარას" ერთ-ერთმა ლიდერმა კობა ხაბაზმა განაცხადა, ოფისის გადაწვა უშუალოდ აჭარის სისხლის სამართლის სამძებროს უფროსის ვაჟა თაბაქიძის და მისი ბიძის, მეტსახელად "სტიოპას", დაქვემდებარებაში მყოფმა შეიარაღებულმა ბანდის წევრებმა განახორციელეს, მათვე განახორციელეს ფიზიკური ანგარიშსწორება ავთანდილ დარჩიაზე.

"ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის" გურია-აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ნატო იმნაძე კი მომხდარ ფაქტზე პასუხისმგებლობას, აჭარის ხელისუფლებასთან ერთად, ცენტრალურ ხელისუფლებასაც აკისრებს.

როგორც ხაბაზთან ერთად კვირას გამართულ პრესკონფერენციაზე იმნაძემ განაცხადა, ბათუმში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ცენტრალური ხელისუფლების მიერ სერიოზული ზომებია მისაღები.

პრაიმ-ნიუსი

"ახალგაზრდა იურისტთა" ანგარიში

დღეს "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" ოთხი იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების საბოლოო ანგარიშს გამოაქვეყნებს. **"არჩევნებიდან თვენახევრის შემდეგ ამ ანგარიშის გამოქვეყნების მიზანი არჩევნების შედეგების რევიზია არ არის. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ დარღვევებს, რომელიც ანგარიშშია წარმოდგენილი, არჩევნების შედეგებზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია. თუმცა, წარმოდგენილი ანგარიშის მიზანია დარღვევებისა და მათი გამომწვევი მიზეზების საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანა, რათა მას, შესაბამისი პრობლემების აღმოფხვრისა და სათანადო რეაგირებისათვის, ცენტრალური საარჩევნო კომისია თუ არჩევნების ყველა სუბიექტი გაეცნოს,"** – სწორედ ასე ხსნიან "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში" ამ აგნარიშის ასე დაგვიანებით წარმოდგენის მიზეზებს.

როგორც ამ ორგანიზაციის დამკვირვებელთა ანგარიშიდან ჩანს, **"საარჩევნო (და განსაკუთრებით, საუბნო) ადმინისტრაციების არაკომპეტენტურობა და მოუმზადებლობა ელემენტარული საარჩევნო პროცედურების ჩატარებაში 4 იანვრის არჩევნების ყველაზე დიდი ნაკლი იყო."**

ამასთან, "ახალგაზრდა იურისტთა" შეფასებით, ოთხ იანვრამდე პერიოდში ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების უმრავლესობა მათ კომპეტენციას სცდებოდა, რითაც **"ცესკო, ფაქტობრივად, საკონონმდებლო საქმიანობაში შეიჭრა. გადაწყვეტილებების უმრავლესობა არასათანადო სამართლებრივი ფორმისა და კანონსაწინააღმდეგო ხასიათის სამართლებრივი აქტებია. ყველა პრობლემათა უმთავრესი მიზეზი იყო მოუმზადებელი საუბნო საარჩევნო კომისიები, რომელთაც სხვადასხვაგვარად ესმოდათ არჩევნებამდე გასატარებელი ღონისძიებებისა და ოქმების შევსების წესი."**

როგორც ასოციაციის წარმომადგენლები აცხადებენ, მათი სურვილია, ხელისუფლებას საარჩევნო პროცესების მნიშვნელობა შეახსენონ და მოუწოდონ, დარჩენილი დროის განმავლობაში სრული საკანონმდებლო რეფორმა გაატაროს უკვე მრავალგზის გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად. მათივე თქმით, **"კონკურენტუნარიანი გარემოსა და საარჩევნო ბარიერის არსებობის პირობებში, თითოეული მცირედი დარღვევაც კი, რომელიც 28 მარტს განმეორდება, ხანგრძლივი დავისა და არჩევნებისადმი საზოგადოების კიდევ ერთხელ გაუცხოების საფუძველი გახდება."**

24 საათი

"აღორძინებას" აჭარის რეგიონში ამომრჩეველთა ხმების მოსაპოვებლად დიდი ძალისხმევა დასჭირდება

პარლამენტარი ვალერი გელბახიანი მიიჩნევს, რომ "დემოკრატიული აღორძინების კავშირს" აჭარის რეგიონში ამომრჩეველთა ხმების მოსაპოვებლად დიდი ძალისხმევა დასჭირდება.

როგორც გელბახიანმა განაცხადა, "ამჟამად აჭარაში ოპოზიცია ძალას იკრებს. აქედან გამომდინარე, "აღორძინებას" თითოეულ მაცხოვრებელთან კარდაკარ სიარული დასჭირდება იმაში დასარწმუნებლად, რომ ხელისუფლებაში მათი ყოფნა მეტ გარანტიას იძლევა, ვიდრე სხვისი".

"თუ "დაკ"-მა კონკურენტუნარიანი საარჩევნო აგიტაცია არ განახორციელა, არჩევნებში დამარცხდება", – თქვა მან.

გელბახიანი მიიჩნევს, რომ თუ "დემოკრატიული აღორძინების კავშირი" საარჩევნო ბარიერის აჭარის ხარჯზე გადალახვას გეგმავს, ის მომავალ პარლამენტს მიღმა დარჩება.

პრაიმ-ნიუსი

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეობა სამ ადამიანს სურს

აფხაზეთის ლეგიტიმური უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიაზე უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღეს. დევნილი ხელისუფლების ყოფილი ხელმძღვანელის თამაზ ნადარეიშვილის თხოვნით და უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა მხარდაჭერით, 2004 წლის 12 იანვრის რიგგარეშე სესიის ოქმი შეიცვალა.

ამ ოქმის მიხედვით, სესიაზე, 19 ხმით ერთის წინააღმდეგ, თანამდებობიდან გადააყენეს აფხაზეთის ლეგიტიმური უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი. გუშინ ამ უკანასკნელმა გადადგომასთან დაკავშირებით განცხადება თავად დაწერა. დღეიდან თამაზ ნადარეიშვილი ოფიციალურად თანამდებობიდან არა გადაყენებულად, არამედ გადამდგარად ითვლება. გარდა ამ საკითხისა, სესიაზე ახალი თავმჯდომარის არჩევის საკითხიც განიხილეს. ამ თანამდებობაზე პრეტენზიას აცხადებენ საორგანიზაციო საბჭოს წევრი ნაპოლეონ მესხია და ნადარეიშვილის ორი გადაყენებული მოადგილე – გიორგი გვაზავა და დავით გვაძაბია.

ჯერჯერობით, ამ კანდიდატურათაგან პრეზიდენტ სააკაშვილთან შეთანხმებული არც ერთი არ არის. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ვინაობა სწორედ პრეზიდენტთან კონსულტაციების შემდეგ გაირკვევა. **მედია-ნიუსი**

ლევან მამალაძეს ეთნოკონფლიქტების კერების შექმნაში ადანაშაულებენ

ქვემო ქართლში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული სოსო მაზმიშვილი ეჭვს გამოთქვამს, რომ ყოფილი გუბერნატორი ლევან მამალაძე მხარეში ეთნოკონფლიქტების კერების ხელოვნურად შექმნაზე აქტიურად მუშაობდა.

ლევან მამალაძე აზერბაიჯანულ მოსახლეობას აქეზებდა, რათა ადგილებზე ეთნიკური პრობლემები გაღვივებულიყო, - აღნიშნა მან. მაზმიშვილი აცხადებს, რომ მამალაძის მიერ ინსპირირებული პრობლემები, დღეისათვის სერიოზულ ხასიათს იღებს, რასაც ბოლო დროს წალკისა და დმანისის რაიონში მომხდარი ფაქტებიც ადასტურებს. მისი თქმით, ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც ქვემო ქართლში ეთნიკური დაპირისპირების ხელოვნურად შექმნით არიან დაინტერესებულნი.

ახალი გუბერნატორის აზრით, ქვემო ქართლში ბოლო 2 თვის განმავლობაში ძალიან ბევრი რამ მოწესრიგდა და ამ მიმართებით მუშაობა მომავალშიც გაგრძელდება. **პრაიმ-ნიუსი**

ორი სიტყვით

ქუთაისი. უამინდობის გამო, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ზემო იმერეთში ვიზიტის ჩაშლის შემდეგ, საჩხერეში ახალი გამგებელი იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულმა დავით მუმლაძემ თავად წარადგინა. გამგებლის თანამდებობა "ნაციონალური მოძრაობის" წევრმა ზურაბ ცერცვაძემ დაიკავა. იგი ამ თანამდებობაზე დანიშვნამდე საჩხერის საკრებულოს თავმჯდომარე იყო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. აშშ-ს მთავრობის მხარდაჭერით, სუუამ-ის წევრი ქვეყნებისთვის თბილისში სასტუმრო "მარიოტში" 23-24 თებერვალს კონფერენცია ჩატარდება, რომელიც "ჟინვალჰესზე" ტერაქტის შესაძლო განხორციელების შემთხვევაში, ავარიის შედეგების ლიკვიდაციისთვის საგანგებო შტაბის წვრთნას ისახავს მიზნად. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებისათვის, რომელიც 14 მარტს არის დანიშნული, საქართველოს ტერიტორიაზე 11 საარჩევნო უბანი გაიხსნება: თბილისში - საელჩოს შენობაში, ამიერკავკასიაში რუსეთის საჯარისო დაჯგუფების შტაბში, ამავე დაჯგუფების ჰოსპიტლის, დაჯგუფების მატერიალურ-ტექნიკური 149-ე ბატალიონის ტერიტორიებზე, ბათუმსა და ახალქალაქში დისლოცირებული რუსული სამხედრო ბაზების ტერიტორიებზე განთავსებულ საარჩევნო უბნებზე, ცხინვალში - სამშვიდობოთა შტაბის ტერიტორიაზე, ასევე, გუდაუთაში - მშვიდობისმყოფელთა, ხოლო გაგრაში - საუწყებო სანატორიუმის ტერიტორიებზე. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ვლადიმირ ჟირინოვსკი: "სააკაშვილმა შევარდნაძის დამლაგებელიც კი უნდა დაიჭიროს"

რუსული საზოგადოების სერიოზულ წუხილს იწვევს საპრეზიდენტო არჩევნების წინ სახელმწიფო დუმასა და, საერთოდ, ქვეყანაში ნაციონალისტური იდეოლოგიის გამეფება. პრესა, სახალხო-პატრიოტული რიტორიკის შირმით, აფიქსირებს იმპერიაში რუსულენოვანი მოსახლეობის შევიწროების ფაქტებს. რუსულ პარლამენტში უზომოდ პოპულარულია სახალხო-პატრიოტული იდეების ქადაგება. ეს საქმე კვლავ ერთი კაცის, პარლამენტის ვიცე-სპიკერის ჟირინოვსკის პრეროგატივაა. მისი აზრით, ასეთი რიტორიკა ქვეყანაში შექმნილი რთული ვითარებითაა გამოწვეული.

რუსუდან ნიკურაძე

- რუსეთის პარლამენტმა ორიოდე დღის წინ მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც თითქმის რეპრესიები განხორციელდება იმ ქვეყნების მიმართ, სადაც რუსებს ავიწროებენ. რომელი ქვეყნები იგულისხმეთ?

- პირველ რიგში - ბალტიის რესპუბლიკები, სადაც რუსების სისხლს სვამენ. მერე ბელორუსი, უკრაინა, საქართველო.

- ვერ დაგეთანხმებით: საქართველოში არასოდეს ყოფილა რუსოფობია, რუსები არ უცემიათ, ამას არავინ დაუშვებს. არც რუსული სკოლები დაუხურავთ.

- მე მაქვს ინფორმაცია, რომ თბილისში რუსული სკოლების რიცხვი შეამცირეს. პრეზიდენტი სააკაშვილი პრაგმატულად აზროვნებს. წესით მან არ უნდა დაუშვას ის, რასაც ვითომ დასავლური ორიენტაციის ქვეყნები აკეთებენ.

- როგორია კრემლის რეაქცია საქართველოში ბოლო დღეებში მომხდარ ამბებზე?

- მხოლოდ დადებითი. დღეს სააკაშვილს სწორი სტრატეგია აქვს აღებული: შევარდნაძის ეპოქის არც ერთი მინისტრი და დამლაგებელი თუ ყავის მომდუღებელი არ უნდა დატოვოს. ყველა უნდა დაიჭიროს. საქართველოს პრეზიდენტს მეტი სიმკაცრე მართებს. ის მაინც დემოკრატია. დაუნდობელი ომი უნდა გამოუცხადოს ყველა ოლიგარქს. შევარდნაძის მმართველობამ ქართველი ხალხი დაამცირა, შრომა დაავიწყებინა. ციდან ჩამოყრილ დოლარებს ხარბად ყლაპავდით. ახლა, როცა ჩვენ ენერგომატარებლებზე მსოფლიო ფასებს დაგიწესებთ, აი, მაშინ ისწავლით შრომას და ვალების დაბრუნებას.

- კრემლში პრეზიდენტების შეხვედრაზე როგორი შეხედულება დაგრჩათ? იყო სააკაშვილის მოსკოვში ვიზიტი დროული და შედეგიანი?

- ნორმალურადაა ყველაფერი. იგი უფრო ხშირად უნდა ჩამოვიდეს მოსკოვში. შევარდნაძის ყველა ვიზიტი საქართველოს სირცხვილი იყო. მას კრემლში დსთ-ს ერთ სამიტზე პუტინის გვერდით ეძინა. ვითომ არ ესმოდა ჩვენი საყვედურები ჩეჩენი ტერორისტების მფარველობაზე. მომეწონა, რომ სააკაშვილმა დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ვაჰაბიტებს. შევარდნაძეს რომ დასცლოდა, მალე საქართველო ქრისტიანული ქვეყანა არ იქნებოდა. დღეს მისახედია პანკისის ხეობა. იქიდან საფრთხე ემუქრება ქართველ ხალხს, ახალგაზრდობას, რომელსაც იქ დამზადებული ნარკოტიკებით წამლავენ. ჩვენ ხელისუფლებას შევთავაზეთ სპეცსამსახურების დონეზე თანამშრომლობა. ახლა ჩვენი ურთიერთობები ნორმალურ კალაპოტშია.

- რატომ გახდა ასე პოპულარული პრეზიდენტის არჩევნების წინ ნაციონალისტური იდეოლოგია რუსეთში? რატომ - "რუსეთი მხოლოდ რუსებისათვის"?

- იმიტომ, რომ დღეს რუსი კაცი საკუთარ სამშობლოში სტუმარია. რუსეთის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა ჯერ საკუთარ ხალხზე უნდა იფიქროს. ხალხი კი ბევრი რამითაა უკმაყოფილო: ნახეთ, მოსკოვის ბაზრებზე მარტო კავკასიელები ვაჭრობენ; კრიმინალს ვიწრო ეთნიკური სახე აქვს. ჩვენ ამ მავნე გამოვლინებებს ვებრძვით და არა არარუსებს.

- პეტერბურგში ცხრა წლის ტაჯიკი გოგონა რომ აკუწეს სკინჰედებმა, ისიც მავნე გამოვლინება იყო?

- ის ტრაგედია იყო. ჩვენ ამ მახინჯებსაც ვებრძვით. მაგრამ ძალა არ გვყოფნის.

ჟირინოვსკი ყველას ემუქრება.

დეპრივატიზება - დიდი ნაბიჯი უკან

გია ჯანდიერი

დეპრივატიზება (ანუ პრივატიზების შედეგების გადასინჯვა), რა მიზნითაც უნდა განხორციელდეს იგი, საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის უკან გადადგმული დიდი ნაბიჯი იქნება.

პრივატიზება, როგორც ეკონომიკური პოლიტიკა, პირველად, მარგარეთ თეთჩერის ინიციატივით, გაერთიანებულ სამეფოში განხორციელდა. პრივატიზების მასშტაბები ამ ქვეყანასა და ბევრ სხვა ქვეყანაში ძალიან დიდი იყო, მათ შორის - წარმატების თვალსაზრისითაც. თუმცა ამ ქვეყნებში პრობლემა, რომლის გამოც გადაწყდა პრივატიზება, ჩვენგან განსხვავებული იყო – იქ კერძო საკუთრების პოლიტიკურად აღიარებისა და რეაბილიტაციის საკითხი კი არ იდგა, არამედ ეკონომიკის ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდისა.

კერძო საკუთრების ინსტიტუტის არარსებობამ წარმოშვა პრივატიზების განსხვავებული პოლიტიკა (policy), რომელიც პოსტკომუნისტურ ქვეყნებში იქნა გამოყენებული. კერძოდ, ჩვენთან პრივატიზებას უფრო პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა, ვიდრე ეკონომიკური.

ამრიგად, პრივატიზებას, როგორც მთავრობის პოლიტიკას, გააჩნია ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული, თუმცა ერთმანეთთან მტკიცედ დაკავშირებული მიზანი: პოლიტიკური რეფორმა და ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდა. დამოუკიდებელი საქართველოსათვის პირველ ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ხელისუფლების მიერ ტოტალიტარული მმართველობის შესაძლებლობების შემცირებას, რომელიც, სხვა ღონისძიებებთან ერთად, ხელისუფლებისათვის ბაზარზე უშუალო საქმიანობის ფუნქციების შეზღუდვით უნდა განხორციელებულიყო. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების შეზღუდვისა და ეკონომიკურ პროცესებში მონაწილეობის შემცირების ერთ-ერთ მთავარ საშუალებად მისთვის წარმოების საშუალებების ჩამორთმევა და კერძო ხელში გადაცემა აღიქმებოდა. სწორედ ეს იყო ჩვენთვის მთავარი პოლიტიკური ამოცანა, რადგანაც დემოკრატიზაციას პრივატიზების პროცესის გარეშე არანაირი პერსპექტივა არ ჰქონდა (არა აქვს).

ამ მოკლე ანალიზში არ ღირს იმის განხილვა, თუ რამდენად სწორი იყო პრივატიზების პოლიტიკა და მეთოდები. აუცილებლად აღნიშვნის ღირსია ის, რომ ეს ურთულესი პროცესი აღმოჩნდა და არა მხოლოდ საქართველოსათვის. ამ პროცესებმა ვერ მოიტანა რაიმე ღირსშესანიშნავი შედეგები ვერც ერთ ჩვენს მსგავს ქვეყანაში. დაშვებული შეცდომები ძირითადად იქიდან გამომდინარეობდა, რომ (უცხოელი) ექსპერტები, ვინც ფაქტობრივად აყალიბებდნენ ამ პოლიტიკის მიმართულებებს, კარგად არ იცნობდნენ საბჭოთა ეკონომიკას და მიაჩნდათ, რომ ჩვენთან იყო საწარმოები, რომლებიც პრივატიზების შემდეგ შეძლებდნენ მსოფლიო ბაზარზე გასვლას. ეს კი, რბილად რომ ვთქვათ, ილუზია იყო, მით უმეტეს მენეჯმენტის, მარკეტინგის და ზოგადად ეკონომიკის დაბალი დონის ცოდნის პირობებში, რომელიც საქართველოში აშკარა იყო და არის.

შეცდომების დროული აღიარება საქმის უფრო ეფექტიანად გაგრძელების დასაწყისია. მით უმეტეს, რომ ასეთი შეცდომების აღიარება არავის მიუჩნევია სირცხვილად – საკითხი ჩვენგან მართლაც უდიდესი ცოდნისა და გამოცდილების არსებობას მოითხოვდა. ასეთი შეცდომა, მაგალითად, ადვილად აღიარა უნგრული წარმოშობის ამერიკელმა პროფესორმა იანოშ კორნაიმ – მის მიერ უნგრეთის მთავრობისადმი გამოწერილი საპრივატიზებო რეცეპტების მცდარობის შესახებ.

კიდევ ერთი შეცდომა უფრო ღრმა ხასიათისაა და ზოგიერთ პოლიტიკურ წრეებში დამკვიდრებულ მცდარ იდეებს შეიძლება მიეწეროს, რომ თითქოს სახელმწიფოს შესაძლებელია და საჭიროა, სრულ ან ნაწილობრივ მართვაში ჰქონდეს ე.წ. სტრატეგიული დანიშნულების საწარმოები. ჩანს, ამ მოსაზრების მომხრეები განსაკუთრებით ვერ ერკვევიან იმ საკითხში, თუ რა არის სტრატეგია. გამომდინარე იქიდან, რომ ვერ იარსებებს სტრატეგიული საწარმო, თუ არ არსებობს სტრატეგია, საქართველოსათვის დღის წესრიგში დგას პრივატიზების ახალი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც განსხვავებული იქნება თავდაპირველისაგან იმ ფუნდამენტური სხვაობით, რომ მას ექნება უკვე სამეურნეო ხასიათი – ანუ, გადაწყვეტილებები - რომელი საწარმო უნდა გაიყიდოს და რომელზე შეინარჩუნოს მთავრობამ კონტროლი - დაექვემდებაროს გარკვეულ ეკონომიკურად გათვლილ კონცეფციას. ეს სტრატეგია უნდა იყოს დასაბუთებული და პარლამენტის მიერ კვალიფიციური უმრავლესობით მიღებული. ყველა ცალკეული გადაწყვეტილება საწარმოს (ან მასში წილის) მთავრობის საკუთრებაში დარჩენის შესახებ უნდა იქნეს მიღებული დასაბუთებულად, გამჭვირვალედ და ღიად. მოქალაქეთათვის ცხადი უნდა იყოს, რატომ უნდა იქნეს შენარჩუნებული წარმოების საშუალებებზე სამთავრობო კონტროლი და რატომ უნდა დაიხარჯოს ერთი გადამხდელის გადასახადებით ხაზინაში შემოსული სახსრები სხვა გადამხდელთა ღია თუ ფარულ სუბსიდირებაზე, ან სახელმწიფო საწარმოთათვის სასათბურე პირობების შესაქმნელად.

ამ თვალსაზრისით, მთავარია ჩვენს მთავრობას და საზოგადოებას სწორი წარმოდგენები ჰქონდეს შემდეგ საკითხებზე:

რას წარმოადგენდა ეს (საპრივატიზებო) საწარმოები საბჭოთა პერიოდში (მათი დატვირთვა, საქმიანობის ხარისხი, ვალები და ა.შ.). ეს მნიშვნელოვანია იმის შესაფასებლად, თუ რამდენად მოსალოდნელი იყო მათი მსოფლიო ბაზარზე ადაპტირება. მაგალითად, რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს იმ პერიოდშიც, როდესაც სახელმწიფო შეკვეთა კანონი იყო (ე.ი. პროდუქციის მყიდველი გარანტირებული ჰყავდა), უდიდესი და მზარდი პრობლემები ჰქონდა.

რას წარმოადგენენ ეს საწარმოები დღეს, რა დონის კონკურენცია არსებობს მსოფლიო ბაზარზე მათთვის (იგივე მეტალურგიული კომბინატის მოღვაწეობა მსოფლიო ბაზარზე, რომელზეც აშშ-ს მთავრობაც ცდილობს თავისი საწარმოები საერთაშორისო წესების დარღვევით დაიცვას, ყოვლად წარმოუდგენელია).

რამდენად შეიძლება დაინტერესდნენ ასეთი საწარმოებით ინვესტორები. ეს ნიშნავს ასევე იმის შეფასებასაც, რას ვთავაზობთ ჩვენ ინვესტორებს.

ასეთი ტიპის განხილვის გარეშე შეუძლებელია, გავერკვიოთ მთავრობის საკუთრებაში არსებული საწარმოების პერსპექტიულობაში. მკაფიოდ უნდა გავერკვეთ, რომ ამ საწარმოების მიმართ მთავრობის დამოკიდებულება ვერანაირად ვერ იქნება სხვანაირი, ვიდრე ჩვეულებრივი ინვესტორის. ნებისმიერი მოტივაცია საწარმოების ფლობის თვალსაზრისით, შესაძლებელია განხილულ იქნეს სარგებლისა და დანახარჯის შედარებების წესით. მთავრობის ცენტრალური მიზანი კი თავისუფალი ბაზრის ფუნქციობის პირობების შექმნა უნდა იყოს.

ამრიგად, სახელმწიფო საწარმოების პრივატიზების მეორე ეტაპი წმინდა სამეურნეო გადაწყვეტილებების სფეროა. ამავე დროს, ამ სფეროში გადაწყვეტილებები უნდა იყოს საერთო კონცეფციის ნაწილი, რომლითაც მთავრობა, ერთი მხრივ მაქსიმალურ ღონისძიებებს ახორციელებს თავისი კონსტიტუციური ფუნქციების კარგად შესასრულებლად და ამისათვის იყენებს ყველა ეფექტიან შესაძლებლობასა და რესურსს, და მეორე მხრივ, იგი უარს ამბობს ისეთ გადაწყვეტილებებზე, რომელიც დეზორგანიზებას გაუკეთებს ბაზარს, გააუქმებს რა მის მთავარ უპირატესობებს და შესაძლებლობებს, მიაღწიოს რესურსების გამოყენების ოპტიმიზაციას.

როგორ უნდა იქნეს განხილული დეპრივატიზების მოთხოვნები ამ კონტექსტით:

საქართველოში ჩატარებული პრივატიზება წმინდა პოლიტიკური ღონისძიება იყო, აქედან გამომდინარე პრობლემებითა და შეცდომებით. არაფექტიანი იქნება, რომ ეს დაბრალდეს ერთ რომელიმე პოლიტიკურ ძალას, ან პოლიტიკურ ფიგურას – პოლიტიკური გადაწყვეტილებები, როგორც წესი, სუბიექტურია. აქედან გამომდინარე ყველანი წინასწარ უნდა ვყოფილიყავით (და ვიყოთ) შეჩვეული პრივატიზების შედეგად ქონების არაადეკვატურ გადანაწილებას. თუ რაიმე ცუდია ამაში, არის ის, რომ ქონება აღმოჩნდა არაეფექტიან ხელში, მაგრამ შეიძლებოდა თუ არა უკეთეს ხელში აღმოჩენილიყო, საეჭვოა, რადგანაც ამ პროცესს მართავდა არა ბაზარი, არამედ, უკეთეს შემთხვევაში, სახელმწიფო ექსპერტი, რომელიც მხოლოდ თავის სუბიექტურ მოსაზრებას ეყრდნობოდა.

ნებისმიერი პრივატიზება ყიდვა-გაყიდვის შეთანხმებაა. ეს კი ტიპიური საბაზრო ინსტიტუტია. ასეთი გარიგება გულისხმობს, რომ:

მყიდველს აქვს საკმაო ცოდნა, გამოცდილება და მოტივაცია, რათა ერკვეოდეს, რას და რატომ ყიდულობს და რა შედეგებს ელოდება.

გამყიდველსაც აქვს საკმაო ცოდნა და გამოცდილება, რომ სწორად შეაფასოს საკუთარი საქონელი.

ორივე მხარე სრულ პასუხისმგებლობას გრძნობენ გარიგების შედეგებზე, მათ შორის საკუთარ არჩევანზე. გამყიდველი ვალდებულია, არ დამალოს გარიგების ობიექტის ფარული პრობლემები.

გარიგების შედეგი ორივე მხარისათვის მისაღებია და რაციონალური, და თუ აღწერილი მოთხოვნები სრულდება, გარიგება დამთავრებულია.

დეპრივატიზება, მაშასადამე, ამ ტიპის გარიგების ლეგიტიმურობას ესხმის თავს.

იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველს წარმოადგენს სახელმწიფო მოხელე, მას არა აქვს პრაქტიკულად არც ერთი ზემოთ აღწერილი თვისება, რათა მან ეს გარიგება კარგად და გონივრულად მოახდინოს. ეს არის აბსოლუტურად ობიექტური მდგომარეობა. დღევანდელ ცივილიზებულ სამყაროში არავინ განიხილავს საქმიანობის მთავარ მამოძრავებელ წყაროდ სხვა რამეს, ვიდრე მისი მოტივაციაა. გაუგებარია, სახელმწიფო მოხელე, რომელსაც არაფერი ეკარგება არასწორი (თუმცა კანონიერი) მოქმედებისათვის, რა მოტივაციით მართავს სახელმწიფო საწარმოს კარგად.

სახელმწიფო ადმინისტრაცია არაეფექტიანია ეკონომიკურ საქმიანობაში – ეს არის მთავარი მიზეზი, თუ რატომ დაემხო საბჭოთა კავშირი, და ასევე იმის მთავარი მიზეზი, თუ რატომ ვამბობთ უარს წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრებაზე. ამავე დროს სახელმწიფო საკუთრება არც წარმოადგენს სრულყოფილ საკუთრებით უფლებას, რომელიც უნდა ჰქონდეს ზოგადად მესაკუთრეს – ამ შემთხვევაში მოქალაქეებს. ფუნდამენტური სხვაობა ამ ორ ფორმას შორის არის ის, რომ სახელმწიფო საკუთრების კონსტიტუციურ მესაკუთრეს (მოქალაქეს) არ გააჩნია (კერძო) მესაკუთრის ერთ-ერთი უმთავრესი უფლება, დაუყოვნებლივ გაყიდოს მისი საკუთრება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ დროს, როდესაც მენეჯმენტი (ანუ მთავრობა) ცუდად უძღვება საქმეს.

ამრიგად, თუ ვაღიარებთ სახელმწიფო მოხელეთა ობიექტურად სუსტ მოტივაციას, კარგად გაუძღვეს მეურნეობას, არ შეიძლება დაველოდოთ, რომ ისინი კარგად გაუძღვებიან მეურნეობის ისეთ რთულ პროცესს, როგორიცაა ყიდვა–გაყიდვა.

ნებისმიერი პრივატიზების გარიგება სწორი იქნებოდა იმდენადვე ადვილად გაპროტესტდეს, როგორც ყველა მყიდველი, ან გამყიდველი გააპროტესტებდა ნებისმიერ კერძო გარიგებას, მაგალითად მაღაზიაში, და დაასაბუთებდა, რომ ფასი იყო შესაბამისად არანორმალურად მაღალი ან დაბალი, თუნდაც იმ მიზეზით, რომ არაკანონიერად მოეჩვენოს ეს გარიგება. ჩვეულებრივ, არც გამყიდველი ფიქრობს იმაზე, იცის თუ არა მყიდველმა საქონლის გამოყენება, და არც მყიდველი იმაზე – იცის თუ არა გამყიდველმა მისი საქონლის "რეალური" ღირებულება. ამაზე დიდხანს რომ იფიქრონ, ვერასოდეს შეთანხმდებიან.

რას წარმოადგენს მყიდველი? არის კი (ქართული პრივატიზების) მყიდველი ადეკვატური? არა. (ჩვენი პრივატიზაციის) მყიდველი, როგორც წესი, სამეწარმეო საქმეში ჩაუხედავი და გაუნათლებელი ადამიანია, რომელსაც არც ის შეუსწავლია, რას წარმოადგენს გარიგების საგანი და არც ის, რა პერსპექტივა აქვს მსოფლიო ბაზარზე გამოსვლისათვის – ანუ მარკეტინგი არ ჩაუტარებია. ე.ი. მყიდველებიც არანაირად არ არიან დაზღვეული შეცდომისაგან, ე.ი. რისკს ეწევიან და თუ მათ რისკს დეპრივატიზების შიშით კიდევ უფრო გავზრდით, გონს მოეგებიან და საერთოდ აღარ იყიდიან.

მყიდველების შეცვლით რაიმე განსაკუთრებით ცვლილებას ამ (საპრივატიზებო) საწარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად არ უნდა ველოდეთ. ასეთი ცვლილებები შესაძლებელია გააუმჯობესებს იმდენივე საწარმოს ბედს, რამდენსაც გააუარესებს, ხოლო ტრანსაქციული ხარჯები იმდენად მაღალი იქნება, რომ ზარალს მივიღებთ. მით უმეტეს, თუ კარგად გავერკვევით ამ საწარმოების რეალურ ღირებულებაში.

რას წარმოადგენ(ს)და საპრივატიზებო საწარმოები? ჯერ კიდევ 1990 წელს ქართველ ეკონომისტთა ერთი ჯგუფი ვაცხადებდით, რომ ქართული სახელმწიფო საწარმოების მთავარ კაპიტალს წარმოადგენდა არა დანადგარები და მოწყობილობები, რომელიც იყო ამ საწარმოებში, არამედ:

- *მიწა, რომელზეც განლაგებული იყო ეს საწარმოები;*

- *შენობები (ზოგიერთი გამონაკლისით),* და

- *რაღაც გაგებით – მომუშავეთა ცოდნა და გამოცდილება.*

სამწუხაროდ, ეს ცოდნა და გამოცდილება დეგრადირდა (ანუ ჩვენი შრომითი რესურსების საბაზრო ფასი ძალიან დაეცა), ხოლო შენობების უმრავლესობამ განიცადა მძლავრი ცვეთა, რამაც მათი ღირებულება ძალიან შეამცირა. ამიტომ, ვინმეს ოცნება, რომ ეს ქონება სხვანაირად გადანაწილდება და აქედან სამეწარმეო სარგებელს მიიღებს, ეყრდნობა მცდარ ინფორმაციას. სხვა შემთხვევაში მასაც იგივე ამოძრავებს, რომ ეს ჯართი (დანადგარები, მოწყობილობები და ნაწილობრივ შენობების კარკასები) სარფიანად გაყიდოს (რაც კარგია), და ან ეს საწარმოები დროებით ამუშაოს სუბსიდიების ხარჯზე, და თვითონ ფარული სარგებელი აქედან მიიღოს (რაც ცუდია). ზოგის მიზანს მხოლოდ საწარმოთა მიწა შეადგენს. ამ ჯართის შესაძენად ინვესტორები მხოლოდ ისეთ პირობებზე თანხმდებიან, რომლითაც ისინი მონოპოლისტები ხდებიან, რადგანაც მისი უკეთესად გამოყენება შეუძლებელია. რა "სარგებლობა" მოაქვს ხელოვნურ მონოპოლიებს, ეს ჩვენ არამარტო წიგნებიდან ვიცით.

აქედან გამომდინარე, დეპრივატიზებას არც ამ თვალსაზრისით მოჰყვება უკეთესი შედეგი – საბჭოთა, წამგებიანი, ჯართში ჩასაბარებელი საწარმოები ასეთებად დარჩებიან და ნებისმიერი მცდელობა ამ მდგომარეობის შესაცვლელად განწირულია (თუ არ ჩავთვლით მათ ძარცვას, ჯართში ჩაბარების მიზნით, რაც უკეთესია, ვიდრე ადგილზე ჟანგდებოდეს).

აქ ჩამოთვლილია ზოგიერთი მოსაზრება, რომლის გამო, ვფიქრობ, რომ დეპრივატიზება ეკონომიკურად გაუმართლებელია – ანუ ამით გამოწვეული დანახარჯები ბევრად გადააჭარბებს მიღებულ სარგებელს. სამართლიანობის აღსადგენად, რომელიც დეპრივატიზაციის მომხრეების მთავარ არგუმენტად აღიქმება, საჭიროა საბაზრო ინსტიტუტების მძლავრად ჩამოყალიბება, მათ შორის კერძო საკუთრების ხელშეუხებლობისა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების გარანტირება, ისეთი ბიზნეს-გარემოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს საკუთრების ნაკლებად ეფექტიანი მესაკუთრისაგან უფრო მეტად ეფექტიანის ხელში გადასვლას, სამეწარმეო საქმიანობაში ეთიკის ნორმების დაცვას შეჩვეული ადამიანების დაბრუნებასა და შემოსვლას. დღევანდელი კანონმდებლობით ეს შეუძლებელია, რაც ბაზარზე ტოვებს მხოლოდ უმეტესად ისეთ პირებს, რომლებისთვის კანონის დარღვევა ტრაგედიად არ მიიჩნევა. დემოკრატიზაციის პროცესის დასრულება დიდადაა დამოკიდებული ბაზრის ინსტიტუტების დროულ ამოქმედებაზე.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ დეპრივატიზებას, თუნდაც ხელახალი პრივატიზების განხორციელების მიზნით, შეიძლება მოჰყვეს დადებითი მოვლენებიც, მაგალითად კანონმორჩილება, რომლის სარგებელი არაპროგნოზირებადია. პრივატიზების პროცესი ჩვენთან წმინდა პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა, მის მიმართ განხორციელებული ნებისმიერი მოქმედება ისევ პოლიტიკურ აქტად ჩაითვლება, ისევე როგორც პრივატიზების შემდეგი პროცესი. შემდეგი პოლიტიკური ლიდერები თავის მოვალეობად ჩათვლიან, გააპროტესტონ წინამორბედთა ნამოქმედარი, etc. მიღებული ტრანსაქციური დანახარჯები – მაგალითად, გაჩენილი ეჭვი და უნდობლობა კერძო საკუთრების ინსტიტუტის და პრივატიზების მიმართ (რასაც საზოგადოებისათვის ახალი დამანგრეველი შედეგი მოჰყვება), დაჟანგული დანადგარები, შეშინებული ინვესტორები, და ასე შემდეგ, გარდაუვლად გადააჭარბებს სარგებელს. ხოლო ჩვენ ისევ უკან, სოციალიზმში დავბრუნდებით, სადაც კანონი იმიტომაც არ მუშაობდა, რომ მას გამოცლილი ჰქონდა ადამიანისათვის მისი მორჩილების მთავარი მოტივაცია – პირადი სარგებელი.

ქალაქის ცენტრში
ქირავდება ქალაქის ცენტრში
პრესტიჟულ ადგილას
400 კვ.მ. ფართის ტერიტორია.
საუკეთესოა რესტორნის, ღამის
კლუბის ან სხვა გასართობი
საქმიანობისათვის.
400 კვ.მ
ინფორმაციისათვის დარეკეთ: 893 200035

ამერიკული ცდუნება ყოფილი პრეზიდენტის სიძისთვის

პირველი გვერდიდან

ამ სცენარით განვითარდა მოვლენები, თითქმის, ყველა იმ პოსტსაბჭოურ ქვეყანაში, რომელიც "მეტრომედია"-ს ინტერესების სფეროში მოექცა, ან, მარტივად რომ ვთქვათ, სადაც კომპანიამ ხელისუფლებაში საყრდენი იპოვა.

საბოლოოდ, კომპანია ბევრ ქვეყანაში "გაშიფრეს". მისი რეპუტაცია ეჭვქვეშ მალე დადგა და უკვე 90-იანი წლების მიწურულს, "მეტრომედია" იძულებული გახდა, თავისი საწარმოების გაყიდვაზე ეზრუნა. შედეგად, მას აზერბაიჯანში თავისი ადგილობრივი საწარმოს "კასპიან-ამერიკან ტელეკომი"-ს, სულ რაღაც, 100 ათას დოლარად გაყიდვა მოუწია და ეს მაშინ, როცა ამ საწარმოში "მეტრომედიას" 19 მილიონი დოლარი ჰქონდა ინვესტირებული.

მოგეხსენებათ, "საეჭვო საქმიანობას" სხვა "უსიამოვნებებიც" ახლავს თან. წელიწადნახევრის წინ "მეტრომედია", ფაქტობრივად, გაკოტრებული აღმოჩნდა და მის საკუთრებაში მყოფი, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მდებარე 50 საწარმოდან თითქმის ყველას გაყიდვა მოუწია. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მდებარე ხუთი ოფისიდან, სადაც 200-ზე მეტი კაცი მუშაობდა, კომპანიას მხოლოდ ერთი შემორჩა.

შედეგად, დღეისათვის "მეტრომედია" სულ ოთხ საწარმოს ფლობს. მათ შორის სამი – საქართველოშია, ერთი კი – "პიტერსტარი", სადაც "მეტრომედია" წილების 71 პროცენტს აკონტროლებს – რუსეთში მდებარეობს. ის მოიცავს არხანგელსკის საკაბელო ქსელს, "კოსმოს-ტი-ვი"-ს ე.წ. MMDS-სისტემებს და "ტელეპლიუსს" პეტერბურგში. არადა, კომპანიის რუსული აქტივები ერთ დროს საკმაოდ სოლიდურ ჩამონათვალს მოიცავდა.

ახლა "მეტრომედია"-ს, რომელსაც ამჟამად სულ რამდენიმე მუშაკი შემორჩა, ჰყავს პრეზიდენტი, რომლის წლიური ანაზღაურება ნახევარ მილიონ დოლარს აღემატება.

ნიშანდობლივია, რომ "მეტრომედია"-ს კლასიკური სქემა სრულიად განმეორდა "მაგთიკომში" – აქ "მეტრომედია"-ს პარტნიორი გახდა პრეზიდენტის სიძე (49 პროცენტი - "მეტრომედია"), ხოლო თავიდან ამ კომპანიასთან ალიანსში იმჟამინდელი მინისტრი ფრიდონ ინჯია იმყოფებოდა.

საქართველო - ბოლო იმედი

ერთი სიტყვით, "გაშიფრვის" შემდეგ, კომპანიის ქართული აქტივები "მეტრომედიას" ერთადერთ ნათელ იმედად დარჩა. ეს იმედი არცთუ უსაფუძვლო იყო და მას სხვადასხვა ქვეყნებში მიღებული გამოცდილებაც ამყარებდა: ადგილობრივი კორუმპირებული ხელისუფლების წარმომადგენლები არ ელოდებოდნენ "მეტრომედიას" მიერ მათი კომპანიებისთვის "აკიდებული" კრედიტის ამოწურვას, რათა შემდგომ ტკბილად შესარგი დივიდენდები მიეღოთ. ისინი, როგორც წესი, თავის გავლენას იყენებდნენ და ამ ვალებიდან "ამოძრომას" საკუთარი ფინანსური სქემების საშუალებით ცდილობდნენ. ამიტომაც, გაყიდა რა თითქმის ყველა აქტივი დსთ-სა და აღმოსავლეთ ევროპაში, იმ იმედით, რომ პრეზიდენტის ოჯახის მფარველობით ისარგებლებდა, "მეტრომედია"-მ საქართველოში დარჩენა გადაწყვიტა. მან 1995 წელს მიიღო ტელესაკომუნიკაციო ბაზრის მაშინდელი დომინანტი – "საქართველოს ტელეკომი" და "მაგთიკომი". აგრეთვე, შედარებით უმნიშვნელო აქტივები საკაბელო ტელევიზია "აიეტსა" და რადიო "ფორტუნა"-ში.

შედეგმაც არ დააყოვნა. მას შემდეგ, რაც 1996 წელს 5 მილიონი დოლარის ოდენობის საწესდებო კაპიტალის მქონე "მაგთიკომმა" "მეტრომედია"-სგან თითქმის 40 მილიონი დოლარის ოდენობის კრედიტი მიიღო (რომლის დაფარვასაც, თითქმის, 7 წელი დასჭირდა და დივიდენდების განაწილება მხოლოდ 2003 წლიდან, ანუ, ფაქტობრივად, შარშან დაიწყო), პრეზიდენტის სიძე, ფორმალურად, "უსასყიდლოდ" მფარველობდა კომპანიას. ამ დროს კი ის პირადად ლობირებდა "მაგთიკომისთვის" ძალზე მომგებიან და სხვა კომპანიებისათვის აშკარად კაბალურ პირობებს, იქნებოდა ეს ხელოვნურად გაყინული ტარიფები, "მაგთიკომის" ანძების შემოტანა-განთავსება თუ იძულებითი გარიგებების დადება სხვა კომპანიებთან.

მოკლედ, "მეტრომედიას" გეგმებს ხორცი ესხმოდა. ამას ისიც ადასტურებს, რომ დღეისათვის "ტელეკომიდან" "მეტრომედია"-ს უკვე მიღებული აქვს 2,5 მილიონ დოლარზე მეტი, რაც მრავალჯერ აღემატება მის შენატანს საწარმოს საწესდებო კაპიტალში. გარდა ამისა, პრეზიდენტის სიძის ზეგავლენით, "მაგთიკომმა" გასულ წლებში "ტელეკომიდან" ათ მილიონ ლარზე მეტი იძულებით გაფორმებული კაბალური ხელშეკრულებების წყალობით მიიღო. "ტელეკომ"-"მაგთიკომს" შორის კაბალური ურთიერთჩათვლის ხელშეკრულებების დადების ინიციატორად თავის დროზე სწორედ "მეტრომედია" გამოვიდა. შედეგად, "ტელეკომი", სადაც "მეტრომედია" 30 პროცენტს აკონტროლებს, "მაგთიკომისკენ" ფულის გადაქაჩვის პლაცდარმად იქცა, "მაგთიკომი" კი ამ თანხებს "მეტრომედია"-ს კრედიტის დაფარვას ანდომებდა.

რა იმალება წარმატებული კომპანიის მოღვაწეობის მიღმა.

გარდა ამისა, მას შემდეგ, რაც "ტელეკომმა" "მაგთიკომს" ცალკე საერთაშორისო კოდით სარგებლობის საშუალება მისცა, ის საკუთარ კონკურენტად აქცია.

თანხები სხვა "ქვაბშიც" იძებნებოდა. მაგალითად, "აზოტს", იმ დროისათვის, როცა ის "იტერას" ხელში ციმციმ გადადიოდა, "მაგთიკომის" წყალობით, მილიონ 445 ათას 693 ლარის ოდენობის ვალი ჰქონდა აკიდებული, 100 ათასი ლარი კი "მაგთიმ" მას ყველაზე კრიზისულ პერიოდში, "იტერას" საკუთრებაში გადასვლამდე ერთი წლის შუალედში "აართვა". ამ პერიოდში ის საწარმოსთვის გაზის მიმწოდებლის შუამავლის როლში გამოდიოდა და ეს ვალებიც სწორედ ამ გზით დაახვავა.

ასეა თუ ისე, "მეტრომედიას" წარმატება საქართველოში სახეზე იყო. "მეტრომედიას" პრეზიდენტი ჯეიმს ჰატი კი ჯერ კიდევ 1999 წელს ხმამაღლა აცხადებდა, რომ კომპანია საქართველოს სატელეკომუნიკაციო სექტორის პრივატიზებაში აპირებს მონაწილეობას. ამავდროულად, მან შევარდნაძეს, სექტორის "განვითარების მიზნით", დაკრედიტება შესთავაზა და იქვე შეახსენა, თუ რამდენად წარმატებულად მუშაობენ საქართველოში "აიეტი", "პეიჯინგი", "რადიო საქართველო", "ფორტუნა" და "ერა". ის 40 მილიონ დოლარზე მეტ ინვესტიციაზე საუბრობდა, რომელიც საქართველოში ჩადო და სატელეკომუნიკაციო ობიექტების ან მიყიდვას, ან 25-წლიანი მართვის უფლებით გადაცემას ითხოვდა (შეგახსენებთ, რომ ამ დროისათვის "საქართველოს ტელეკომზე" სატელეკომუნიკაციო სივრცის მომსახურების 80 პროცენტი მოდიოდა). ჰატმა მაშინ საქართველოს პრეზიდენტთან ნიადაგი სხვა მიმართულებითაც მოსინჯა და "ახალი აბრეშუმის გზის" უახლესი სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვის თაობაზეც ჩამოუგდო სიტყვა...

კრიზისი

მას შემდეგ, რაც "გაშიფრეს", ანუ 2001-2002 წელს, კომპანიას მძიმე დღეები დაუდგა. სწორედ ამ პერიოდში, "მეტრომედიამ" თავისი ჩრდილოვანი და კომპრომეტირებული საქმიანობის გადარჩენა კიდევ ერთხელ სცადა და "საქართველოს ტელეკომის" წილის გაყიდვა მოინდომა. სხვა კომპანიებთან ერთად, ამ თემაზე მან მოლაპარაკებები რუსულ "როსტელკომთანაც" გამართა. "მეტრომედია" "საქართველოს ტელეკომში" საერთო ჯამში 49 პროცენტს აკონტროლებდა, საიდანაც 30 პროცენტს პირდაპირ, ხოლო 19 პროცენტს ოფშორული კომპანიის – კვიპროსის "ბულკომი"-ს საშუალებით ფლობდა. ამიტომაც, "როსტელკომთან" მოლაპარაკების წარმატებით დასრულების შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, რომ რუსული კომპანიის ხელში სრული 49 პროცენტი აღმოჩენილიყო.

"მეტრომედია" "როსტელკომთან" გარიგებას სასტიკად უარყოფდა. სხვათა შორის, იმას, რომ მსგავსი არაფერი იგეგმება, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მაშინდელი მინისტრი მერაბ ადეიშვილიც აცხადებდა. ამავე პერიოდში "როსტელკომისგან" გარიგების არსებობის თაობაზე კომენტარის მიღებას ვერც ქართველმა და ვერც რუსმა ჟურნალისტებმა ვერ მიაღწიეს. ერთადერთი ოფიციალური პასუხი, რაც მაშინ "ნეზავისიმაია გაზეტამ" "როსტელკომისგან" მიიღო, ის იყო, რომ "როსტელკომი" "მრავალ მსგავს მოლაპარაკებას აწარმოებს, მაგრამ, ჯერჯერობით, არავითარი გადაწყვეტილება მიღებული არ არის და, ამდენად, კომპანია კომენტარისგან თავს იკავებს".

კომპანიამ ეს გარიგება მას შემდეგ შეაჩერა, რაც პოლიტიკურმა წრეებმა "იხმაურეს" და, ფაქტობრივად, "მეტრომედიას" მიმართ ინტერესი გააღვივეს. კომპანიას ყურადღების ცენტრში ყოფნა ხელს აღარ აძლევდა – მისი საქმიანობა უკვე საიდუმლოს აღარ წარმოადგენდა. ამასთან, აშკარად ჩანდა ამერიკელი და ზოგი ადგილობრივი მოღვაწის ალიანსიც: მაგალითად, "მეტრომედია"-ს ყოფილ პრეზიდენტს გააჩნია წილი იმ ქართული საწარმოს აქტივში, რომელიც ადრე "მეტრომედია"-ს ეკუთვნოდა.

ამგვარი საქმიანობის აკრძალვის მიზნით, აშშ-ში მოქმედებს კანონი "საზღვარგარეთ კორუფციის წინააღმდეგ" (Foreign Corrupt Practicies Act), რომელიც ამერიკულ კომპანიებს საინვესტიციოდ საინტერესო ქვეყნების სახელმწიფო და პარტიულ მოღვაწეებსა და გარემოცვასთან გარიგებების დადებას უკრძალავს. ეს კანონი, რომელიც სისხლის სამართლის და სამოქალაქო პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, "მეტრომედია"-ს მრავალჯერ აქვს დარღვეული. კანონთან წინააღმდეგობაშია "მეტრომედია"-ს მუშაობის სქემაც – პატარა შენატანი საწესდებო კაპიტალში და მრავალჯერ დიდი კრედიტი – ეს, ამერიკული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, კაპიტალის შერევად და უსამართლო გამდიდრებად კვალიფიცირდება. ამდენად, უარყოფით კონტექსტში "მეტრომედიას" სახელის კიდევ ერთხელ გაჟღერება კომპანიას, ბუნებრივია, აღარ სურდა.

ფინალი

მიუხედავად იმისა, რომ ამდენი საწარმოს გაყიდვა მოუწია, "მეტრომედიას" კრედიტორთა ვალი მაინც დარჩა - 160 მილიონი დოლარი. ამ ვალის წლიური საპროცენტო გადასახადი 16 მილიონი დოლარი გამოდის, კრედიტის დაფარვის ბოლო ვადა კი 2007 წლის დასაწყისში იწურება.

ერთი შეხედვითაც აშკარაა, რომ ამ ვალის დროული გასტუმრება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. სწორედ ამიტომ, "მეტრომედია"-ს პრეზიდენტი, საქართველოს პრეზიდენტის სიძეზე დაყრდნობით, ცდილობდა შეენარჩუნებინა თავისი სარფიანი ადგილი 2007 წლამდე, ხოლო როცა ბოლო მოვლენებმა მას პრეზიდენტის სიძის პოზიციების შესუსტებაზე მიუთითა, გადაწყვიტა, კომპანიის ყველა ქართული აქტივი გაეერთიანებინა, დაემატებინა პრეზიდენტის სიძის წილი "მაგთიკომში" და ერთ პაკეტად მიეყიდა რუსი მყიდველისათვის. ამით კომპანია საქართველოში თავისი მოღვაწეობის კვალსაც გააქრობდა.

მეტრომედიას იმედები ამჯერად აღარ გამართლდა. ირაკლი ოქრუაშვილის უწყებამ ყოფილი პრეზიდენტის სიძე სწორედ იმ დროს დააკავა, როცა, სავარაუდოდ, ის ცდილობდა, სწრაფად დაეტოვებინა საქართველო და ეს გარიგება გაეფორმებინა...

საგარეო პოლიტიკა თუ ოჯახური ინტერესები

ნიკა მარიამიძე

"გაზეტა.რუ"-ს ცნობით, უკრაინის მინისტრთა კაბინეტი შავი ზღვის ქერჩთან მდებარე შელფის დასამუშავებლად გაცემას აპირებს. უკრაინის გარემოს დაცვის სამინისტროს უკვე აქვს უფლება, ამ რეგიონში ნავთობის ძიება-მოპოვების სამუშაოებზე ტენდერი გამოაცხადოს. ამ ტერიტორიით დაინტერესებას ავლენენ უკრაინული "ჩერნომორნეფტგაზი" და ამერიკული "ჰანტ ოილი". ეს ორი კომპანია შავი ზღვის უკრაინული მონაკვეთების ათვისების სურვილმა ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში "დააძმობილა".

"გაზეტა.რუ" ამ გარიგების მიღმა უკრაინის პრეზიდენტის ოჯახურ ინტერესებს ხედავს. საქმე ისაა, რომ "ჩერნომორნეფტგაზს" კუჩმას ქალიშვილის – ელენას პირველი ქმარი, "ვერხოვნაია რადას" დეპუტატი იგორ ფრანჩუკი ხელმძღვანელობს.

ნიშანდობლივია, რომ მას შემდეგ, რაც უკრაინაში "ჰანტ ოილი" "უმსხვილეს და უცნობილეს საერთაშორისო კომპანიად" წარადგინეს, ფრანჩუკს არაერთხელ აღუნიშნავს "ჰანტ ოილის" სამომავლო გეგმების თაობაზე, რომელთა თანახმადაც, კომპანია შავი ზღვის უკრაინულ ნაწილში ნავთობმოპოვებითი სამუშაოებისთვის თურმე მილიარდი დოლარის გაღებას გეგმავს.

შავი ზღვის შელფის უკრაინულ ნაწილში ნავთობის ძიება-მოპოვებითი სამუშაოების წარმოებას რუსული "ლუკოილიც" გეგმავდა. საყურადღებოა ერთი დეტალი: შელფის ის ნაწილი, რომლის ათვისების უფლების სხვისთვის მინიჭებამაც "ლუკოილს" ასე დასწყვიტა გული, სწორედ იმ ავადსახსენებელი ტუზლის კონცხის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობს, რომლის გამოც რუსეთ-უკრაინას შორის მეგობრულ ურთიერთობას კინაღამ სამუდამოდ დაესვა წერტილი.

საველე ინჟინერი

BP-ს პროექტებისათვის, BP-ს სრული ზედამხედველობით, IRA Ltd. ეძებს სათანადო კვალიფიკაციის პირს საველე ინჟინრის თანამდებობის დასაკავებლად.

სამუშაოს აღწერა:

ობიექტებთან და პროექტთან დაკავშირებული ტექნიკური და საინჟინრო საკითხების მენეჯმენტი, საველე და ადგილზე მომუშავე საინჟინრო ჯგუფების კოორდინირება და მხარდაჭერა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ობიექტების პროექტების წარმატებით განხორციელების მიზნით.

საველე ინჟინრის სამუშაო ადგილი იქნება ველზე, იგი იცხოვრებს საველე კემპში.

როლები და პასუხისმგებლობები

- ველზე კონტრაქტორის სამშენებლო საქმიანობის ტექნიკური მონიტორინგი, კონტრაქტის მოთხოვნების გათვალისწინებით
- ველზე საერთო ხარისხის უზრუნველყოფისთვის ობიექტების საველე ინჟინრის დახმარება
- ხარისხის მენეჯერის დახმარება კონტრაქტორის მიერ ტექნიკური მოთხოვნების დაცვის შემოწმებისას
- კონტრაქტორის მეთოდებთან დაკავშირებული დოკუმენტების გადასინჯვა
- უსაფრთხოებასთან დაკავშირებით შემოწმებების ჩატარება
- კონტრაქტორის მიერ აღჭურვილობის მოვლა-მომსახურების მონიტორინგი
- დახმარება ექსპლუატაციაში გამშვები ჯგუფისათვის სისტემების გადაცემისას
- მშენებლობის დროს ძირითადი პუნქტების დამოწმება

მოთხოვნები:

- შესაბამისი ინჟინრის ხარისხი
- პროგრამების MS Word, Excel, PowerPoint, MS Project, MS Outlook და ინტერნეტის კარგად ცოდნა
- სასურველია გამოცდილება ობიექტების მშენებლობის სფეროში
- შესაბამისი საინჟინრო დისციპლინის საფუძვლიანად ცოდნა, სხვა დისციპლინების კარგ ტექნიკურ ცოდნასთან ერთად
- ინგლისური, რუსული და ქართული ენების კარგად ცოდნა
- ადამიანებთან ურთიერთობის და გუნდური მუშაობის კარგი უნარი, მოტივირებულობა და ტაქტის გრძნობა
- შესაძლებლობა იმოგზაუროს, ბევრი დრო გაატაროს ველზე და იცხოვროს ბანაკში
- კომუნიკაციისა და ადამიანებთან ურთიერთობის კარგი უნარი
- სურვილი და შესაძლებლობა, მჭიდროდ ითანამშრომლოს კონტრაქტორის შტატთან და ველზე კონტრაქტორის საქმიანობაზე გავლენის მოხდენის უნარი
- იყოს ორგანიზებული, პრაქტიკული და რეალისტი პიროვნება
- ჰქონდეს სურვილი, უზრუნველყოს BP-ს ძირითადი ფასეულობების და ჯანდაცვის, უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი უფლებების (GHSER) განხორციელება

განცხადების შეტანა / დამატებითი ინფორმაცია

თუ თქვენ თვლით, რომ გაგაჩნიათ ამ როლის შესრულებისათვის საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება, გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი ავტობიოგრაფია (CV) და შეავსოთ განაცხადის ფორმა, რომლის მიღებაც შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე. განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 2004 წ 1 მარტი, 18:00 საათი.

აუცილებელია იყოთ საქართველოს მოქალაქე.

განხილული იქნება ყველა მიღებული განცხადება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველას მიიწვევენ გასაუბრებაზე და შესთავაზებენ სამუშაოს.

კადრების განყოფილება
ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია BP
საბურთალოს ქ. N 38, თბილისი, საქართველო

ორი სიტყვით

თბილისი. ორი დღეა, რაც ამინდის გაუარესებამ დედაქალაქში ელექტროენერგიაზე მოთხოვნა გაზარდა და თბილისის ელექტრომომარაგებაში დამატებითი სირთულეები შექმნა. სახეზეა 40-50-მეგავატიანი დეფიციტი, რომლის თავიდან აშორებაც მხოლოდ იმპორტის მოცულობის გაზრდითაა შესაძლებელი, რადგან ჰესებზე ჩამონადენი წყლის მატება, ჯერჯერობით, მოსალოდნელი არ არის. **24 საათი**

■ ■ ■

ქუთაისი. პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა იმერეთის მხარეში დავით მუმლაძემ იმერეთის საოლქო საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლებს ახალი უფროსი - 26 წლის დავით ჯავახაძე წარუდგინა. პროფესიით ეკონომისტმა, გასულ წელს აშშ-ში კოლუმბიის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურა დაამთავრა და დღემდე "თი-ბი-სი ბანკის" ქუთაისის განყოფილებაში მმართველის მოადგილედ მუშაობდა. ახალი უფროსი რეგიონში რეალური საგადასახადო ბაზის შექმნას აპირებს და აცხადებს, რომ იმერეთის ბიუჯეტს ყოველთვიურად შეასრულებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან ერთად ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება. იგი სამუშაო შეხვედრებს აშშ-ს ხაზინის დეპარტამენტში გამართავს. დაგეგმილია შეხვედრა მსოფლიო ბანკის პრეზიდენტ ჯეიმს ვულფენსონსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორთან ედ მელკერტთან, ასევე, აშშ-ს ბიზნეს-წრეების წარმომადგენლებთან. ნოღაიდელის ვიზიტი 24 თებერვლამდე გასტანს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. პანკისის ხეობაში ჩინური ინვესტიციით აშენებული "ხადორჰესი" ტესტირებას გადის. სემეკიდან წარმოების ლიცენზიის მისაღებად ჰესი 25-28 თებერვალს უკვე საცდელად იმუშავებს. როგორც "ინტერ-პრესს" ჰესის მენეჯერმა პაატა ჯანგულაშვილმა განუცხადა, სემეკიდან ლიცენზიის მიღების შემდეგ ჰესის რეგისტრაცია შესაძლებელი გახდება და მარეგულირებელ კომისიას "ხადორჰესის" მიერ გამომუშავებიული ელექტროენერგიის ტარიფის განსაზღვრის შესაძლებლობა ექნება. "თუ ტარიფი ჩინელი ინვესტორებისთვის მისაღები იქნება, ჰესი მუშაობას გააგრძელებს, თუ არადა - გაჩერდება," - განაცხადა მან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. აშშ-ს მთავრობის მხარდაჭერით, სუუამ-ის წევრი ქვეყნებისთვის თბილისში სასტუმრო "მარიოტში" 23-24 თებერვალს კონფერენცია ჩატარდება, რომელიც "ჟინვალჰესზე" ტერაქტის შესაძლო განხორციელების შემთხვევაში, ავარიის შედეგების ლიკვიდაციისთვის საგანგებო შტაბის წვრთნას ისახავს მიზნად. კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ სუუამ-ის წევრი ქვეყნები, ხოლო დამკვირვებლის სტატუსით ღონისძიებას აშშ, თურქეთი, გაერო, PIMS-ი და ტექნიკური ექსპერტები დაესწრებიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ახალი ხელისუფლება ქართველი და უცხოელი ექსპერტების მიერ მომზადებული ახალი "საგადასახადო კოდექსის" პროექტის განხილვას უბრუნდება. სახელმწიფო მინისტრის ჯამბულ ბაკურაძის ცნობით, კოდექსით ახალი ხელისუფლება უკვე დაინტერესდა და ამჟამად მის დახვეწაზე მუშაობს. სახელმწიფო მინისტრის ამ განცხადებას არ ადასტურებს კოდექსის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი, პარლამენტარი ზურაბ ტყემალაძე. "ჩვენი ინიციატივით შექმნილი კოდექსის პროექტზე მუშაობა ჩვენს გარეშე თუ დაიწყეს, არ ვიცი. ახლანდელი ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი კი კოდექსის მიმართ უარყოფითად მაშინვე იყო განწყობილი, ამიტომ, არ მგონია, ნოღაიდელს აზრი შეეცვალოს და ამ ხელისუფლებაში პროექტით ვინმე დაინტერესდეს," – აღნიშნა მან. **ინტერ-პრესი**

მორიგი აფეთქება იერუსალიმში

გუშინ დილით იერუსალიმში პალესტინელმა კამიკაძემ ავტობუსში თავი აიფეთქა. აფეთქების შედეგად, სულ მცირე, შვიდი ადამიანი დაიღუპა და ათეულობით დაიჭრა. ტერაქტზე პასუხისმგებლობა თავის თავზე არაფატის მომხრე მოძრაობა "ფათჰიმ" აიღო. პალესტინის გასამხედროებული ორგანიზაციები აფეთქებას მიესალმნენ და იგი ისრაელის დანაშაულებრივ პოლიტიკაზე პასუხად მონათლეს. **"აფეთქებები გაგრძელდება ყველგან, სადაც ჩვენი მტრები იქნებიან,"** - თქვა "ფათჰის" გასამხედროებული ფრთის "ალ-აქსას წამებულთა ბრიგადის" ერთ-ერთმა ლიდერმა აბუ ქუსაიმ. პალესტინის ოფიციალურმა ხელისუფლებამ ტერაქტი დაგმო და აშშ-ს სამშვიდობო პროცესში უფრო აქტიური ჩართვისაკენ მოუწოდა. ისრაელში კი მიიჩნევენ, რომ ტერორიზმი ქვეყნის მოქალაქეებს კვლავ რეალურ საფრთხეს უქმნის და, ამდენად, "უსაფრთხოების კედლის" არსებობა გამართლებულია.

კედლის დანიშნულება იერუსალიმის პალესტინური დასახლებებისაგან იზოლირებაა, რამაც, იდეის ავტორთა აზრით, ებრაული ტერიტორიების ტერორისტებისაგან დაცვა უნდა უზრუნველყოს. პალესტინელები კი ისრაელს "სხვისი მიწების" მითვისებაში ადანაშაულებენ. საერთაშორისო თანამეგობრობაში შეშფოთებას ის ფაქტი იწვევს, რომ კედლის შედეგად ცალკეული პალესტინური დასახლებები სრულ იზოლაციაში ექცევიან. საერთაშორისო ზეწოლის შემდეგ, ისრაელმა, ცოტა ხნის წინ, მდ. იორდანეს დასავლეთ ნაპირზე გამავალი ამ კედლის ერთი ნაწილის მორღვევა დაიწყო.

აფეთქება იერუსალიმში.

დღეს ჰააგაში კედლის ლეგიტიმურობის საკითხის განხილვა გაერო-ს საერთაშორისო სასამართლომ უნდა დაიწყოს. სასამართლო პალესტინელების მოთხოვნით იკრიბება. კედლის მშენებლობას მსოფლიოს 17 ქვეყანა აპროტესტებს. ეს, ძირითადად, არაბული ლიგის წევრი ქვეყნები არიან. ისრაელი, აშშ და ევროკავშირი სასამართლოს ბოიკოტს უცხადებენ, რადგან მიაჩნიათ, რომ აღნიშნული საკითხი მოლაპარაკებების თემაა და სასამართლოს გზით ვერ გადაწყდება. ისრაელი თანახმაა, შეცვალოს კედლის მშენებლობის მარშრუტი, მაგრამ მშენებლობის შეჩერებას არ აპირებს. კედლის საერთო სიგრძე, დაახლოებით, 720 კმ იქნება.

ოსამა ბინ ლადენი ხაფანგში გაება

ბრიტანული გამოცემა "სანდი ექსპრესი", აშშ-ს ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოში არსებულ ანონიმ წყაროზე დაყრდნობით, იუწყება, რომ ოსამა ბინ ლადენის ზუსტი ადგილსამყოფელი უკვე დადგენილია. **"ბინ ლადენი მახეში ვირთხასავით არის გაბმული,"** - ასეთი სათაურით იწყებს სტატიას "სანდი ექსპრესი." გაზეთის ცნობით, მსოფლიოს ნომერ პირველ ტერორისტთან ერთად 50-მდე მისი ერთგული ფანატიკოსი იმყოფება. ისინი პაკისტან-ავღანეთის საზღვარზე, მთიან რაიონებში 16 კვადრატული კილომეტრის ზონაში არიან მოქცეულები. გაზეთი იუწყება, რომ ავღანური მოძრაობა "თალიბანის" ლიდერი მოლა ომარიც ბინ ლადენთან ერთად არის. **"ოსამა ბინ ლადენი კუთხეშია მიმწყვდეული და ამერიკის სპეცსამსახურები დარწმუნებულნი არიან, რომ ის და მისი გარემოცვა მიმალვას ველარ შეძლებენ,"** - განუცხადა გაზეთს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს თანამშრომელმა.

"სანდი ექსპრესი" იუწყება, რომ "ალ-ქაიდას" ლიდერის ადგილსამყოფელი მუდმივად კონტროლდება ჯაშუში-თანამგზავრის მიერ და ამჟამად ამერიკელი და ბრიტანული სპეცსამსახურები შესაბამის ბრძანებას უცდიან მოქმედების დასაწყებად. თუმცა, ოპერაციის ჩატარებას ხელს უშლის მთებში თოვლიანი ქარბუქის დაწყება, რაც ალბათ, კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება. ბინ ლადენის ადგილსამყოფელამდე მიღწევა მხოლოდ ვირებით არის შესაძლებელი. წყაროს ცნობით, ბინ ლადენი და მისი გარემოცვა ხან გამოქვაბულებს აფარებენ თავს, ხანაც ღია ცის ქვეშ სძინავთ. ბინ ლადენის და მისი მცველების ადგილსამყოფელის დადგენა სპეცსამსახურებს 2003 წლის სექტემბერში გავრცელებული ვიდეოჩანაწერის დეტალური ანალიზის და გაშიფვრის საშუალებით მოუხერხებიათ. უკანასკნელ ხანებში კი ბინ ლადენის ნებისმიერი გადაადგილება ბრიტანელი და ამერიკელი მზვერავების მიერ კონტროლდება.

ირანის ხელისუფლება გამარჯვებას ზეიმობს

ირანში პარასკევს გამართული საპარლამენტო არჩევნები საერთაშორისო თანამეგობრობის კრიტიკის ობიექტი ხდება. წინასწარი მონაცემებით, ხელისუფლების მომხრე კონსერვატიულმა ძალებმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს და ირანის საკანონმდებლო ორგანოში უმრავლესობაც გაინაღდეს. ირანის შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი მონაცემებით, კონსერვატორებს მეჯლისში 133 ადგილი გარანტირებული აქვთ. სულ ირანის საკანონმდებლო ორგანო – მეჯლისი - 290 დეპუტატისგან შედგება. როგორც აღინიშნა, ეს მონაცემები პირველადია და არა საბოლოო. ხმების დათვლა ჯერ კიდევ მრავალ ოლქში არ დასრულებულა. თუმცა, კონსერვატორთა საბოლოო გამარჯვება ეჭვს აღარ იწვევს.

ირანის უმაღლესმა სულიერმა ლიდერმა აიათოლა ალი ხამენეიმ საპარლამენტო არჩევნების შედეგები მტრისათვის მიყენებულ უძლიერეს დარტყმად შეაფასა.

მისი თქმით, არჩევნები აბსოლუტურად სამართლიანი და თავისუფალი იყო. მან უარყო აშშ-ს ადმინისტრაციის ეჭვები მეჯლისის არჩევნების დემოკრატიულობის თაობაზე.

თეთრი სახლის პოზიცია კი სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ადამ ერელიმ გაახმოვანა. მან საარჩევნო სიებიდან 2500-მდე რეფორმატორი კანდიდატის ამოღება მკვეთრად გააკრიტიკა. **"ეს ქმედება თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების პრინციპებს და საერთაშორისო ნორმებს არ შეესაბამება,"** - განაცხადა ადამ ერელიმ.

უნდა აღინიშნოს, რომ პარასკევს გამართულ არჩევნებს ჩაშლა ემუქრებოდა, რადგან ამომრჩეველთა აქტივობა ძალზე დაბალი იყო. ერთადერთ საფრთხეს კონსერვატორთა გამარჯვებას სწორედ ამომრჩეველთა გამოუცხადებლობა უქმნიდა. თუმცა, ხელისუფლებამ ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ მეჯლისის არჩევნები ჩაშლილად არ გამოცხადებულიყო. საბოლოოდ, შედეგი კონსერვატორებისა და აიათოლა ხამენეისათვის სასურველი აღმოჩნდა.

მართალია, რეფორმატორების დიდმა ნაწილმა ამ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა, მაგრამ შედარებით ზომიერებმა ძალების მოსინჯვა მაინც სცადეს. ჯერჯერობით, ცნობილი არ არის, თუ რამდენი რეფორმატორი დეპუტატი შევა ახალ მეჯლისში. საბოლოო შედეგები მას შემდეგ გამოქვეყნდება, რაც ყველა საარჩევნო ოლქის ხმები შეჯამდება.

საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის 2003 წლის შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიში

2003 ოტკც ცფმფჰ'დტკჯც ცფფდნჯვჯ,ბკჯ უპტ,ბც ცფ[ტკვობაჯ ლტგფჰნფვტჟნც ,ბე]ტნბ ლფევნრბწლფ 51200 ფ'& კფჰბც ჯლტჟჯ,ბ'^ ცფბლფყფწ ლტგფჰნფვტჟნბც ცფმდტეო.ტ,ჯ ლფოტცტ,ეკტ,ტ,ბც ვბტჰ ფრჰტაბკბ ლფ რჯჟნჰჯკბჰტ,ფლბ Iტვჯცფდკტ,ბ Iტფლუტყლფ 21500 ფ'ფც კფჰც^ [ჯკჯ აბყფყც'ფ ცფვბჟბცნჰჯც ცფ,ფ;ჯ ცფვცფ[ჰბც ვბტჰ ფვჯცფქტ,ბ 'ფყ[ფ Iტფლუტყლფ 29700 ფ'ფც კფჰც& უფჰლფ ფვბცფ ლტგფჰნფვტჟნც გჰტპბლტჟნბც აჯყლბლფყ ლფვფნტ,ბ' უფვჯტ.ჯ 200^0 ფ'& კფჰბ& ცფ,ჯკჯჯ]ფვიბ 2003 ოკბც ვ'კბფყფ Iტვჯცფდკტ,ვფ უტუვბ' Iტფლუბყფ 51400 კფჰბ&

უფცეკ ოტკც ფზფჰბც ფდნჯყჯვბეჰბ ჰტცგე,კბრბც ნტჰბნჯჰბფპტ ცფ,ფ;ჯ ცფვცფ[ეჰტ,ბც ვბტჰ ფრჰტაბკბ 'ფყ[ფ 5928^3 ფ'& კფჰბ ლტგფჰნფვტჟნბც ცფუპფჯ აჯყლიბ უფლფჰბწ[დბც ყფწდკფლ ფზფჰბც ფდნჯყჯვბეჰბ ჰტცგე,კბრბც ,ბე]ტნიბ ლფჰხფ& ფქყბიყკბ ლფყფრკბცბც უფ'დფბცობყტ,ბ' ლტგფჰნფვტჟნბც ფყუფჰბიპტ ვ'კბფყფლ ვჯ,ბკბპტ,ეკბ 56132^9 ფ'& კფჰბც ყფწდკფლ 50204^6 ფ'& კფჰბ ხფბჰბწ[ფ&

ცფუპფჯ აჯყლიბ Iტვჯცეკბ ცფ[ცჰტ,ბ გბჰდტკ ჰბუიბ ოფჰბვფჰ'ფ ვცჯაკბჯ ,ფყრბცფ ლფ რედტბნბც აჯყლბც რჰტლბნტ,ბ' ლფაბყფყცტ,ეკბ გჰჯტმნტ,ბც 'ფყფლფაბყფყცტ,ფპტ^ ობყფ ოკტ,Iბ Iტცჰეკტ,ეკბ ცფუპფჯ ცფვეიფჰჯტ,ბც ლფდფკბფყტ,ბც ლფაფჰდფპტ ლფ ფ'დბცტ,ეკ რჰტლბნტ,პტ სბჰბ'ფლბ დფკბცფ ლფ ცფჰუტ,კბც გჰჯწტჟნბც ლფცფაფჰფდფლ& ლფყფჰხტყბ 'ფყ[ფ უფვჯ.ტყტ,ეკ ბმყფ უპტ,ბც ვჯდკფ^Iტრტ'ტ,ბცფ'დბც

სახელმწიფო საგზაო ფონდის 2003 წლის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ

(ათ. ლარი)

№	მაჩვენებლის დასახელება	დამტკიც. გეგმით.	მობილიზებული (აკრეფილი)	ჩარიცხულია საგზაო ფონდში	სხვაობა მობილიზებულსა და ფაქტიურად ჩარიცხულს შორის
1	2	3	5	6	7
	I შემოსავლები				
1	ნაშთი	1700,0	1705,5	1705,5	–
2	აქციზი (იმპორტირებული ბენზინის აქციზიდან შემოსავლის 30%)	17200,0	16436,5	15632,1	-804,4
3	საავტომობილო გზებით სარგებლობის გადასახადი	16100,0	18752,8	18752,8	–
4	ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრის გადასახადი	2000,0	2032,5	2032,5	
5	გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისათვის	11800,0	14618,5	9500,9	-5117,6
6	გადასახ. ავტოსატრანსპორტო საშუალებების ზენორმატიული დატვირთვისათვის	700,0	85,1	85,1	–
7	სამეგზ-საგზაო მასალების რეალიზაციის გადასახადი	1000,0	1568,3	1562,0	-6,3
8	რიკოთის გვირაბით სარგებლობის საფასური	700,0	733,7	733,7	–
9	სულ საგზაო ფონდის შემოსავალი	51200,0	55932,9	50004,6	-5928,3
10	ტრანსფერტი პრეზიდენტის ფონდიდან X)	200,0	200,0	200,0	–
11	სულ შემოსავლები მათ შორის	51400,0	56132,9	50204,6	-5928,3
12	ა) დეპარტამენტის მიერ კონტროლირებადი შემოსავლები	21500,0	24792,8	24786,5	-6,3
13	ბ) საბაჟო სამსახურის მიერ ამოღებული თანხები	29700,0	31140,1	25218,1	-5922,0
14	გ) ტრანსფერტი პრეზიდენტის ფონდიდან	200,0	200,0	200,0	–
	სულ:	51400,0	56132,9	50204,6	-5928,3*

X) ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზომლეთში სტიქიის შედეგად დაზიანებული საავტომობილო ხიდის აღდგენისათვის

* 5928,3 ათასი ლარი აკრეფილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე და ადგილობრივი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებითაა გახარჯული

II. ხარჯები

(ათ. ლარი)

N	მაჩვენებლის დასახელება	[illegible]	[illegible]
1	2	4	6
1	[illegible]	23416,7	24839,3
	2.3. — [illegible]	–	10024,9
	- გზების მოვლა-შენახვის სამუშაოები*)		14234,4
	ტრანსფერტი პრეზიდენტის ფონდიდან	–	200,0
2	[illegible]	7976,0	7692,1
3	[illegible]	9000,0	8999,1
4	[illegible]	4500,0	4497,5
5	[illegible]	1700,0	1627,7
6	[illegible]	828,3	964,9
7	[illegible]	3000,0	*) 4024,5
8	[illegible]	200,0	191,3
	სულ:	50290,0	50497,7

x) სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები ჩატარებულია ონის, ცაგერის, ლენტეხის და ბაღდათის რაიონებში.

*) მოვლა-შენახვის სამუშაოებში იგულისხმება გზების მიმდინარე შეკეთება, მიწის ვაკისის და წყალამრიდი ნაგებობების, სავალი ნაწილის, ხიდების, გვირაბების წყალგამტარი მილების, მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების მოვლა-შენახვა, მათი მცირე დაზიანებათა შეკეთება და ასევე გზის ზამთარში შენახვა.

ნორმატივებით 1კმ გზის მოვლა-შენახვის სამუშაოებზე გათვალისწინებულია 9600 ლარი (სამშენებლო სამუშაოების ნორმების და მსოფლიო ბანკის სპეციალისტების გაანგარიშებით). მთლიანად საქართველოს საგზაო ქსელზე – 16 120 კმ გზაზე – რეალურად მოვლა-შენახვის სამუშაოებზე გაიხარჯა 14234,4 ათასი ლარი, საიდანაც ჩანს, რომ ფაქტობრივად 1 კმ გზაზე მოვლა-შენახვის სამუშაოებზე 2003 წელს გაიხარჯა 883 ლარი, რაც დაახლოებით 10-ჯერ ნაკლებია აღნიშნულ ნორმატივზე.

უცხოური კრედიტების სახსრებით განხორციელებული და განსახორციელებელი გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების ნუსხა

№	სამუშაოების და ობიექტების დასახელება	სიგრძე სულ კმ	2001-2003 წლები კმ	2001-2003 წლები ათასი აშშ დოლარი	2004 წელი კმ	2004 წელი ათასი აშშ დოლარი	სულ ღირებულება ათასი აშშ დოლარი
1	2	3	4	5	6	7	8
	I. მსოფლიო ბანკის კრედიტი						
1	[illegible]	197	121	16,188	76	1,509	17,697
2	[illegible]	34	3	1,719	31	0,599	2,318
3	[illegible]	19	5	1,648	18	1,030	2,678
4	[illegible]	57,5	42	6,261	15,5	2,675	8,936
5	[illegible]	5	-	-	5	0,801	0,801
6	[illegible]	13	-	0,135	13	0,946	1,079
7	[illegible]	4,3	-	0,490	4,3	0,001	0,491
8	[illegible]	20,5	-	2,262	20,5	4,493	6,755
9	[illegible]	45	14	2,332	38	1,409	3,741
10	[illegible]	6	-	-	6	0,557	0,557
11	[illegible] 180 კმ		-	1,826	-	1,707	3,530
12	[illegible]	-	-	0,137	-	0,081	0,176
	სულ მსოფლიო ბანკი	399	183	32,874	208	15,272	48,146
	II. [illegible]						
1	[illegible]	4,8	-	5,096	4,8	0,016	5,402
2	[illegible]	57	-	8,256	5,7	2,682	10,939
3	[illegible]	10	10	3,480	-	0,014	3,494
	სულ [illegible]	71,8	10	15,834	61,8	3,013	18,837

საერთაშორისო კოალიცია ერაყს არ ტოვებს

ერაყში 1 ივლისს ძალაუფლება ადგილობრივ მთავრობას უნდა გადაეცეს. ამ დღეს ოფიციალურად დასრულდება აშშ-ს მიერ ქვეყნის ოკუპაცია. თუმცა, როგორც გრაფიკიდანაც ჩანს, ამერიკელი სამხედროები ქვეყნის დატოვებას არ აპირებენ და იქ განლაგებულ ძალებს მალე ახალი შენაერთებით ჩაანაცვლებენ. ივნისი ახლოვდება, მაგრამ ჯერაც არ არის ცნობილი, თუ როგორ მოხდება ძალაუფლების ერაყელებისთვის გადაცემა. ნათელია, რომ სუვერენიტეტის აღდგენამდე არჩევნები არ შედგება. 30 ივნისამდე საყოველთაო არჩევნების ჩატარებას ერაყის შიიტური მოსახლეობა მოითხოვდა. ქვეყანაში შექმნილი ვითარება კი ამას, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდის. თითქმის ყოველდღიური აფეთქებები ქვეყნის სხვადასხვა წერტილში აშკარას ხდის, რომ ერაყში არჩევნების ორგანიზაციისათვის საჭირო მინიმალური სტაბილურობის მიღწევა უახლოეს მომავალში ვერ მოხერხდება. არჩევნების ჩატარების შესაძლებლობას გაერო-ს გენერალური მდივანიც ეჭვის თვალით უყურებს. თუმცა, იგი მოითხოვს, რომ ამ მიზეზით ერაყის სუვერენიტეტის აღდგენა არ უნდა გადაიდოს. **"ივნისის ბოლომდე არჩევნების ჩატარება ვერ მოხერხდება. ახლა ჩვენ გარდამავალი მთავრობის შედგენის პრინციპებზე უნდა ვიფიქროთ, შემდეგ კი - არჩევნების მომზადებაზე,"** - მიიჩნევს კოფი ანანი. ერაყელი შიიტების წარმომადგენლები ანანის წინადადებას გაგებით მიუდგნენ. ისინი, დროებითი მთავრობის დაკომპლექტების თაობაზე კომპრომისის შემთხვევაში, არჩევნების მოგვიანებით გამართვასაც დაუჭერენ მხარს. თუმცა, მათი აზრით, არჩევნების ორგანიზება მაინც მალე, 1 ოქტომბრამდე უნდა მოხდეს. ერაყში ამერიკული ადმინისტრაციის მეთაური პოლ ბრემერი კი ამბობს, რომ არჩევნები, სულ მცირე, ერთ წელიწადში ვერ ჩატარდება. ამის მიზეზად იგი, უსაფრთხოების პრობლემის გარდა, სამართლებრივ და ტექნიკურ ბარიერებს ასახელებს. **"ერაყში არ არსებობს საარჩევნო კანონმდებლობა, საარჩევნო სიები და კომისია,"** - თქვა პოლ ბრემერმა არაბულ ტელეკომპანია "ალ-არაბია"-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

ერაყის სუვერენიტეტის აღდგენასა და არჩევნების ჩატარებასთან პირდაპირ კავშირშია ქვეყნის შიდა უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემა. აშშ-ს თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა თქვა, რომ ერაყული წინააღმდეგობის ფრონტის ზურგსუკან "ალ-ქაიდა" დგას. **"ესაა ხალხი, რომელსაც ერაყში რელიგიური შუღლის ჩამოგდება სურს,"** - რამსფელდი ამით ტერორისტთა ბოლო დროს აღმოჩენილ წერილებზე მიუთითებდა, სადაც "ალ-ქაიდას" მებრძოლები ერაყელ სუნიტებსა და შიიტებს შორის დაპირისპირების ინსპირირებაზე საუბრობენ. აშშ-ს თავდაცვის მინისტრი მიესალმება ერაყელების სურვილს, ქვეყნის ახალი არმიისა და პოლიციის რიგებში იმსახურონ. საერთაშორისო კოალიცია უსაფრთხოებაზე კონტროლის სადავეებს თანდათანობით ერაყის სამართალდამცველებს გადასცემს. თუმცა, როგორც ერაყის პოლიციასა და პარტიზანებს შორის ბოლო დროს მომხდარი შეტაკებები მოწმობს, ქვეყნის უსაფრთხოების ძალები ჯერ კიდევ სუსტია. საერთაშორისო კოალიციის მხარდაჭერის გარეშე, ისინი ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნებას ვერ შეძლებენ. ამერიკელი სამხედროები არ მალავენ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის შეიარაღებულ ძალებს ქვეყანაში კიდევ რამდენიმე წელი მოუწევთ დარჩენა.

მოკლედ

უგანდა. ამბოხებულების მიერ ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში განხორციელებულ შეტევას 170 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. "წინააღმდეგობის ღვთიური არმიის" მებრძოლები ქალაქ ლირასთან ახლოს ლტოლვილთა ბანაკს დაეცნენ თავს და ცეცხლი წაუკიდეს. ბანაკის ბევრმა მაცხოვრებელმა თავშესაფრის დატოვება ვერ მოახერხა. ამ თვეში მშვიდობიან მოსახლეობაზე განხორციელებული ეს უკვე მეორე შეტევაა. დაახლოებით სამი კვირის წინ ამბოხებულებმა 40 მშვიდობიანი მაცხოვრებელი მოკლეს. "წინააღმდეგობის ღვთიურ არმიას" არანაირი პოლიტიკური პლატფორმა არ გააჩნია. ისინი ჩრდილოეთ უგანდაში ტერორს უკვე 18 წლის განმავლობაში ახორციელებენ, გუშინდელი სისხლისღვრა კი ყველაზე მასშტაბური იყო.

■ ■ ■

ჰაიტი. პრეზიდენტმა ჟან ბერტრან არისტიდმა თანხმობა განაცხადა საერთაშორისო დიპლომატების მიერ მომზადებულ სამშვიდობო გეგმის პირობებზე, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ოპოზიციას და ჰაიტის ხელისუფლებას შორის დაწყებული სისხლიანი კონფლიქტის მოგვარებას. გეგმის თანახმად, პრეზიდენტი არისტიდი თანამდებობაზე რჩება, მაგრამ უფლებამოსილება მკვეთრად შეეზღუდება. ოპოზიციას კი პრემიერ-მინისტრის არჩევაში მონაწილეობის მიღების უფლება ექნება. სამშვიდობო გეგმის პროექტი ოპოზიციის ლიდერებსაც წარედგინათ, თუმცა, ჯერჯერობით, მათი პასუხი უცნობია. ჰაიტიზე არსებულ კონფლიქტს ორი კვირის განმავლობაში უკვე 50 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. თუკი, დაპირისპირებული მხარეები გეგმის პირობებს დათანხმდებიან, დღის წესრიგში საერთაშორისო სამშვიდობო ძალების გაგზავნის საკითხი დადგება და ცისფერჩაფხუტიანებს სამშვიდობო შეთანხმების დაცვა დაევალებათ.

■ ■ ■

დიდი ბრიტანეთი. პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა განაცხადა, რომ იგი პოსტის დაკავებას მესამე ვადითაც აპირებს. ერთ-ერთი ბრიტანული გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში ბლერმა თქვა, რომ უკანასკნელი პერიოდი მის პოლიტიკურ კარიერაში ყველაზე რთული იყო. ბლერი სადაზვერვო სამსახურების მიერ შედგენილი "ერაყის დოსიეს" ირგვლივ აგორებულ სკანდალს გულისხმობდა. ლორდ ჰატონის კომისიის დასკვნამ ბლერი და ბრიტანეთის მთავრობა "დოსიეში გაპარულ შეცდომებში" უდანაშაულოდ ცნო. ბლერმა უარყო ხმები პოსტიდან მისი წასვლის შესახებ. **"ბევრი პრობლემისა და დიდი პასუხისმგებლობის მიუხედავად, ეს სამუშაო მე სიამოვნებასაც მანიჭებს. მე ვაპირებ, საკუთარი კანდიდატურა ახალი ვადით წამოვაყენო,"** - თქვა პრემიერმა. ტონი ბლერი დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი 1997 წელს, საპარლამენტო არჩევნებში ლეიბორისტების გამარჯვების შემდეგ გახდა. 2001 წლის არჩევნებში ლეიბორისტებმა ძალაუფლება შეინარჩუნეს. მომდევნო არჩევნები 2005 წელს უნდა გაიმართოს.

■ ■ ■

სომხეთი. სომხეთი აპირებს, მეწამორის ატომური ელქტროსადგურის უსაფრთხოება გაზარდოს. ეს პროცესი, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს შეფასებით, 3-4 წელი გაგრძელდება და 60 მლნ აშშ დოლარი დაჯდება. ერევანში ელექტროსადგურის დახურვის შესაძლებლობასაც განიხილავენ. ამ შემთხვევაში გასაწევი ხარჯები, დაახლოებით, 400 მლნ აშშ დოლარი იქნება. მეწამორის სადგური 1988 წელს მიწისძვრის შემდეგ დაიხურა. ქვეყანაში შექმნილი ენერგოკრიზისის დასაძლევად, სადგურის ერთი ბლოკი 1995 წელს ისევ აამუშავეს. უსაფრთხოების გასაძლიერებლად სომხეთმა აშშ-სა და ევროკავშირისაგან უკვე 47 მლნ დოლარის დახმარება მიიღო.

ბიზნესი და ქართველ ქალთა წვრთნა

2003 წლის ოქტომბერ-ნოემბერში თბილისის "კავკასიის ბიზნესის სკოლაში" ჩატარდა "საქმიან ქალთა ლიდერობის პროგრამის" პირველი ციკლი (პროგრამის მეორე ეტაპი ჩატარდება 20 მარტიდან 10 აპრილამდე). 20 თებერვალს სემინარში მონაწილეობის მსურველი ქალბატონების რაოდენობამ ორჯერ გადააჭარბა, მაგრამ სურვილის ასრულებას მხოლოდ ოცდაათი ქალბატონი შეძლებს.

ლელა მარგიანი

პროექტის დირექტორი მზია მიქელაძე: "საქმიან ქალთა ლიდერობის პროგრამის დანიშნულებაა ქალთა წვრთნა და მათთვის ბიზნესის მართვისთვის აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამომუშავება. ქალთა ლიდერობის პროგრამა ყურადღებას ამახვილებს ქალების მიერ მცირე და საშუალო ბიზნესის მართვაზე, აგრეთვე, წარმოადგენს ქალების დიდ ბიზნესში ჩაბმისათვის საფუძველს. ტრენინგების ფარგლებში მსმენელები გაეცნობიან საქართველოში არსებულ ეკონომიკურ დინამიკას, ბიზნესის მიზნებისა და სტრატეგიების ჩამოყალიბების მიდგომებს, მარკეტინგის, ფინანსურ, ზოგად და შრომითი რესურსების მენეჯმენტის საკითხებს. პროგრამის ბოლოს განიხილება პროექტის მენეჯმენტისა და ბიზნესის გეგმის მონიტორინგის საფუძვლები. ტრენინგების დასრულების შემდეგ მონაწილეებს ევალებათ, დაწერონ საკუთარი ბიზნეს-გეგმა. საუკეთესო ბიზნეს-გეგმის მქონე სამი ქალბატონი გაიგზავნება ატლანტაში, ქალთა მიერ მართულ ბიზნესში პრაქტიკის გასავლელად".

სამეტაპიანი სემინარის განმავლობაში მომზადდება ასი საქმიანი ქალბატონი. მათ შორის ისინი - ვისაც უკვე აქვს საკუთარი ბიზნესი, სურს საკუთარი ბიზნესის განვითარება, ან [illegible] ბიზნესის დაწყება უნდა.

2003 წელს ჩატარებული პირველი ეტაპის დროს მომზადდა 33 ქალბატონი, რომელთაგან 19 თბილისელია, 14 - საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან: გორი, დუშეთი, ზუგდიდი, ქუთაისი, თიანეთი, ოზურგეთი, გალი.

ტრენინგის პირველ ციკლში მონაწილე ქალბატონებიდან ათი საკუთარი საწარმოს მფლობელია. თიანეთიდან ჩამოსულ ქალბატონს საოჯახო ტურიზმის დაწყება და მეფუტკრეობა-მეცხვარეობის გაფართოება ნდომებია, რაზედინმეც – ხალხური რეწვის ალორძინება.

აღსანიშნავია გალში მაცხოვრებელი ახალგაზრდა ქალბატონის მონაწილეობა. მას გალში საკუთარი მცირე ბიზნესი ჰქონია: გაუქირავებია ერთი ოთახი და იქ საპარიკმახერო გაუხსნია. თურმე, მისი საპარიკმახერო გალში ძალიან პოპულარულია და ქართველთა თავშეყრის ადგილიც გამხდარა. ამ ქალბატონს ახალი ჩანაფიქრი აქვს – სურს თავისი ბიზნესის გაფართოება, საპარიკმახეროს გვერდით არსებული ფართის შეძენა და იქ აერობიკის დარბაზის მოწყობა.

პროექტის დირექტორის ინფორმაციით, ტრენინგების დროს მონაწილეები შეხვდნენ საქართველოში არსებული ფირმების - "ევრაზიის", "ჰორიზონტის", "ფინკას" წარმომადგენლებს.

"მოწვეული გვყავდა ცოტა ხნის წინ მინისტრად დანიშნული თამარ ლებანიძე, რომელიც მაშინ ერთ-ერთ ცნობილ ფონდს ხელმძღვანელობდა. მან სემინარის მონაწილეებს უამბო, თუ როგორ დაიწყო თავისი საქმიანობა.

ქალბატონ მზიას იმედი აქვს, რომ ახალი მთავრობა პროგრამის შესრულებას - ქართველ საქმიან ქალბატონებს მეტ ყურადღებას მიაქცევს და მათი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის გარკვეულ ზრუნვას თავადაც გაიღებს, რათა ყველაფერი კვლავ უცხოელი დონორების კეთილ ნებაზე არ იყოს დამოკიდებული.

"კავკასიის ბიზნესის სკოლის" საქმიან ქალთა ლიდერობის პროგრამა დაფინანსებულია აშშ-ს განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ. იგი დაიწყო 2002 წლის დეკემბერში ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტში (აშშ) კავკასიის ბიზნესის სკოლის პროფესორ-მასწავლებელთა გაგზავნით და იქ მათთვის "ქართველი საქმიანი ქალების სპეციფიკური საჭიროებების შესაბამისი ტრენინგების ჩატარებით".

საფეხურები

17 ლარის ანაბარა

არასამთავრობო ორგანიზაცია "საფეხურების" პროექტი - "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით", აგრძელებს "ნამდვილი ამბის" სერიის გამოქვეყნებას. ისტორიებს ქმნიან ადამიანები, ჩვენი საზოგადოების წევრები. ისინი საუბრობენ თავიანთ პრობლემებზე. პროექტის საშუალებით, შესაძლებელია, მოვუსმინოთ და დავეხმაროთ მათ.

დაახლოებით, ხუთი წლის წინათ გია დარჩიაშვილი მშენებლობაზე მუშაობისას მაღალი სართულიდან ჩამოვარდა და ზურგის ტვინი დაიზიანა. იმისთვის, რომ ინვალიდის ეტლზე დამჯდარიყო, მან ხერხემლის ოთხი ოპერაცია გაიკეთა.

ბატონი გია მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში ცხოვრობს. პენსიის სახით, სახელმწიფო 17 ლარს უხდის. თუ იმ დახმარებებს არ ჩავთვლით, რომელსაც კეთილი და მოწყალე მეზობლები, მეგობრები და ნაცნობები უწევენ ხოლმე, მის ოჯახს სხვა შემოსავალი არა აქვს.

გია დარჩიაშვილის მდგომარეობა სამი წლის წინათ კიდევ უფრო დამძიმდა. ოთხი ოპერაცია, რომელიც მან დიდი გაჭირვებით გაიკეთა, ფაქტობრივად, წყალში გადაეყარა, რადგან დაჯდომას ისევ ვერ ახერხებს. ამას ახლა სხვა მიზეზი აქვს. იმის გამო, რომ ბატონ გიას მასაჟისტის მოყვანის საშუალება არ ჰქონდა, თვითონ იტარებდა ფეხებისთვის აუცილებელ პროცედურას. ამ პროცესში მას მარჯვენა მენჯი ამოუვარდა. იმის გამო, რომ წელს ქვევით მგრძნობელობა საერთოდ არა აქვს, გია დარჩიაშვილმა ტრავმის შესახებ მაშინ გაიგო, როცა ფეხი გაუსივდა და უკვე საოპერაციო გახდა. საჭირო ოპერაციისთვის აუცილებელი მნიშვნელოვანი თანხა მას ყოველგვარი შეღავათის გარეშე მოსთხოვეს. რაც დრო გადიოდა, მისი მდგომარეობა უფრო მძიმდებოდა. ახლა უკვე სახსრის ოპერაცია მას უფრო ძვირად, სამი ათას ლარად შეუფასეს. ჯანმრთელობის გაუარესების პარალელურად, ბატონი გიას ფინანსური მდგომარეობა, ბუნებრივია, არ უმჯობესდება, ამიტომ იგი დღემდე ვერ ჯდება და იძულებულია იწვეს.

ცოტა ხნის წინათ გია დარჩიაშვილს ნაწოლები გაუჩნდა. **"პოლიკლინიკის ექიმი გამოვიძახეთ. ძალიან შემეშინდა, ნაწოლები რომ გამირთულდეს, ოპერაციას ნამდვილად ველარ გავიკეთებ. ეს იმას ნიშნავს, რომ სეფსისი დამეწყება და ყველაფერი დამთავრებული იქნება,"** - ამბობს ბატონი გია. გართულებული ნაწოლის ოპერაცია სამი ათასი დოლარი ღირს. იგი მადლობას უხდის ღმერთს, რომ ნაწოლები, ჯერჯერობით, საოპერაციო არ არის. ის აუცილებელი რეაბილიტაცია კი, რომელიც პირველი ჯგუფის ინვალიდს სჭირდება, გია დარჩიაშვილმა ვერც ერთხელ ვერ ჩაიტარა – ორთაჭალაში, სარეაბილიტაციო ცენტრში 20-დღიანი სამკურნალო კურსი 600 ლარი ღირს. მას, რა თქმა უნდა, არც ეს თანხა აქვს. **"რეაბილიტაცია ფეხზე ვერ დააყენებს გიას. ასეთ ინვალიდებს, როგორიც ისაა, წელს ქვემოთ ფუნქციები დაქვეითებული აქვთ და მათ აღსადგენად მხოლოდ ეს პროცედურაა მიზანშეწონილი,"** - ამბობს მისი მეუღლე.

გია დარჩიაშვილი იმედს არ კარგავს, რომ მისი მდგომარეობა ცოტა შემსუბუქდება, რისთვისაც მას არც თუ დიდი თანხა სჭირდება. არადა, იმის გამო, რომ ინვალიდია და ოჯახში არავინ მუშაობს, სამი ათასი ლარის მეათედიც კი არ აქვს, სიცოცხლე რომ შეინარჩუნოს.

თუკი ვინმეს ამ ოჯახის დახმარების სურვილი გაუჩნდება, დაუკავშირდით პროექტის - "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით" – კოორდინატორს ირინა სიგუას.

ტელ: 8 99 555 113

საეჭვო რესტავრაცია

ზოცეო ქვაბთაძე

ცნობილი გახდა, რომ, ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, დაიწყეს ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის რესტავრაცია. ოს რესტავრატორთა "სასახელოდ" უნდა ითქვას, რომ მათ განსაკუთრებული ყურადღება სამშენებლო ლაპიდარული წარწერის დაფარვაზე გაამახვილეს - იმ ადგილას, სადაც ეს ისტორიული წარწერაა, ეკლესიაში შესასვლელი მიაშენეს და მისი ნაწილი მან შთანთქა. რესტავრატორებმა ეკლესიის შიგნით არსებული ფრაგმენტულად შემორჩენილი ქართული წარწერების, ფრესკების განადგურებაც გეგმაზომიერად წარმართეს.

თვრამეტსაუკუნოვანი ქართული ქალაქის ცხინვალის ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიას, რომლის ამშენებლის ეთნიკური წარმომავლობის შესახებ კონფლიქტის დროს არაერთგვაროვანი ვერსიები წარმოიშვა. ცხინვალელ სომეხ საზოგადო მოღვაწეთა ერთი ჯგუფი ქრისტიანულ ქმნილებას სომხების მიერ აგებული გრიგორიანული ხუროთმოძღვრების ობიექტად მიიჩნევს. მის დასამტკიცებლად რამდენიმე ვერსიას ასახელებენ. კონკრეტულად, უნდა აღინიშნოს, რომ ეკლესიის ჩრდილოეთ კედელში, კარს ზემოთ ქართული მხედრული ასოებით შესრულებულ წარწერაში აღნიშნულია: " ჩყივ, შევწირე სულის სახსენებლად მიხეილ შერმაზანოვის მეუღლე(მ) ელისაბედ". მათი აზრით, წარწერაში მოხსენიებული პირი ეროვნებით სომეხი შერმაზანოვის მეუღლე ელისაბედია.

"პრობლემის" გადასაწყვეტად უპირველესი ყურადღება ტექსტის შინაარსის ლოგიკურ გარჩევას და შერმაზანოვის ეთნიკური წარმომავლობის დადგენას უნდა მიექცეს.

აღნიშნული წარწერის გაშიფვრა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატს, დოცენტ მიხეილ ცოტნიაშვილს ეკუთვნის. მეცნიერის ვერსიით, "ჩყივის" ქარაგმების გახსნით ვღებულობთ 1816 წელს.

ტექსტის შინაარსის კომპლექსური შესწავლით კი ცხადი ხდება, რომ ელისაბედმა სულის სახსენებლად რაღაც (რაც ტექსტიდან არ ჩანს), უკვე აგებულ ეკლესიას შესწირა ან მისი რესტავრაციისათვის ფულადი თანხა გაიღო.

ასეთ კონკრეტულ შემთხვევაში შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიხეილ შერმაზანოვის მეუღლე ელისაბედი არ არის ეკლესიის ამგები, მაგრამ გასარკვევია, როდის, რა მოსაზრებით უნდა გაჩენილიყო ეკლესიის ჩრდილოეთის კედელზე აღნიშნული წარწერა?

აღნიშნული პერიოდის მთელ რიგ წერილობით წყაროებში გაბნეული ინფორმაციების შეჯერებით ირკვევა, რომ ქართლ-კახეთის სა[illegible] ქალაქის ძველ უბანში დასახლებულ ვაჭართა და ხელოსანთა წრეს ეკლესიისათვის მოვლა-პატრონობა არ მოუკლია. ჟამთა სიავეში დანგრეული ეკლესიის აღდგენითი სამუშაოები წარწერაში მოხსენიებულ ელისაბედს ჩაუტარებია და მის პატივსაცემად ხუროთმოძღვარ-რესტავრატორს კედელში წარწერიანი ქვა ჩაუდევს.

საგანგებოდ ისიც გვინდა აღვნიშნოთ, რომ შერმაზანოვები (შერმაზანაშვილები) ეთნიკური წარმომავლობით სომხები არ არიან. გვარის გენეალოგიის შესწავლით ირკვევა, რომ შერმაზანოვებს მოსახლეობის აღწერის ნუსხაში, ეროვნულობის გრაფაში ქართველი უწერიათ.

წერილობითი წყაროების, იმჟამინდელი ისტორიული მდგომარეობის შესწავლით ირკვევა, რომ შერმაზანაშვილებმა ვიწრო პოლიტიკური, ეკონომიკური მოსაზრებებით, რუსული მმართველობის გავლენით, შეიცვალეს არა ეროვნება ან სარწმუნოება, არამედ მათ გვარებს მხოლოდ რუსული ჟღერადობა მისცეს და მაშინდელმა მმართველობამ ისინი სომხებად მონათლა. ისიც აღსანიშნავია, რომ ეკლესიის გუმბათის დასავლეთ კედელზე ერთი სომხური ასო "ე" არის ამოკვეთილი, რასაც ეკლესიის მისაკუთრებით დაინტერესებული პირები დამატებით არგუმენტად იყენებენ.

წარწერა ფუნდამენტურად შეისწავლა პროფესორმა მელიქსედ ბეგმა. მისი განმარტებით, ეკლესიის გუმბათზე აღნიშნული ასო "ე" აღნიშნავს ღმერთს, სულიწმინდას ხელთუქმნელსა და სხვის შემქმნელს".

ამრიგად, ცხინვალის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაზე აღნიშნული ქართული წარწერის "ჩყივ"-ის და სომხური "ე"-ს კომპლექსური შესწავლით დგინდება, რომ აღნიშნული წარწერები აბსოლუტურად არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ეკლესია სომხების აშენებულად და სომხურ გრიგორიანულ ქმნილებად ჩაითვალოს.

ეკლესიის აშენების თარიღისა და აღმშენებლის ვინაობაზე განსაკუთრებულ ყურადღებას ძეგლის სამხრეთის კედელზე, მარჯვენა მხარეს ერთმანეთზე ვერტიკალურად დაწყობილ ქვის ორ ფილაზე მოთავსებული ლაპიდარული წარწერა იპყრობს. მასში აღნიშნულია: **"ქ. აღვაშენეთ ღვთის შეწევნითა საყდარი ესე ყოვლაწმინდის ჩვენ, გიორგის შვილმან ქაიხოსრომან და ძმამა ჩემმა ფარსადანმა და ჩემმა შვილმან გივმან ცოდვათა ჩვენთა შესანდობლად. ვინცა იხილოთ, მამაჩემს გიორგის, დედაჩემს მარეხის შენდობა ბრძანეთ. თქვენცა ღმერთმა შეგინდოთ, მეფობასა ვახტანგისასა ქკსუვ".**

რეგიონის ისტორიული წარსულის კომპლექსური შესწავლა ცხადყოფს, რომ XVIII საუკუნის დასაწყისში ცხინვალი და მაღალმთიანი რეგიონი დიდი ფეოდალების, ამილახვრების გამგებლობაში შედიოდა. ამ ხანაში ცხინვალში მამულებს ფლობდნენ ხერხეულიძეები და მაჩაბლები.

ხალხური გადმოცემებისა და მთელი რიგი დოკუმენტის თანახმად, ძველი ცხინვალის ის ნაწილი, სადაც დღეს ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია დგას და მისი შემოგარენი, თავად მაჩაბლებს ეკუთვნოდათ. იმ ადგილებს მაჩაბლიაანთ მიწებს ეძახიან. აქვე ცხოვრობდა დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ვანო მაჩაბელი, რომლის მეუღლე იყო ცნობილი ქართველი მწერალი ქალის ეკატერინე გაბაშვილის და - ეფემია. მის ერთ შვილს პაპის სახელი მიხეილი დაარქვეს.

ძველი ქართული პერიოდული პრესიდან ისიც ირკვევა, რომ სახლი, რომელიც ცხინვალში მაჩაბელმა ააშენა, შემდეგ პერიოდში სასამართლოდ გადაუკეთებიათ. გაზეთ "ივერიის" 1896 წლის №466, აღნიშნულია: "ახალი მომრიგებელი სასამართლოს (ლაპარაკია ცხინვალში მაჩაბლის სახლზე - გ.ჩ.) თავად ივანე მაჩაბლის სახლში გადაუტანიათ. სახლშივე დგას მსაჯული და იმედია, ხალხს დიდხანს არ მოაცდევინებს". აღნიშნული ფაქტები იმის რეალურ დადასტურებად მიგვაჩნია, რომ ცხინვალში ღვთისმშობლის მიძინების ქრისტიანული ქმნილების შემოგარენი XVIII საუკუნიდან, შესაძლებელია უფრო ადრეც, თავად მაჩაბლების კუთვნილება იყო.

ეკლესია რომ ქართული მართლმადიდებლურია, ამას გენერალ ტოტლებენის დავალებით რუსი კარტოგრაფების მიერ შედგენილი ქალაქის გეგმაც ამტკიცებს. მასში აღნიშნულია, რომ ეკლესია ქართული მართლმადიდებლურია.

ერთი სიტყვით, "სომხებმა" რაც ვერ მიისაკუთრეს, იმას ოსებმა დაადგეს თვალი და სათავისო რესტავრაციაც დაიწყეს.

კანონმდებლობით საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ისტორიისა და კულტურის ძეგლებს სახელმწიფო იცავს და საგანგებო გადაწყვეტილებით უნდა ჩატარდეს აღდგენითი და სხვა სახის სამუშაოები, მაგრამ "ოსეთის" მთავრობა აბუჩად იგდებს არა მარტო სუვერენული საქართველოს კონსტიტუციას, არამედ საერთაშორისო სამართლის აღიარებულ ნორმებს და ყოველგვარ ანტიქართულ ქმედებებს "დამოუკიდებელი ოსეთის" პოლიტიკური სტატუსით ხსნის.

საკითხავია, დღევანდელი "ოსეთის" მთავრობამ, რომელსაც, თითქმის წელიწადია, მოსახლეობისთვის ხელფასი, პენსია არ მიუცია, ქართული ქრისტიანული ქმნილებისათვის სად გამონახა თანხა?

სარწმუნო წყაროებიდან ირკვევა, რომ, ეუთო-სა და იუნესკო-ში წარდგენილი ყალბი ცნობების საფუძველზე, ოსური ხუროთმოძღვრული ძეგლების რესტავრაციისათვის (მაშინ, როდესაც რეგიონში საერთოდ არ არსებობს ოსური ქრისტიანული ქმნილება) მოითხოვეს თანხა და მიიღეს.

საკითხავია, აულიარებელ ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას როგორ გამოუყვეს თანხა?

საეჭვო რესტავრაციას ისევ ხავსიანი გუმბათი სჯობს.

ზაზა ფარჯვანიშვილის ფოტო

ორი სიტყვით

თბილისი. მართლმადიდებლურ სამყაროში მძიმე მარხვა დაიწყო. აღდგომის მარხვა განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. "იცვლება ღვთისმსახურება, ტარდება პირველშეწირულის წირვები და იკითხება ანდრია კრიტელის კანონი," - განაცხადა მამა გიორგი ზვიადაძემ.

მისივე თქმით, მარხვის განმავლობაში მორწმუნეებმა სხვა ლოცვებთან ერთად აუცილებლად უნდა იკითხონ ეფრემ ასურის ლოცვა, "რომელიც სინანულზე ამახვილებს ყურადღებას".

მამა გიორგის განცხადებით, მძიმე მარხვაში თევზის მიღება მხოლოდ ბზობას და ბზობის წინა დღეს – ლაზარეს შაბათს შეიძლება. მარხვის პირველ და ბოლო კვირას კი მორწმუნეებმა უზეთო საკვები უნდა მიირთვან.

მძიმე მარხვა 11 აპრილს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე დასრულდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს საპატრიარქოს პრეს-სამსახურმა ახალი წიგნები გამოსცა - "წმინდა ევსტათი პლაკიდა" და "წმინდა ნექტარიოს პენტაპოლელი".

"წმინდა ევსტათი პლაკიდა", რომელიც მღვდელ თეოდორე გიგნაძის მიერ არის გამოცემული, პირველი საუკუნის დასასრულს რომის იმპერიაში ტრაიანეს მეფობის დროს მოღვაწე ცნობილი მხედართმთავრის ევსტათი პლაკიდასა და მისი ოჯახის ქრისტესთვის მოწამეობრივ აღსასრულს გადმოგვცემს.

"წმინდა ნექტარიოს პენტაპოლელში" XIX-XX საუკუნეში მოღვაწე ბერძენი წმინდანის ცხოვრება მოთხრობილი. გამოცემის რედაქტორია საპატრიარქოს პრესცენტრის ხელმძღვანელი, დეკანოზი დავით შარაშენიძე. **ინტერპრესი**

■ ■ ■

თბილისი. საგზაო პოლიციის მთავარი სამართველოს საინფორმაციო ცენტრის 8002-ის ინფორმაციით, მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური-კობის მონაკვეთზე (ჯვრის უღელტეხილი), როკის უღელტეხილზე, ახალციხე-ნინოწმინდა-სომხეთის საზღვრის 65-110 კმ-ზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა შეწყვეტილია, ხოლო ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის ნაქერალას უღელტეხილზე, მარნეული-თეთრი წყარო-წალკის (81-87 კმ-ზე), რიკოთის უღელტეხილზე მისაბმელიანი, ნახევრად მისაბმელიანი "იკარუსისა" და მასთან გათანაბრებული ტიპის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვებით.

ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის 1-52 კმ-ზე, ახალციხე-ნინოწმინდა-სომხეთის საზღვრის 35-65 კმ-ზე ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვებით. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა," საქართველოს ველური ფლორითა და ფაუნით არალეგალური ვაჭრობის აღკვეთისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნით, არასამთავრობო მონიტორინგის ჯგუფის ჩამოყალიბებას ცდილობს. ასოციაციის განცხადებით, ამ პრობლემების აღკვეთა ტრეინინგებითა და სამართლებრივი უზრუნველყოფითაა შესაძლებელი.

საქართველო თავისი ფლორითა და ფაუნით, მრავალი ენდემური სახეობით ბიომრავალფეროვნების ერთ-ერთი ცენტრია. სხვადასხვა სახეობის, კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფისთვის ერთ-ერთი ბარიერი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით არალეგალური ვაჭრობაა, რომლის გაფართოებასაც ხელი შეუწყო საბაჟო კონტროლის შესუსტებამ, ბუნების დასაცავად განკუთვნილი თანხების კლებამ, სიღარიბის ზრდამ და ა.შ.

„მწვანე ალტერნატივა" უახლოეს მომავალში ბიომრავალფეროვნების დაცვის სფეროში ახალი მიმართულების შესწავლასა და დანერგვას აპირებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ახალციხის რაიონის სოფელ მუსხში მცხოვრებ ვლადიმერ ინასარიძის საცხოვრებელ სახლთან ჯერჯერობით დაუდგენელმა პირმა მამრობითი სქესის ჩვილი დატოვა. ბავშვის პოვნის თაობაზე ინასარიძემ პოლიციას ორი დღის წინათ შეატყობინა. ჩვილის აღმოჩენიდან დღემდე ბავშვზე ძებნა არავის გამოუცხადებია.

ბავშვი ამჟამად ინასარიძეების ოჯახში იმყოფება.

პოლიცია მოკვლევას ატარებს და ბავშვის მშობლების ვინაობის დადგენას ცდილობს. პირველ რიგში, მოწმდება რაიონის სამშობიარო სახლები. **მედია-ნიუსი**

Mercy Corps

სოციალური დახმარების პროგრამა სოფელ წინწყაროში

btc SCP South Caucasus Pipeline

სოფელი წინწყარო ერთ-ერთი იმ სოფელთაგანია, რომელიც ჩართულია ბი-პი-სა და მისი პარტნიორების, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა (BTC) და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის (SCP) მიერ ინიცირებულ და დაფინანსებულ საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამაში (სიპ). პროგრამას რამდენიმე ორგანიზაციისაგან შემდგარი კოალიცია ახორციელებს, რომელსაც საერთაშორისო ორგანიზაცია მერსი ქორი (Mercy Corps) ხელმძღვანელობს.

სწორედ მერსი ქორისა და მისი პარტნიორების დახმარებით შეძლო სოფელ წინწყაროს მოსახლეობამ სოფლის ამბულატორიის რეაბილიტაცია. პროექტი მთელი მოსახლეობის აქტიური ჩართვით განხორციელდა, მაგრამ საქმიანობა ამით არ ამოიწურება: ამბულატორიაში მომუშავე [illegible] ექიმი და ლაბორანტი ჩაერთვნენ სოციალურ პროგრამაში, რომელსაც საერთაშორისო ფონდი კურაციო ხელმძღვანელობს.

ამ პროგრამის ფარგლებში ქალბატონებმა - მანო მეშველიანმა და ციცო ონიანმა, [illegible]

რაიონული ხელისუფლების მიერ ნაწილობრივ (მედ. პერსონალის ხელფასები) დაფინანსების შემთხვევაში [illegible] კურაციოს მიერ პროგრამის ფარგლებში მოწყობილ ტრენინგებს იმუნიზაციის, ქრონიკული დაავადებების მართვის, დედათა და ბავშვთა დაცვის, გერიატრიული დაავადებების თუ სხვა საკითხების შესახებ.

ჯოხთაბერიძე №5 იზოლატორში გადაიყვანეს

პირველი გვერდიდან

2 საათზე დაგეგმილი სასამართლო სხდომა 5 საათისთვის გადაიდო. ბრალდებული ჯოხთაბერიძე პროცესის დაწყებამდე 5 წუთით ადრე, გაძლიერებული დაცვით მას შემდეგ მიიყვანეს, როცა სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების მიზნით, შინაგანი ჯარის ნაწილები განლაგდნენ.

შენობაში შეყვანამდე ჯოხთაბერიძეს კომენტარი არ გაუკეთებია. ჟურნალისტები და შევარდნაძის ოჯახის წევრები კი სასამართლოს შენობაში სასამართლოს თავმჯდომარის სპეციალური ბრძანების შემდეგ შეუშვეს.

ორსაათიანი სხდომის შემდეგ, მოსამართლე მებონიამ ერთი საათი გადაწყვეტილებაზე ფიქრს მოანდომა და საბოლოოდ დაადგინა: **"გია ჯოხთაბერიძეს შეეფარდოს სამი თვით წინასწარი პატიმრობა".**

თუმცა, აღნიშნულ გადაწყვეტილებამდე მოსამართლე დაცვის და ბრალდების მხარის არგუმენტებს ისმენდა.

"ჯოხთაბერიძისადმი წარდგენილი ბრალდება არანაირ კანონიერ, ფაქტობრივ და რეალურ მტკიცებულებას არ ემყარება. მიუხედავად ამისა, ის დანაშაული, რაზეც "მაგთიკომის" დამფუძნებელს ედავებიან, ნაკლებად მძიმე დანაშაულს განეკუთვნება და მოსამართლეს თავისუფლად შეეძლო შედარებით მსუბუქი აღმკვეთი ღონისძიება გამოეყენებინა. ამასთან, ჩვენ თანახმა ვიყავით, ქალაქიდან გაუსვლელობის შეფარდებაზეც და ამისათვის, სადავო თანხის ნაცვლად, გირაოს სახით მილიონ ლარს ვთავაზობდით", - ამბობს ჯოხთაბერიძის ადვოკატი გიორგი ყავლაშვილი.

"მაგთიკომის" დამფუძნებლის გათავისუფლებაში პრობლემას ხედავდნენ გენერალური პროკურატურის წარმომადგენლები.

"გამოძიებას ჯოხთაბერიძის ბრალეულობაზე საკმარისი მტკიცებულება გააჩნია, ამიტომ მისი წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლება გამოძიებას ხელს შეუშლის. მით უმეტეს, არ არის გამორიცხული, რომ მას უახლოეს მომავალში ბრალი სხვა დანაშაულშიც წარედგინოს", - ასეთია ბრალდების პოზიცია, რომელმაც მოსამართლის

შევარდნაძის ოჯახი "მაგთიკომის" დათმობას არ აპირებს.

საბოლოო სიტყვაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია.

"ყველამ წინასწარ ვიცოდით, მოსამართლე რა გადაწყვეტილებასაც გამოიტანდა, ეს რამდენიმესაათიანი ფარსი რაღა საჭირო იყო? გამოეცხადებინათ თავიდანვე და დაისვენებდა ის ხალხიც, რომელიც ამდენი ხანი წვიმაში იდგა", - განაცხადა სასამართლოს სხდომის დასრულების შემდეგ პაატა შევარდნაძემ.

"მაგთიკომის" თანამშრომლები კი სასამართლოს წინ კვლავ - "გია, გია"-ს სკანდირებდნენ და იმედი ჰქონდათ, რომ შენობიდან გამოყვანილ ჯოხთაბერიძეს კიდევ ერთხელ დაინახავდნენ. მაგრამ სამი თვით პატიმრობაშეფარდებული, ყოფილი პრეზიდენტის სიძე სასამართლოს უკანა გასასვლელიდან გაიყვანეს და პირდაპირ სასჯელაღსრულების დაწესებულების №5 იზოლატორში მოათავსეს.

დარჩება თუ არა "მაგთიკომის" დამფუძნებელი წინასწარ პატიმრობაში, ჯერჯერობით, უცნობია, რადგან ადვოკატი ყავლაშვილი რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას საოლქო სასამართლოში აპირებს.

დიდი ლიახვის ხეობაში სამართალდამცველთა კონტროლი გაძლიერებულია

ბოლო ორი დღის განმავლობაში, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში უკიდურესად დაძაბული სიტუაციაა. კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ქართველები ოსი ეროვნების დამნაშავეთა დაკავებას და საკუთარი უსაფრთხოების გარანტიებს ითხოვენ. ცხინვალსა და დიდი ლიახვის ხეობაში კონტროლი განსაკუთრებულად გაძლიერებულია.

ხათუნა ჯანგირაშვილი

ქართველი სამართალდამცველები კვლავ უშედეგოდ ეძებენ ოსი ეროვნების კრიმინალებს, რომლებიც გუშინწინ, სოფელ თამარაშენში, ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმის თანამშრომლებს თავს დაესხნენ. მათ მიერ ავტომატური იარაღიდან გახსნილ ცეცხლს სახლ-მუზეუმის ორი დარაჯის სიცოცხლე შეეწირა.

მიყენებული მძიმე ჭრილობების გამო ელგუჯა ვახტანგიშვილი ადგილზევე გარდაიცვალა, ხოლო, ცხინვალის საავადმყოფოში გადაყვანილი თამაზ ყავლაშვილი, რომელსაც უმძიმესი ოპერაციები ჩაუტარდა, გუშინ, გვიან ღამით გარდაიცვალა.

მომხდარის გამო, ორი დღის განმავლობაში, დიდი ლიახვის ხეობის ქართული სოფლების მოსახლეობას გადაკეტილი ჰქონდა ცხინვალი-ჯავის საავტომობილო მაგისტრალი. აქციის მონაწილეები მკვლელების სასწრაფოდ დაკავებას და დასჯას ითხოვდნენ. დანაშაულში ეჭვმიტანილი ოსი თავდამსხმელების დასაკავებლად, ერთობლივი ქართულ-ოსური სპეცოპერაცია, გუშინწინ მთელი დღე-ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა ცხინვალის მიმდებარე ტერიტორიაზე, თუმცა, სამართალდამცველთა მონდომებას, ჯერჯერობით, შედეგი არ მოჰყოლია.

ქართველმა სამართალდამცველებმა ოსი კოლეგებისგან დაპირება მიიღეს, რომ ცხინვალის ტერიტორიაზე მიმალული კრიმინალების დასაკავებლად ყველაფერს გააკეთებენ. პრეზიდენტის რწმუნებულმა შიდა ქართლში, მიხეილ ქარელმა, გუშინ, ოსური ხელისუფლებისგან კატეგორიულად მოითხოვა განსაკუთრებული ოპერატიული ღონისძიებების გატარება და დამნაშავეთა სასწრაფოდ დაკავება.

როგორც ქართველი, ასევე ოსი ძალოვანები, დანაშაულში ეჭვმიტანილთა ვინაობას არ ამხელენ, თუმცა კულუარული ინფორმაციით, მათი გვარები ამ დროისათვის უკვე ცნობილია.

პრეზიდენტის რწმუნებული შიდა ქართლში, მიხეილ ქარელი სიტუაციის კიდევ უფრო დაძაბვას არ გამორიცხავს. ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მობილიზებულია როგორც სოფელ ქურთის პოლიცია, ასევე შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს დანაყოფი და ცხინვალში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების სარდლობა. გამოყვანილია მძიმე ტექნიკა, რათა მდგომარეობის კიდევ უფრო გართულება არ მოხდეს. ლიახვის ხეობის ქართული მოსახლეობა ხეობაში პოლიციის განყოფილებების კიდევ უფრო გაძლიერებას კატეგორიულად ითხოვს.

როგორც "24 საათთან" საუბრისას ცხინვალის პროკურორმა გურამ ბაბუცაძემ განაცხადა, გუშინწინ, სოფელ თამარაშენში მომხდარი მკვლელობა ქართულ-ოსური კონფლიქტის ნიადაგზე მომხდარ დანაშაულად არ შეიძლება მოინათლოს.

"ეს არ გახლავთ ქრთულ-ოსური კონფლიქტის ნიადაგზე მომხდარი მკვლელობა, ეს არის ჩვეულებრივი კრიმინალი. მკვლელობის მოტივი დადგენილია: ოსი კრიმინალები ცდილობდნენ, ერთ-ერთი დარაჯის შვილისთვის სანადირო თოფი წაერთმიათ, მას კი მამა და თანასოფლელი გამოექომაგნენ. თავდამსხმელებმა ცეცხლი სწორედ მათ გაუხსნეს. მოხდა სასწაული, მას შემდეგ, რაც კრიმინალებმა სროლა შეწყვიტეს, მოკლული ყავლაშვილის ვაჟმა ერთ-ერთი თავდამსხმელისთვის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის წართმევა მოახერხა. ახლა მიმდინარეობს ექსპერტიზები. თავდამსხმელთა შესახებ უკვე საიმედო ინფორმაციები და მონაცემები გაგვაჩნია. ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ისინი სასწრაფოდ დაისაჯონ. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მეტს ვერაფერს გეტყვით", - განგვიცხადა გურამ ბაბუცაძემ.

როგორ ისჯებიან რიგითი პოლიციელები

დანაშაულის დამალვა და სტატისტიკის შელამაზება ქართული პოლიციის მუშაობის თანმდევი პროცესია. ამ მანკიერი სენის გამოსასწორებლად თუ სხვადასხვა დონეზე ქულების ჩაწერის მიზნით, ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრები თუ პროკურორები დამალული დანაშაულების გამოვლენასა და დამნაშავე პოლიციელების დასჯაზე პერიოდულად ხმამაღლა საუბრობდნენ. მაგრამ, საბოლოოდ სამართალდამცავ სტრუქტურებში არც აღნიშნული დანაშაული აღმოფხვრილა და არც დასჯილი მაღალჩინოსანი პოლიციელი უნახავს ვინმეს. თანამდებობის პირთა საჩვენებელი რისხვა, ძირითადად, რიგით პოლიციელებს ატყდებოდათ, რომლებიც სამართალის საძებნელად ხშირად სასამართლოს მიმართავდნენ, მაგრამ...

თამარ კაციტაძე

ერთი ასეთი საქმის განხილვას უზენაესი სასამართლო მალე დაიწყებს. დანაშაულის დამალვისთვის სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ბრალდებულ, შინაგან საქმეთა სამმართველოს, ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარე მეორე განყოფილების სექტორის უფროს ინსპექტორს (უბნის ინსპექტორი) გია ქოროღლიშვილს სჯერა, რომ უმაღლეს მართლმსაჯულებაში საკუთარი სიმართლის დამტკიცებას შეძლებს და საბოლოოდ დადგინდება ის პიროვნებაც, ვის მაგივრადაც მას საოლქო სასამართლომ ერთი წლით პირობითი სასჯელი მიუსაჯა.

"მე სხვისი უფლებების დაცვა მევალება, მაგრამ საკუთარი სიმართლის დადგენისთვის, თითქმის ორი წელია, ჯერ პროკურატურაში, ახლა კი სასამართლო სისტემაში უშედეგოდ ვიბრძვი", - განაცხადა ჩვენთან საუბარში პოლიციის მაიორმა ქოროღლიშვილმა.

უბნის ინსპექტორის მონათხრობით, დანაშაულის დამალვის ისტორია ასე დაიწყო.

"ოპერატიულმა მუშაკმა კიკალიშვილმა მითხრა, მაღაზიის გაქურდვასთან დაკავშირებით მორიგესთან შეტყობინება შემოვიდა და შემთხვევის ადგილზე გავდივართო. კიკალიშვილი და კიდევ ერთი ოპერატიული მუშაკი, მეტსახელად "წიე" (ნამდვილი სახელი არ ვიცი, რადგან დროებით აფხაზეთის პოლიციიდან იყო მომაგრებული), შენობაში შევიდნენ, მე კი ობიექტის დასაცავად გარეთ დავრჩი. შემთხვევის ადგილის დათვალიერების შემდეგ პოლიციის განყოფილების უფროსის მოადგილესთან პავლე შტენინგერთან მივედით და ყველაფერი მოვახსენეთ. როგორც გაირკვა, კიკალიშვილი შესამოწმებლად სწორედ მისი დავალებით გავიდა. გარდა ამისა, კანონით, ამ საქმეზე არაფერი მევალებიდა", - ამბობს ქოროღლიშვილი.

მაღალჩინოსნების ნაცვლად რიგითი პოლიციელები ისჯებიან.

უბნის ინსპექტორის თქმით, მაღაზიის გაქურდვიდან ოცი დღის გასვლის შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ დანაშაულის დამალვის ფაქტზე მოკვლევა დაიწყო, ქოროღლიშვილს სასტიკი საყვედური გამოუცხადეს და მასალები, შემდგომი გამოძიების მიზნით, თბილისის პროკურატურაში გადაგზავნეს.

"დანაშაული რომ დამალეს, სამინისტროში გავიგე, მაგრამ სიმართლე ვერ ვთქვი, რადგან "ჩამშვებად" მომნათლავდნენ. თანაც, უფროსები მპირდებოდნენ, არაფერი თქვა და ყვალაფერს ჩვენ გავაკეთებთო. საყვედური რომ გამომიცხადეს, არც ამაზე მითქვამს რამე. უფროსების გამო ხშირად გვიცხადებდნენ საყვედურებს, მაგრამ პოლიციაში ეს ჩვეულებრივი ამბავია", - ამბობს უბნის ინსპექტორი.

ქალაქის პროკურატურამ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლით საქმე ფაქტზე აღძრა და იგი ვაკე-საბურთალოს პროკურატურას გადაუგზავნა.

"პროკურატურაში ყველაფერი გააკეთეს, რომ სიმართლე არ დადგენილიყო. თითქოს ვერ შეძლეს დაედგინათ, ვინ იყო "წიე", რომელიც ჩვენთან ერთად შემთხვევის ადგილზე გავიდა. თუმცა დაზარალებულებმა ახსნა-განმარტებაში მიუთითეს, რომ პოლიციის განყოფილებაში დარეკეს და შეტყობინება მორიგეს დაუტოვეს, დაკითხვისას ესეც გადაათქმევინეს, სასამართლოზე კი კვლავ დაადასტურეს. აურიეს დარეკვის დრო, რათა ვერ გარკვეულიყო, ვინ იყო იმ დღეს მორიგე და ა.შ. არადა, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან დანაშაულის აღრიცხვა სწორედ მორიგეს უნდა მოეხდინა", - გვითხრა ქოროღლიშვილის ადვოკატმა ცისანია ქველაძემ.

თავდაპირველად რამდენიმეთვიანი გამოძიების შემდეგ ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურამ საქმე გაუხსნელობის მოტივით შეაჩერა. მიზეზად დასახელდა ის, რომ დამნაშავე ვერ დაადგინეს.

"როგორც ჩანს, პროკურატურას კოლეგიაზე ქულების ჩასაწერად დასჯილ პოლიციელთა სია დასჭირდა. ზუსტად ხუთი თვის შემდეგ გამოძიება განაახლეს და ბრალდებულად ქოროღლიშვილი და კიკალიშვილი გამოაცხადეს. არადა, საქმეში დამატებით არანაირი ახალი მტკიცებულება არ მოიპოვება", - ამბობს ადვოკატი.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე ბრალდებული ყველა დაკითხვაზე მიუთითებდა - მაღაზიის გაქურდვის შესახებ ინფორმაცია განყოფილების უფროსის მოადგილის, კრიმინალური პოლიციის უფროს პავლე შენინგერისგან გაიგეს და შემთხვევის ადგილზეც მისი დავალებით გავიდნენ, პროკურატურამ იგი უდანაშაულოდ ცნო და საქმე საოლქო სასამართლოში გადაგზავნეს.

"თავდაპირველად, პირად საუბარში მოსამართლე გვეუბნებოდა, გამოძიებამ ნახევარფაბრიკატი საქმე გამოგვიგზავნა და უკან უნდა დავაბრუნოთო. მაგრამ მერე მაინც პროკურატურის მხარე დაიჭირა, საყვედურს მიიღებენო, და ქოროღლიშვილს ერთი წლით პირობითი სასჯელი მიუსაჯა. მეტიც, მოსამართლე თავად გამოვიდა ბრალმდებლის როლში და საქმეში ბრალის წარსადგენად საჭირო მტკიცებულებები რომ ვერ აღმოაჩინა, უბნის ინსპექტორი მინისტრის ბრძანებულების შეუსრულებლობაში დაადანაშაულა. არადა, ამგვარი ბრალდება გამოძიების მასალებში საერთოდ არ არსებობდა, რაც კანონის უხეში დარღვევაა", - გვითხრა ცისანა ქველაძემ.

საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებას ქოროღლიშვილი უზენაეს სასამართლოში ასაჩივრებს და საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცების იმედი აქვს.

"ჩემი სურვილია, საქმე გამოძიებაში ხელახლა დაბრუნდეს და ნამდვილი დამნაშავე დადგინდეს. მაღალჩინოსნების ნაცვლად რიგითი პოლიციელების დასჯას, ერთხელ და სამუდამოდ, წერტილი უნდა დაესვას", - ამბობს უბნის ინსპექტორი გია ქოროღლიშვილი.

თბილისში მომხდარი გაუხმაურებული მკვლელობა საიდუმლოებითაა მოცული

ერთი კვირის წინ, მთაწმინდაზე, შანიძის №-32-ში მცხოვრები დავით გუგუშვილი საკუთარ ბინაში, საკუთარ ოთახში დედამ ცეცხლსასროლი იარაღით მოკლული იპოვა. მომხდარი მკვლელობა დღემდე საიდუმლოებით არის მოცული და ამის შესახებ არავინ საუბრობს.

ხათუნა ჯანგირაშვილი

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მოკლული დავით გუგუშვილი ქალაქის პოლიციის ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების ყოფილი თანამშრომელი გახლათ და ის უახლოეს ხანში ახალ თანამდებობაზე დანიშვნასაც ელოდა.

დავით გუგუშვილის მკვლელობის დღესვე სამართალდამცველებმა მკვლელობაში ეჭვმიტანილი, გარდაცვლილის ბავშვობის მეგობარი დვალი დააკავეს. საქმე ისაა, რომ გუგუშვილის დედამ შვილი მკვლელობამდე რამდენიმე წუთით ადრე სწორედ მეგობართან, დვალთან ერთად, საკუთად სახლში ნახა. გუგუშვილი შუადღისას სახლში მეგობართან ერთად დაბრუნდა და მასთან ერთადვე საკუთარ ოთახში შევიდა. დავით გუგუშვილის დედამ მეგრობრები სახლში დატოვა და საქმეზე გავიდა. დაახლოებით 10-15 წუთში მან სახლში დარეკა, თუმცა არავინ უპასუხა. სახლში სასწრაფოდ დაბრუნებულს შვილის მეგობარი იქ აღარ დახვდა, შვილი კი მოკლული ნახა.

რადგან მკვლელობაში ეჭვმიტანილი დვალი სამთავრობო დაცვის წევრი გახლავთ, კანონის მიხედვით, მკვლელობის საქმე ქვემდებარეობის გამო ეჭვმიტანილის დაკავებიდან სამი საათის განმავლობაში სამხედრო პროკურატურას გადაეცა. თუმცა, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, თბილისის სამხედრო პროკურატურამ საქმე კვლავ მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურატურას დაუბრუნა.

ამის მიზეზი ეჭვმიტანილის გათავისუფლება გახდა. როგორც ჩვენთან საუბარში მთავარმა სამხედრო პროკურორმა პაატა ჯახუტაშვილმა და ქალაქის სამხედრო პროკურორმა გურამ სხირტლაძემ განაცხადეს, არ არსებობდა მყარი მტკიცებულებები მოკლულის მეგობრის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ. **"დვალის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულებები საკმაოდ სუსტი და არაფრის მთქმელი იყო",** - გვითხრა მთავარმა სამხედრო პროკურორმა. ჩვენი ინფორმაციით, როგორც თავად დვალმა განაცხადა დაკითხვისას, მომხდარის შესახებ არაფერი იცის, წარმოდგენა არ აქვს, რა მოხდა მეგობრის ბინაში მისი იქიდან გამოსვლის შემდეგ.

"დვალის გათავისუფლების კანონიერება-არაკანონიერებაზე ჯერ ვერანაირად ვერ ვიმსჯელებთ, გამოძიება ყველაფერს გაარკვევს", - განგვიცხდა მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა, რომელიც სამხედრო პროკურატურიდან დაბრუნებული მკვლელობის საქმის გამოძიებას უნდა შეუდგეს.

ერთი სიტყვით, ჯერ კიდევ დაუდგენელია, ვინ მოკლა საკუთარ სახლში, შანიძის 32-ში, დღისით-მზისით, ნარკომანიასთან და ნარკობიზნესთან ბრძოლის განყოფილების ყოფილი თანამშრომელი. უცნობია მკვლელობის მოტივიც.

მოკლედ

ქუთაისი. ქუთაისელმა სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის დროს ავტომანქანის ქურდები დააკავეს, რომლებიც ქუთაისში სოხუმის ქუჩაზე მანქანის გატაცებას ცდილობდნენ. ქუთაისელებმა რევაზ მორჩილაძემ და ვეფხია არველაძემ ჯერ ავტომანქანა "ვაზ-21-06" გაიტაცეს. შემდეგ კი სოხუმის ქუჩაზე "მერსედესის" მარკის ავტომანქანის გატაცება სცადეს, ხოლო "ვაზ-21-06"-ის იქვე დატოვებას აპირებდნენ. ანონიმური ზარის საფუძველზე პოლიციელებმა მანქანის ქურდებს შემთხვევის ადგილზე მიუსწრეს და დააკავეს. ორივე პიროვნება წინასწარი დაკავების იზოლატორშია მოთავსებული. მოკვლევას ქუთაისის საგამოძიებო სამსახური აწარმოებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი, კარგა ხანია, ცხინვალში აღარ გამოჩენილა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ დე-ფაქტო პრეზიდენტი სასტიკად არის ნაცემი და მოსკოვში, სახლში მკურნალობს. იგი ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლების უშიშროების საბჭოს ყოფილმა მდივანმა ალბერტ თედეევმა და მისმა ძმამ, მოჭიდავე ჯამბულატ თედეევმა, მეტსახელად „დიკებმა", სცემეს. შეგახსენებთ, რომ ალბერტ თედეევი 2003 წლის ზაფხულში „მთავრობის" სხვა წევრებთან ერთად, კოკოევმა თანამდებობიდან დაითხოვა, რასაც ცხინვალში შეიარაღებული დაპირისპირება მოჰყვა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის მთავარი სამმართველოს სამაშველო სამსახური, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი და ფედერალური გამოძიების ბიურო, სამშაბათს თბილისის ზღვის ტერიტორიაზე არსებული დაუმთავრებელი სასტუმროს შენობაზე პრაქტიკულ მეცადინეობას გამართავს თემაზე - რეაგირება "რადიოაქტიური ბინძური ბომბის" ტერორისტული მიზნით გამოყენებასთან დაკავშირებით. შსს-ს საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის მთავარი სამმართველოს საინფორმაციო სამსახურის ცნობით, მეცადინეობაში მონაწილეობას მიიღებენ ასევე კატასტროფის მედიცინის ცენტრი, სახანძრო სამსახური, ეროვნული გვარდიის დანაყოფი და საზოგადოებრივი დაცვის პოლიცია.

სწავლების მიზანია რეაგირების მონაწილე ორგანიზაციების მოქმედებების, ურთიერთქმედების მექანიზმების და კოორდინაციის დახვეწა. **პრაიმ-ნიუსი**

ვარიანტი "ომეგა"

პირველი გვერდიდან

რევოლუციონერები და კონტრრევოლუციონერები

ნებისმიერი პოსტრევოლუციური რეჟიმის მთავარი საფრთხე კონტრრევოლუციაა, რაც გულისხმობს არა მარტო რევოლუციის შედეგად დამარცხებული ძალების მობრუნებას ხელისუფლებაში, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების იმედგაცრუებას იმ იდეალებსა და ღირებულებებში, რითაც რევოლუციონერები ძველ რეჟიმს უპირისპირდებოდნენ. რევოლუციური ცვლილებები სწორედ ღირებულებათა სისტემის ცვლილებას ნიშნავს და ამ პროცესში დაპირისპირებული ბანაკები სხვადასხვა ღირებულებათა სისტემას განასახიერებენ.

"ომეგა-ჯგუფიც" გარკვეული ღირებულებების სისტემის განსახიერებას წარმოადგენს. ესაა შევარდნაძის ეპოქის ტიპური პროდუქტი, ოლიგარქიული დაჯგუფება, რომლის ფესვებიც მყარადაა გადგმული ასლან აბაშიძის რეჟიმის, კორუმპირებული ძალოვანი უწყებებისა და სხვა პოლიტიკურ-კრიმინალური ძალების წიაღში. მსგავსი ჯგუფები საქართველოში არაერთია. ზოგი მათგანი უფრი მეტად ჩანს, ზოგი - ნაკლებად, მაგრამ სწორედ ამ მცირერიცხოვან ოლიგარქიებს შორის იყო გადანაწილებული რეალური ძალაუფლება შევარდნაძის მმართველობის პერიოდში. ამიტომაც მოჰყვა ასეთი მწვავე რეაქცია "ომეგას" საწარმოში პროკურატურის შესვლას. თუკი მანამდე კორუმპირებული მოხელეების დაპატიმრებებს მარტო უფლებადაცვითი ორგანიზაციები აპროტესტებდნენ, ისიც მხოლოდ პროცედურული მართლზომიერების კონტექსტში, ამჯერად წინა პლანზე გამოვიდნენ ჟურნალისტები, მწერლები, პოლიტიკოსები და არა მარტო ისინი. გამოვიდნენ სიტყვის თავისუფლების დაცვის ეგიდით.

არადა, ისტერიულ მოთქმაგოდებას სიტყვის თავისუფლების ხელყოფის გამო, ყველაზე ნაკლები კავშირი სწორედ სიტყვის თავისუფლების დაცვასთან ჰქონდა. არც ერთი მათგანი, ვინც ასე გულმხურვალედ გამოთქვამდა აღშფოთებას ხელისუფლების ქმედების მიმართ, არათუ ადრე არასდროს ყოფილა შემჩნეული არანაირ სამოქალაქო აქტივობაში, არამედ ხშირად გამოსულა ეთნიკური და რელიგიური შემწყნარებლობის, ძალოვან უწყებებზე საზოგადოებრივი კონტროლისა თუ იგივე სიტყვის თავისუფლების პრინციპების წინააღმდეგ. დემოკრატია მათ არ ანაღვლებთ, მათ სხვა რამ აწუხებთ. კერძოდ, ის, რომ სწორედ ახლა იგრძნეს თამაშგარე მდგომარეობაში დარჩენის რეალური საფრთხე

ბუნებრივია, "ომეგას" გულშემატკივართა შორის იყვნენ ისეთებიც, ვინც სამუშაოს და ელემენტარული სარჩოს დაკარგვის გამო შიშობდა, მაგრამ საპროტესტო აჟიოტაჟის ინიციატორები ისინი არ ყოფილან. მოწინავეთა რიგებში სხვა ხალხის ჟრიამული ისმოდა. ჩვენ კვლავ ვიხილეთ ძველი სახეები "ახალი საქართველოს" ექსსამთავრობო ბლოკიდან და მათი მედია-ამალა, ვიხილეთ ძველი ფსევდოოპოზიციონერები და ახალი ფსევდოინტელიგენტები. ისინი ბევრნი იყვნენ, მაგრამ გაცილებით მეტი, ვიდრე სამოქალაქო საზოგადოებას შეუკრებია რელიგიური ექსტრემიზმის საწინააღმდეგო თუ პოლიციის მიერ ნაცემი ჟურნალისტის მხარდასაჭერ აქციაზე.

"ომეგელები" და მათი დამცველები.

და ეს ყველაფერი ხდება ვარდების ტრიუმფალური რევოლუციიდან სულ რაღაც სამი თვის შემდეგ, როცა რევოლუციურ ეიფორიას ჯერაც არ გადაუვლია და ახალი ხელისუფლების მიმართ ნდობის ხარისხი კვლავაც ძალიან მაღალია.

მოლოდინები და რეალობები

სწორედ ამიტომ არის "ომეგა-ჯგუფის" ამბავი სიმპტომატური. **სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ თუკი საქართველოს ხელისუფლება სერიოზულად მოჰკიდებს ხელს ოლიგარქიული დაჯგუფებების ნეიტრალიზაციას, წინააღმდეგობა გაათკეცდება, და, რაც მთავარია, ამ ბრძოლაში მარტო ძალოვანი სტრუქტურებისა და ე. წ. "პიარ-აქციების" ხარჯზე ხელისუფლებას გამარჯვების არავითარი შანსი არა აქვს.**

დღეს რევოლუციური ხელისუფლების ძალა ხალხის მხარდაჭერაშია. ეს მხარდაჭერა კი მთლიანად მოლოდინებზე დგას. დასაქმება, შემოსავლების ზრდა, სტაბილური უსაფრთხოება, განათლებისა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, თანასწორუფლებიანობა და სამართლიანობა - ეს ის უპირველესი ღირებულებებია, რაც ცინიკურად იქნა უგულებელყოფილი შევარდნაძის ხელისუფლების დროს და რის გამოც ვარდების რევოლუციას ასიათასობით ადამიანმა დაუჭირა მხარი. მიხეილ სააკაშვილის 96 პროცენტი მხოლოდ იმედის პროცენტია. ამ ციფრის უკან არანაირი რეალობა არ დგას. რეალობა კი არის ის, რაც ხალხს არ მოსწონს და რისი შეცვლის იმედიც აქვს.

მაგრამ არსებული რეალობა, შევარდნაძის ეპოქის დანატოვარი მემკვიდრეობა, ძალიანაც სასურველია იმ ოლიგარქიული ჯგუფებისთვის, რომლებიც სწორედ ამ რეალობაში განმტკიცდნენ. მათ სახელისუფლებო სტრუქტურებთან შეხმატკბილება-შეზრდის მეშვეობით გაიკვალეს გზა და კონკურენტულ გარემოში არასოდეს უცხოვრიათ. აქედან გამომდინარე, ისინი მხოლოდ კოსმეტიკურ ცვლილებებზე თუ დათანხმდებიან. სისტემური ცვლილებები მათთვის (თუ ყველასთვის არა, აბსოლუტური უმრავლესობითვის მაინც) კატასტროფის ტოლფასია.

ამიტომ აქ გადამწყვეტი ხელისუფლების არჩევანია. არსებობს სულ სამი ვარიანტი. პირველი, ესაა ოლიგარქიებთან (თუ ყველასთან არა, უმრავლესობასთან მაინც) მორიგება, რაც, ფაქტობრივად, ცვლილებებზე უარის თქმა და არსებული სიტუაციის შენარჩუნების მცდელობა იქნება. ბუნებრივია, ეს ისეთ უმძაფრეს რეაქციას გამოიწვევს, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, რომ ხელისუფლების კრახი გარდუვალი გახდება. მოვლენათა განვითარების ამგვარი სცენარი იმდენად ცხადია, რომ დღევანდელ ხელისუფლებას ოლიგარქიებთან დაზავების არანაირი სურვილი არ უნდა გააჩნდეს და, როგორც ჩანს, არც გააჩნია.

გაცილებით მაცდუნებლად გამოიყურება მეორე ვარიანტი: ძალაუფლების კონცენტრაცია ცენტრალური ხელისუფლების ხელში და ძალოვანი უწყებების მეშვეობით ოლიგარქიების დამორჩილება - ნაწილის განადგურება, ნაწილის დაქვემდებარება-გაკონტროლება. ამან, წესით, უნდა გამოიწვიოს კრიმინოგენული სიტუაციის დარეგულირება, საბიუჯეტო შემოსავლების მატება და პენსია-ხელფასების გარკვეული ზრდა, რაც სრულიად საკმარისი იქნებოდა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის დასაკმაყოფილებლად, მაგრამ აქ ერთი გადაულახავი დაბრკოლებაა.

საქმე ისაა, რომ ოლიგარქიებთან დაპირისპირებაში წარმატების აუცილებელი პირობაა საზოგადოების მხარდაჭერა. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ "ომეგას" ოფისში შესვლა არაპოპულარულ და დისკრედიტირებულ ხელისუფლებას განეხორციელებინა. რამდენი ათასი ადამიანი გამოვიდოდა ქუჩაში, ანდა როგორი იქნებოდა თუნდაც იგივე ვალტერ შვიმერის შეფასება? პასუხი ნათელია. გარდა ამისა, ხელისუფლების არაპოპულარულობა იმასაც ნიშნავს, რომ ქვეყანაში აუცილებლად არსებობს უფრო პოპულარული პოლიტიკური ოპოზიცია. ის, რომ დღევანდელ ხელისუფლებას რეალური ოპოზიცია არა ჰყავს, არაფერს ნიშნავს. საკმარისია ხელისუფლებამ დაკარგოს ნდობა და ძლიერი ოპოზიცია თავისთავად გაჩნდება, შესაძლოა, იმავე ხელისუფლების წიაღიდანაც. ამის მაგალითები, შორს რომ არ წავიდეთ, საქართველოშიც არაერთი გვაქვს. ბოლოს და ბოლოს, ვარდების რევოლუციასაც ის ხალხი ხელმძღვანელობდა, ვინც ადრე შევარდნაძის ხელისუფლებაში იყო.

ცხადია, დღევანდელი ხელისუფლება ასეთი პოპულარული მუდმივად ვერ იქნება და მიხეილ სააკაშვილის 96 პროცენტიანი რეიტინგიც ადრე თუ გვიან დაიკლებს, მაგრამ აქ მთავარია არა იმდენად რაოდენობა, რამდენადაც ხარისხი. **ხელისუფლება სტაბილურად ძლიერია მხოლოდ მაშინ, თუ მისი ძალაუფლება ეყრდნობა საზოგადოების სხვადასხვა ფენების მონაწილეობას გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში.** სხვანაირად რომ ვთქვათ, მთავარია საზოგადოების მონაწილეობის ხარისხი და არა ამა თუ იმ ოდენობის საზოგადოების ემოციური სიმპათიები. ემოცია წარმავალია. მყარ მხარდაჭერას მხოლოდ პროცესში ჩართულობა განაპირობებს.

ძალაუფლება და თავისუფლება

ძალაუფლების კონცენტრაცია კი მონაწილეობის გაფართოებას ავტომატურად გამორიცხავს. შესაბამისად, ხელისუფლებისგან გაუცხოების ხარისხი არსებითად იგივე რჩება. არადა, მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის შესამჩნევი გაუმჯობესება პრინციპულად შეუძლებელია შესაბამისი ეკონომიკური ურთიერთობების გარეშე. ეს გულისხმობს მაკონტროლებელი ორგანოების თვითნებობის აღკვეთას, სათანადო ფისკალური რეჟიმის უზრუნველყოფას, ლეგალური ბიზნესის ხელშეწყობას სახელმწიფო დონეზე.

ამის გაკეთება ძალაუფლების მაქსიმალური კონცენტრაციით პრაქტიკულად შეუძლებელია. **თავისუფალი ბიზნესი, უპირველეს ყოვლისა, იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ეკონომიკური ძალაუფლების დიდ წილს ბიზნესმენებს გადასცემს.** ანუ, სახელმწიფო მოხელეები არ ღებულობენ ექსკლუზიურ გადაწყვეტილებებს ბიზნესის წარმართვის სფეროში. ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას განათლების, კულტურისა თუ მასმედიის შესახებ. აღარაფერს ვამბობ ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა. აქ ჩილეს მაგალითის მოხმობა არ გამოდგება, პინოჩეტი ხელისუფლებაში სამხედრო გადატრიალების გზით მოვიდა და არა ხალხის მხარდაჭერით. მას კონცენტრირებული ძალაუფლება იმთავითვე გააჩნდა და მისი რეფორმების წარმატება სწორედ ძალაუფლების დეცენტრალიზაციით, საზოგადოების მონაწილეობის გაფართოებით იყო გაპირობებული. ამჟამად ჩილეს პრეზიდენტი ის კაცია, რომელიც გადატრიალების შემდეგ ციხეში იჯდა, დღეს კი თვითონ ითხოვს პინოჩეტის ციხეში ჩასმას...

საქართველოში სულ სხვა სიტუაციაა. ძალაუფლება ხელთ ეპყრათ და, მნიშვნელოვანწილად, ახლაც უპყრიათ იმ ოლიგარქიებს, რომლებიც არანაირად არ ყოფილან ვარდების რევოლუციის მომხრეები. ამიტომ ძალაუფლების კონცენტრაცია შეუძლებელია ოლიგარქიების დამარცხების გარეშე. ოლიგარქიების დამარცხებას საზოგადოების მხარდაჭერა ჭირდება, რისთვისაც მონაწილეობის გაფართოება, ანუ სახელისუფლებო ძალაუფლების გარკვეული წილის დათმობაა საჭირო. მოკლედ, ერთგვარი მოჯადოებული წრე იქმნება, რომლის გარღვევა მხოლოდ ერთადერთი გზითაა შესაძლებელი - ესაა ძალაუფლების ერთ წერტილში კონცენტრაციაზე უარის თქმა.

თუ ხელისუფლება მაინც შეეცდება ძალაუფლების კონცენტრაციას მონაწილეობის გაფართოების, ანუ ლიბერალურ-დემოკრატიული ინსტიტუციების გაძლიერების გარეშე, მაშინ იგი ერთი ერთზე დარჩება ოლიგარქიებთან, საზოგადოებრივი მოლოდინების იმედგაცრუების ფონზე. ეს კი ზუსტად ის შემთხვევა იქნება, რომელიც ზემოხსენებულ ტელეფილმშია აღწერილი - თითქოს ძალა შენს ხელშია, თითქოს ყველაფერს აკონტროლებ, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს აღმოჩნდება რომ სასტიკად დამარცხდი.

რევოლუციის მარცხი კი მარტო ხელისუფლების მარცხი არ იქნება. ეს იქნება ფაქტობრივი რევანში და ხელისუფლებაში მოვლენ სწორედ ისინი, რომლებმაც "ომეგას" მხარდასაჭერ მიტინგებზე გაიელვეს. და არა მარტი ისინი, გაცილებით მეტია მათი რიცხვი, ვინც იქ გამოჩენა ვერ გაბედა, მაგრამ გულით იქ იყო. ჯერ ვერ გაბედა, თორემ თუ დრო მოვიდა, გაბედავენ და თავსაც გაგვახსენებენ. ისინი ხომ არსად წასულან, ისევ აქ არიან და ჯერ კიდევ არ სჯერათ, რომ თამაშს გამოეთიშნენ. ისინი არ იმოქმედებენ შევარდნაძის სახელით, უბრალოდ, იტყვიან, რომ შევარდნაძე ცუდი იყო, ახლანდელი ხელისუფლება კი უფრო უარესია და ფარად ქართველობას, მართლმადიდებლობას და ღირსებას აიფარებენ. ამის მცირე რეპეტიცია ყოველმა ჩვენგანმა დღესაც შეიძლება ნახოს ტელეკომპანია "იბერიის" ეთერში.

სწორედ ამიტომ დღევანდელი ხელისუფლების, და არა მარტო ხელისუფლების ერთადერთი შანსი დემოკრატიული რეფორმების გაღრმავებაა. საზოგადოების მონაწილეობის გაფართოება არის ის ერთადერთი ბერკეტი, რამაც შეიძლება უზრუნველყოს ხელშესახები შედეგები შედარებით მოკლე ხანში და არ გამოიწვევს მოლოდინების გაცრუებას. ძლიერი ხელისუფლება, რომელიც ეყრდნობა თავისუფალ საზოგადოებას, არა მარტო მიზანი უნდა იყოს, არამედ ამ პრინციპის დამკვიდრება აღნიშნული მიზნის მიღწევის ყველაზე ეფექტური საშუალებაა. ეს არ არის ადვილი არჩევანი, მაგრამ სხვა არჩევანი არც ხელისუფლებას და არც ქვეყანას არა აქვს. სხვა გზა ისევ იქით მიდის, საიდანაც ნოემბრის დღეებში ყველამ ერთად გამოვაღწიეთ. ასე, რომ ხელისუფლებას მხოლოდ მესამე ვარიანტი რჩება, რომელიც პრაქტიკულად პირველიცაა და უკანასკნელიც, ანიც და ჰოეც, ალფაც და ომეგაც: **ძალაუფლების განმტკიცება საზოგადოებისთვის ძალაუფლების გადაცემით.**



ნოდარ ლადარია

ორშაბათის ნომერს **დათო ზურაბიშვილი** შემოეჩვია (welcome, David!), **ირაკლი ბერიაშვილს** კი კოშმარები... ნეტა რა მაჩქარებს, წინ კიდევ თხუთმეტიოდე ათასი ნიშანი მელის, ასე რომ, დინჯად შევუდგეთ სათქმელსა და განსასჯელს.

ახალმა მთავრობამ მოქმედება დაიწყო. 17 თებერვალს **გიორგი ასანიშვილმა** მას "სპეცოცეული" უწოდა. განსაკუთრებული მადლობა უნდა მოვუხადო გიორგის შემდეგი წინადადებისთვის: "**ახლახან მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებების თანახმად, სპეცოცეულის დათხოვნა პრეზიდენტსაც და პარლამენტსაც ყოველგვარი მოტივაციის გარეშე შეუძლია**". ჯერ ერთი, "24 საათმა" არ უნდა დაივიწყოს ის თვალსაზრისი, უფრო სწორად კი შეთანხმებული თვალსაზრისები, რომლებიც მის ფურცლებზე გამოითქვა ამ ცვლილებათა საწინააღმდეგოდ. ყოველ შემთხვევაში, მოქალაქეობრივი ღირსების მქონე მკითხველს ვპირდები, რომ მე ამას არასოდეს დავივიწყებ და არც ერთ შემთხვევას არ გავუშვებ ხელიდან, რომ ეს გავახსენო, ვისაც საჭიროა.

მაგრამ მოყვანილი ციტატიდან სხვაც გამომდინარეობს: რას ემყარება ამ მთავრობის მდგრადობა? არსებობს ორი რუსული სასაუბრო გამოთქმა: "на соплях" და "на честном слове". საინტერესოა, რომ ორივე ეს გამოთქმა შეიძლება გამოვიყენოთ საქართველოს ახალი მთავრობის დასახასიათებლად. საკონსტიტუციო ცვლილების შედეგად შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ ეგრეთ წოდებული "ადამიანური ფაქტორი" კი არ გამოირიცხა კანონიდან, არამედ გაძლიერდა. აღმოჩნდა, რომ მთავრობის ყოფნა-არყოფნის საკითხი ორ ცეცხლშუა დგას: ერთი მხრივ, მას პრეზიდენტის ინდივიდუალური ნება ემუქრება, მეორე მხრივ — პარლამენტის კოლექტიური ნება. ასეთ პირობებში შეიძლება წარმოიქმნას ისეთი სიტუაცია, როცა მთავრობის შემადგენლობის სასარგებლოდ საკითხს მისი დამნიშვნელის თავმოყვარეობა გადაწყვეტს: მოგეხსენებათ, პირველად ნათქვამის უკან წაღება ძნელია — ხან მედგრად იცავ საკუთარ სიტყვას, ხანაც ცრემლ-წვინტლი გდის, მაგრამ ეს განსხვავება არაა არსებითი. მთავარი ისაა, რომ ორივე შემთხვევაში მოქმედი ფაქტორი საკანონმდებლო ობიექტურობის მიღმა მდებარეობს.

სწორედ ამას ეხებოდა უკვე ნახსენები დავით ზურაბიშვილის ანალიზური სტატია *ახალ მინისტრთა კაბინეტზე, საკადრო პოლიტიკაზე* და არა *მარტო მათზე* (16 თებერვალი). მოვიყვანოთ საკვანძო ადგილი: "**რაც შეეხება პერსონალიებს, "საკადრო პოლიტიკა" აქ არაფერ შუაშია. ასეთ ტერმინს ცივილიზებული მსოფლიო საერთოდ არ იცნობს. კადრებს, ანუ პერსონალიების თვისებებს განსაზღვრავს მმართველობის წესი. შევარდნაძის საკადრო პოლიტიკაზე სწორედ იმიტომ იყო ბევრი ლაპარაკი, რომ კადრების შერჩევის საკითხს საქართველოს ექსპრეზიდენტი მისი საკუთარი პასუხისმგებლობის აცილების კუთხით განიხილავდა. ამიტომაც იყო მისი "საკადრო პოლიტიკა" ყოველთვის ცუდი. რადგან ასეთი პოლიტიკა არასოდეს არ შეიძლება იყოს კარგი. საქართველოს მთავრობას ყველაზე კარგი კადრები მაშინ ეყოლება, როცა საკადრო პოლიტიკა, როგორც ასეთი, აღარ იარსებებს**".

ეს ვითარება კი მხოლოდ მაშინ დადგება, როცა განხორციელდება ერთი პირობა. ამ პირობაზე ჯერ კიდევ შარშან გვესაუბრა საკმაოდ საფუძვლიანადაც **გოგა ოქროპირიძე**: ვგულისხმობთ დაბალი და საშუალო დონის ბიუროკრატიის მაღალ პროფესიონალიზმს. დიახ, საქართველოში ბიუროკრატია ჯერ არ არსებობს. ის, რასაც სააკაშვილი და ჟვანია საყვედურობენ ჩვენში დამკვიდრებულ მმართველობის სისტემას (ხომ გახსოვთ, გაბერილი შტატები, საკითხების გადაწყვეტის გაჭიანურება, ოპერატიული მოუქნელობა) სულაც არაა ბიუროკრატია, ეს ბიუროკრატიის არარსებობაა. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ბიუროკრატიის უპიროვნო ანონიმურ ძალად ჩამოყალიბებას წლები სჭირდება, ასე რომ, ცამდე მართალია **ნინო ბურჯანაძე**, როცა ამბობს, რომ დღევანდელ საქართველოში კარგი ან მოწინავე მთავრობა ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება.

ჩემი პირადი აზრი თუ ვინმეს აინტერესებს, ცხადია, რომ ამ საქმეში ყველაზე დიდი მნიშვნელობა განათლების სამინისტროს ენიჭება. ძალიან კმაყოფილი ვარ მინისტრის კანდიდატურით და მიხარია, რომ **ალექსანდრე ლომაიამ** უკან არ დაიხია და ხელი მოჰკიდა ამ საქმეს ასეთ რთულ ვითარებაში.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ ახალი მთავრობაც ისეთივე "ბლიცკრიგის" მეთოდით დამტკიცდა, როგორც საკონსტიტუციო ცვლილებები. მაგრამ ამჯერად ეს უფრო გამართლებულად გვეჩვენება. გიორგი ასანიშვილმა 18 თებერვალს აგვიწერა პარლამენტის სხდომა, რომელმაც მთავრობა დაამტკიცა ("*იმედის მთავრობის" ნდობის წამზომი ჩართულია*). დეპუტატების მიერ გამოთქმული შენიშვნები იმდენად ზოგადი და ბანალური იყო, რომ ოცჯერ მეტის ატანა ნამდვილად გაგვიჭირდებოდა. ისღა დაგვრჩენია, **ელდარ რიაზანოვის** ფილმი "გარაჟი" გავიხსენოთ და აღვნიშნოთ, რომ პუბლიკაციაში გამოყენებული აპელატივი "იმედის მთავრობა" სულაც არ *ნიშნავს* იმას, რომ კანდიდატურების შერჩევასთან რაიმე კავშირი ჰქონდა **ბადრი პატარკაციშვილს**.

ასე თუ ისე, "სპეცოცეულმა" მოქმედება დაიწყო და მალე ჩვენს საინფორმაციო ცაზე ობოლ ვარსკვლავად არ იკაშკაშებს **სენ ჟიუსტის** ქართლური ვარიანტი — გენერალური პროკურორი, **ირაკლი ოქრუაშვილი**.

ჯერჯერობით კი მე ორი ადამიანი მაინც ვიცი, ვინც ტელევიზორის ჩართვისას ერთსა და იმავე წინადადებას წარმოთქვამს: "აბა, ვნახოთ, კიდევ ვინ დაიჭირეს!". ქართველი ახალგაზრდები კი აცხადებენ: "**ველარ გაიგო ამ ხალხმა, რომ ახლა შევარდნაძის დრო აღარ არის? ახლა სააკაშვილების, ოქრუაშვილებისა და ადეიშვილების დროა!**" (21 თებერვალი, **მაკა ჯაიანი**, *"ჩვენ ჩავალთ აჭარაში!"*). ამ ბოლო განცხადების ავტორი ნაციონალური მოძრაობის ახალგაზრდული ფრთის ერთ-ერთი ლიდერი, **ანდრო ალავიძეა**. რა თქმა უნდა, განცხადების შინაარსი გასაკვირი არაა, მაგრამ გასაკვირია მისი ფორმა. განა დრო "სააკაშვილებსა" და "ოქრუაშვილებს" ეკუთვნის? საიდან მოვიდა ახალგაზრდების ეს მოდგმა, რომელმაც ასე კარგად იცის ჰალსტუხის შეკვრა, მაგრამ სამოქალაქო შეგნება იქამდე ვერ აუმაღლებია, რომ დროის სულისკვეთებას მაინცდამაინც პიროვნებებს უკავშირებს.

აქ კი დრო დადგა, ირაკლი ბერიაშვილის "კოშმარები" გავიხსენოთ (18 თებერვალი, *უჟასი*). მეც წავიკითხე სანდრო კაკულიას მოთხრობა "დომინოს პრინციპი" (დამატება "წიგნები", 2-9 თებერვალი) და ბევრიც ვიცინე. მიმაჩნია, რომ "იტალიური ეზოების" ხიბლი უნდა დაინგრეს. ბოლოს და ბოლოს იმას მაინც უნდა მივხვდეთ, რომ ერთმანეთის სიყვარულისთვის სულაც არაა აუცილებელი ყოველ დილას გვესმოდეს, როგორ აჭრიალებს მეზობელი ფანჯრის მიღმა საპირფარეშოს ფიცრებით შეკრულ კარს. თანაც "უზრდელი" და ცინიკოსი სანდრო კაკულია მირჩევნია ამ დავარცხნილ და მოწესრიგებულ, წინასწარვე დიდი კარიერისათვის "გახაზირებულ" ყმაწვილებს, თუნდაც მათ მიერ გამოთქმულ აზრებს ვეთანხმებოდე.

მოუთავებელს მოთავებისა და სრულყოფის პერსპექტივა ყოველთვის რჩება, ამ მოთავებულად და გამზადებულად დაბადებულებს კი რა ვუყოთ, საკუთარი უკვდავი სულები სტუდკავშირებისა და სხვადასხვა "ახალგაზრდული ფრთების" დასაკომპლექტებლად რომ ემეტებათ? თავის დროზე, პარლამენტის შენობის წინ "კმარას" მაისური ჩავიცვი და ისე დავდექი ჩემი სტუდენტების გვერდით. ახლა კი სულაც არ მსიამოვნებს ჩვენს მხარეს იმათი ხილვა, ვისი მსგავსნიც კმარელებს "იბერიის" ეთერში უპირისპირდებოდნენ, ახლა კი მიხვდნენ, რომ "სააკაშვილების დრო დადგა".

ჰო, ტელეკომპანია "იბერიის" ეთერმა რაღაც მითქმა-მოთქმა გამოიწვია, თუმცაღა ყველგან აღწევდა ეს კურთხეული ეთერი, გენერალური პროკურორის ტელევიზორამდეც კი! კურთხეულიმეთქი ტყუილად არ მითქვამს, მას ხომ მკვდრეთით აღდგინების მადლიც აღმოაჩნდა: ნამდვილად არ მეგონა, **ირინა სარიშვილის** ხმას თუ კიდევ გავიგონებდი...

20 თებერვალს ამ საკითხს ეკა კვესიტაძე გამოეხმაურა (*სიტყვის თავისუფლება — მართლაც ღირებულება თუ შირმა?*). სტატიის ლოგიკა შემდეგნაირად ყალიბდება: "**ფაქტია, რომ "იბერია" რეიტინგული და პოპულარული არხი არ არის. ხელისუფლებას კი, რომელსაც ჯერ ისევ 96 პროცენტით გამარჯვებული პრეზიდენტის ხიბლი კვებავს, ამ არხის ნეიტრალიზება არანაირი ლოგიკით არ უნდა დასჭირვებოდა**". აქვე ვხვდებით კიდევ ერთ მსჯელობას, რომელიც არ უნდა მივიჩნიოთ უკვე მოყვანილი ციტატის ხელოვნურ შერბილებად. სინამდვილეში, აქ ეკა კვესიტაძე გაცილებით უფრო მნიშვნელოვან მომენტს ეხება: "**ისიც ფაქტია, რომ სამართალდამცავი ორგანოების ეს ნიღბიანი შოუები უკვე გამაღიზიანებელი ხდება. როცა არ არსებობს დასაბუთებული პასუხი იმაზე, თუ რაში სჭირდებოდა მერაბ ადეიშვილის აყვანას ამდენი შავნიღბიანი და რატომ ემსგავსება დაპატიმრებების სერია, უბრალოდ, სანახაობას, იმის დამტკიცება, რომ "ომეგას" შენობების გასაჩხრეკად სპეცრაზმის გამოყვანა აუცილებელი იყო, ხელისუფლებას საკმაოდ გაუჭირდება**". 1990-იანი წლების დასაწყისში იტალიაში ყოველდღე აპატიმრებდნენ მთავრობის წევრებს. ეს კოშმარი წელიწადზე მეტ ხანს გრძელდებოდა. მახსოვს, გაზეთმა "ლა რეპუბლიკამ" ერთი კარიკატურაც გამოაქვეყნა: აპენინის ნახევარკუნძულზე ერთმანეთის გვერდიგვერდ დგანან ერთი დიდი რკინის ბორკილით ხელფეხშეკრული ადამიანები, ქვემოთ კი წარწერაა — "ეროვნული ერთიანობა". აპატიმრებდნენ მინისტრებს, მინისტრის მოადგილეებს, პარლამენტარებს, მაგრამ არავინ იცოდა, როგორ ხდებოდა ეს, სად შედიოდნენ კარაბინიერები, საცხოვრებელ სახლებში თუ სამსახურში. სამი-ოთხი წამით გამოჩნდებოდა ეკრანზე ოპერატიული ღონისძიებიდან დაბრუნებული კარაბინიერების მანქანა და ვხედავდით, როგორ შეჰყავდათ პროკურატურის შენობაში ეჭვმიტანილი. *არხეინად იყავით, სამართალი გიცავთ თქვენ, მაგრამ ამის შემჩნევას არ გთხოვთ* — ასეთი იყო იტალიური მედიის "მესიჯი" საზოგადოებისადმი.

და თუმცა ოქუაშვილების მეტყველების გამგონესა და მათი ქცევის დამნახავს, ძალიან მიჭირს იმის დაჯერება, რომ იმდენი მოიფიქრეს და ტელევიზიის ოფისში დამალეს თავიანთი დანაშაულის კვალი, მაინც ვფიქრობ, სპეცოპერაცია უნდა ჩატარებულიყო, თუმცა კი ოდნავ უფრო ელეგანტურად...

აქ კი ვისარგებლებ იმით, რომ საქართველოს პრეზიდენტს ჟურნალისტებთან ბოლო შეხვედრისას არც პირჯვარი გადაუწერია და არც მაგიდაზე დაუკაკუნებია (როგორც ეტყობა, ეს ბოლო ჟესტი უკვე პრემიერ-მინისტრის კომპეტენციაში გადავიდა, რითაც საქართველოში კიდევ უფრო შემცირდა პრეზიდენტის რეალური ძალაუფლება), და მოვიყვან მის სიტყვებს, რომელთაც სრულიად ვეთანხმები და რომლებიც 21 თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა (*პრეზიდენტის მუქარა და დაპირება*): "**თუ ხვალ ნებისმიერი განგსტერი დადგამს ტელეკამერას, ამ ტელეკამერის წინ დადგამს ორ სკამს, იყიდის ანტენას და იტყვის, რომ მისი უფლებების შელახვა — ეს არის თავისუფალი პრესის შელახვა, ასე ქვეყანა არ აშენდება**". შევავსოთ: ვინა თქვა, რომ სიგარეტის ბიზნესიდან დაფინანსებული მედია თავისუფალია? ბოლოს და ბოლოს, მედია საქართველოშიც უნდა იქცეს ბიზნესის დამოუკიდებელ დარგად. მართალია, ესეც არაა გარანტია, რადგან ამა თუ იმ მოსაზრების საფუძველზე ასეთი ბიზნესიც შეიძლება იქცეს ოფიციოზად. იმავე იტალიაში **სილვიო ბერლუსკონის** კუთვნილ არხებზე მხოლოდ ფილმებს უყურებენ, საინფორმაციო გადაცემების სანახავად კი სხვაგან გადართავენ ხოლმე.

მანამდე კი ის ვიკითხოთ: თუ ჟურნალ "ომეგაში" მართლაც ნიჭიერი ხალხი მუშაობს, რატომ აქამდე გული არ ერევათ იმის გამო, რომ მათ შემოქმედებით უნარებს ოქუაშვილი თავისი უგემოვნო ოჯახური ფოტოების გასავრცელებლად იყენებს? ანდა რატომ არ გაკოტრდა აქამდე ეს ჟურნალი, რომლის საცალო ფასი ლამის პენსიის მესამედს უტოლდება?

ახლა კი კვლავ პრეზიდენტ სააკაშვილს მოვუსმინოთ, მით უმეტეს, რომ მუქარას დაპირებაც მოსდევს: "**საქართველოში არც ერთი ტელევიზია ჩემი პრეზიდენტობის პერიოდში არ დაიხურება**". შევავსოთ: არ დაიხურება, მაგრამ შეიძლება გაკოტრდეს. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, რომელიც აუცილებლად თან სდევს საზოგადოების ბუნებრივ და დემოკრატიულ განვითარებას. ჩემში, მაგალითად, გაკვირვებას უფრო ის იწვევს, თავისუფალი ბაზრის პირობებში როგორ შეიძლება ამდენ ხანს იარსებოს ტელევიზიამ, რომელიც მაყურებელს მხოლოდ ლიტერატურაზე წყალ-წყალა საუბრებსა და VHS კასეტებზე მეათე ასლიდან გადმოწერილ უხარისხოდ გახმოვანებულ ფილმებს სთავაზობს.

მაგრამ საქართველოში ყველას გამოუჩნდება ხოლმე ჭირისუფალი და რადგან შაბათი, ტრადიციულად, მიცვალებულთა ხსენების დღეა, ჭირისუფალთა უმრავლესობამ სწორედ შაბათის, 21 თებერვლის ნომერში მოიყარა თავი. აი, თუნდაც, *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების მიმართვა*. ეს ტექსტი ისე მომეწონა, ნამდვილად სტუდენტებს უნდა შევთავაზო როგორც სავარჯიშო დისკურსის ანალიზისთვის. "**გულისტკივილით აღვიქვამთ**"... "**სოხუმის უნივერსიტეტი ჩვენთვის იგივეა, რაც აფხაზეთში დაბრუნების ერთ-ერთი ძირითადი საყრდენი**"... "**დიდი საქმე, რომელსაც საქართველოს ერთიანობა ჰქვია**"... "**მიუღებელია ნებისმიერი პრობლემების (!) ძალისმიერი ხერხებით გადაჭრა**"... "**სტუდენტების გამოყენება კონფლიქტური საკითხების მოსაგვარებლად**"... "**ო. ჟორდანიას ჩვენ ვიცნობთ როგორც უმწიკვლო ადამიანს**"... "**ჭეშმარიტად ეროვნული უნივერსიტეტი**"... "**მის ირგვლივ გაერთიანებული აფხაზეთის ინტელიგენცია**" და ა. შ. სამძიმრის დეპეშისა და სადღეგრძელოს ეს კურიოზული ნაზავი თურმე მხოლოდ იმისთვის შეითხზა, რომ გამოთქმულიყო შემდეგი მოწოდება: სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები "**დაუყოვნებლივ მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას და მშვიდად გადაწყვიტონ სადავო საკითხები, აღადგინონ სასწავლო პროცესი**". და ბოლოს: "**ჩვენთვის, ისე როგორც თქვენთვის, ძვირფასია სოხუმის უნივერსიტეტის სახელი**". უნივერსიტეტი კი არა — სახელი. რეპუტაცია არ შეილახოს, თორემ სტუდენტებს რაც მოუვათ... არა, ამ წერილის ავტორებს ნამდვილად ვერ ვანდობ ჩემი შვილების განათლებას.

მაგრამ მთავარი ჭირისუფალი სულ სხვაა: **მანანა შევარდნაძე**. ეს უკვე მესამე ცოლია, რომელიც ბრიფინგს მართავს. მახსოვს, **ლევან მამალაძის** მეუღლის მიერ მოწყობილ პრესკონფერენციას "24 საათმა" დუმილით აუარა გვერდი. მადლობა ღმერთს, გემოვნება გვეყო! მანანა შევარდნაძის საჯარო გამოსვლასაც არ დავუთმობდი დიდ ადგილს, რომ არა ერთი გარემოება, რომელიც მხოლოდ ელექტრონულ მედიაში გაისმა, მაგრამ გაზეთში კი ვერ ვიპოვე. ვგულისხმობ ხელშეუხებლობის გარანტიებს **ედუარდ შევარდნაძისთვის**.

მე ეს აზრი ჯერ კიდევ ნოემბერში გამიჩნდა, მაგრამ ვფიქრობ, რომ მისი გამოთქმის დრო მოვიდა. მე, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე, მოვითხოვ, რომ გამოძიებულ იქნას ნოემბერში პარლამენტის წინ გამართული "აღორძინების" მხარდამჭერთა მიტინგის გამართვის ისტორია და ედუარდ შევარდნაძის წვლილი მასში. თუ დადასტურდება ექსპრეზიდენტის წვლილი ამ მიტინგის მოწყობაში, გამოდის, რომ მან — იმხანად საქართველოს პრეზიდენტმა — საქართველოს მოსახლეობის ერთი ნაწილი დაუპირისპირა მეორეს, სხვა სიტყვებით, დაარღვია პრეზიდენტის ფიცი.

ამისათვის კი არა მგონია, რომელიმე პიროვნებას ხელშეუხებლობის გარანტია ეკუთვნოდეს.

P. S. ამ დღეებში ყველა ჩვენგანის ყურადღება მიპყრობილია აჭარისაკენ. გასული კვირის განმავლობაშიც დიდი ადგილი მიუჩინა "24 საათმა" ამ მნიშვნელოვან თემას. მე თვითონაც ველოდი საკუთარი თავისაგან რამდენიმე სიტყვას. მაგრამ გონებამ მხოლოდ ერთი წინადადება მიკარნახა: ახლა სიტყვის კი არა, მოქმედების დროა. მოქმედება კი გაზეთის პრეროგატივა არაა. ვეხმიანები ყველა ჩემს ბათუმელ მეგობარს, რომელთაგან ამ დღეებში ვღებულობ ელექტრონულ ფოსტას და ჩემი დუმილით მხარდაჭერას ვუცხადებ ჩემს სახელმწიფოს.

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

პრობლემების პირისპირ

კულტურის სამინისტრო "შავი არქეოლოგიის", უკანონო მშენებლობებისა და არასწორი სამუზეუმო პოლიტიკის წინააღმდეგ

გიორგი გაბაშვილმა გამინისტრებიდან პირველივე დასვენების დღე კულტურის სფეროში არსებულ პრობლემებთან პირისპირ შესახვედრად გამოიყენა. მინისტრმა კახეთით დაიწყო და დაგვპირდა, რომ ასევე მოივლიდა მთელ საქართველოს. გაბაშვილის პირველი გაფრთხილება "შავი არქეოლოგიით" თაღლითების, უკანონო მშენებლებისა და კულტურის სფეროს უპასუხისმგებლო თანამდებობის პირების მისამართით გაისმა.

ვერა ნეფარიძე

კახეთში კულტურის სამინისტროდან არც ისე მრავალრიცხოვანი დელეგაციით გაემგზავრნენ. თუმცა, მისია ისეთი იყო, რომ მის შესასრულებლად რაოდენობა ნაკლებად მნიშვნელოვანია, სამაგიეროდ, აუცილებელია პრინციპულობა. მინისტრი გიორგი გაბაშვილი, ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან და ჟურნალისტებთან ერთად, გურჯაანის რაიონის სოფელ მელაანში გაემართა.

მელაანი კახეთში "შავი არქეოლოგიის" ერთ-ერთი კერაა. ეს საკითხი შარშან ლაგოდეხში დადგა. არქეოლოგიის კვლევითი სამსახურის პროტესტს მაშინდელი გამგებელი გამოეხმაურა. როგორც ამბობენ, ამის შედეგად ლაგოდეხში უკანონო გათხრები შეჩერდა. სამაგიეროდ, ამ მიმართულებით "მუშაობა" მელაანში გააგრძელეს.

მელაანში სამარხები კერძო ნაკვეთებს შორისაა მოქცეული. რამდენიმე ხნის წინათ ამ ტერიტორიის შესყიდვის სურვილიც გამოუთქვამთ ისევ და ისევ არქეოლოგიური გათხრებისთვის. იმის გამო, რომ არქეოლოგია ჩვენთან დაუფინანსებელია (რის გამოც, არქეოლოგებისგან ეს ტერიტორიები შეუსწავლელია), ხოლო კანონი არ ითვალისწინებს მათ დასჯას, ვინც გათხრების შედეგად მნიშვნელოვან ისტორიულ ნივთებს იპოვის, ვიღაცებისთვის იოლი აღმოჩნდა უკანონო გათხრებით ბიზნესის წარმოება. "ჩვენ არავის მივცემთ ჩვენი კულტურული და ისტორიული ფასეულობის ასე განადგურების უფლებას", - გიორგი გაბაშვილმა ასეთი პირობა საზოგადოებას მელაანის მცხოვრებლების იმედად მისცა. მინისტრმა მოსახლეობას დახმარება სთხოვა, რომ ყოველი ასეთი "საქმოსნის" გამოჩენისას თუ ნივთის პოვნის შემდეგ, მიმართონ მათ გამგეობას, ან არქეოლოგიური სამსახურის რეგიონულ უწყებას.

მელაანის სამაროვანი სპეციალისტების გამძაფრებული ყურადღების ქვეშ ერთი ასეთი შემთხვევის გამოც მოექცა. როგორც ცნობილმა არქეოლოგმა, კიაზო ფიცხელაურმა გვითხრა, მას აღუწერეს ის ბრინჯაოს მუზარადი, რომელიც მელაანში აღმოაჩინეს. ნივთი აღწერილობის მიხედვით, სრულიად უნიკალურია, რამდენადაც ამ დროის მუზარადი კავკასიაში ჯერ არ უპოვიათ. ამ მუზარადის კვალს კი ჯერ ვერ მიაგნეს.

მინისტრი და მასპინძლები.

გუშინ მელაანელები მინისტრ გაბაშვილს დაჰპირდნენ, რომ მეტ სამოქალაქო პასუხისმგებლობას გამოიჩენდნენ არქეოლოგიური ნივთების დასაცავად. იმედია, ასეთი სამსახური მათთვის რთული არ იქნება, მით უმეტეს, რომ მათ შორისაა მელაანის მკვიდრი შაქრია ბიძინაშვილი, რომელიც წლების განმავლობაში საქართველოს ისტორიის მუზეუმს მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მასალით ამარაგებდა.

მელაანის სამარხების მონახულების შემდეგ, მინისტრი გაბაშვილი გუშინ სიღნაღში მიმდინარე ერთ-ერთი უკანონო მშენებლობის დასათვალიერებლად გაემართა. ეს მშენებლობა იმიტომ აღმოჩნდა კულტურის სამინისტროს ყურადღების ცენტრში, რომ საქმე ეხება ისტორიული ძეგლის ხელყოფას. მე-17-18 საუკუნეებში აგებულ სიღნაღის ისტორიულ გალავანს, კანონის სრული უგულებელყოფით, მიშენებული აქვს რესტორანი. იმის მიუხედავად, რომ მშენებლობის დაწყებიდანვე ობიექტზე მივიდა ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლობა და გასცა შესაბამისი განკარგულება, რაც მშენებლობის შეწყვეტას ითვალისწინებდა, კანონი მაინც დაირღვა. შედეგად კი მივიღეთ თითქმის დასრულებული რესტორანი არაჩვეულებრივ ადგილას (რესტორანს ირგვლივ ულამაზესი ხედები აქვს) რამდენიმე სრულიად შემაშფოთებელი გარემოებით: რესტორნისთვის წყლის ცისტერნა ჩამონტაჟებულია თავად გალავანში, ხოლო ძეგლზე მიმაგრებულია ელექტროგაყვანილობები. ამჟამად მიმდინარეობს სასამართლო პროცესი, რომელიც ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის სარჩელის საფუძველზე დაიწყო.

კულტურის სფეროში არსებულ იმ პრობლემებს შორის, რომელთა პირისპირაც აღმოჩნდა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი, თანამდებობის პირთა უპასუხისმგებლობაც იყო. გუშინ კახეთში მინისტრმა სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმიც მოინახულა. მინისტრს ადგილზე არ დახვდა მუზეუმის დირექტორი (იმის მიუხედავად, რომ იგი გაფრთხილებული იყო დაგეგმილი სტუმრობის შესახებ). საპატიო სტუმრისადმი გამოჩენილი "ყურადღების" მიზეზს მოგვიანებით მივხვდით. როგორც სიღნაღის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა, თენგიზ ბეჟაშვილმა თქვა, მუზეუმიდან გამქრალია სამი ექსპონატი. შექმნილია კომისია, რომელმაც უნდა დაადგინოს რა ექსპონატებზეა საუბარი. ექსპონატებთან ერთად გამქრალია მათ შესახებ ყველანაირი დოკუმენტაცია. კომისიის მუშაობას კი ხელს დირექტორის უპასუხისმგებლობა (როგორც თქვეს, იგი თითქმის არასდროს არის მზად გამოძიების დასაწყებად) უშლის ხელს.

ერთი სიტყვით, გუშინ გიორგი გაბაშვილს სრულიად არასახარბიელო მდგომარეობა დახვდა კახეთში. თუმცა, როგორც მინისტრმა თქვა, იგი უკეთესს არც ელოდა: "ეს იყო ჩემი პირველი გამოსვლა. ასე ჩავალთ ყველგან, საქართველოში; ყველა რაიონს მოვინახულებთ. დღეს ჩემი თვალით ვნახე ბევრი ის პრობლემა, რაც უნდა გადავჭრათ. ვნახეთ უკანონო არქეოლოგიური გათხრები, რის შედეგადაც ნიავდება და იკარგება ჩვენი არქეოლოგიური მემკვიდრეობა, რაც არის ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა და დიდი სამეცნიერო ღირებულების ნიმუშები. ვნახეთ არქიტექტურული და ლანდშაფტური მეურნეობის აბსოლუტური უგულებელყოფა; დავრწმუნდი, რომ ქვეყანაში მთლიანად შესაცვლელია სამუზეუმო პოლიტიკა. ასეთი მუზეუმებით საქართველო ვერ წარმოაჩენს იმ მემკვიდრეობას, რაც მას გააჩნია. ჩვენ გვაქვს აბსოლუტურად არასწორი მენეჯმენტი და სამუზეუმო პოლიტიკა. არსებობს სამუზეუმო პოლიტიკის წარმატებული ნიმუშები და არსებობს წარუმატებლებიც; ყველანაირი თანამედროვე ხედვის უგულებელმყოფელი ფაქტები, როგორიც არის, ვთქვათ, აქ. ძალიან ბევრი რამ არის შესაცვლელი. დღეს თვალნათლივ დავინახე ძალიან ბევრი რამ, რაც აქამდე მხოლოდ თეორიულად ვიცოდი, რომ გასაკეთებელი იყო".

ათი წლის თავზე

"ქუჩის ბიჭების" გლობალური და ლოკალური სატკივარი

მათთვის ათი წელიწადი საკმარისი აღმოჩნდა, რომ ქართულ ესტრადაზე წამყვანი პოზიციები დაეკავებინათ; არაერთხელ მოეპოვებინათ საქართველოში "წლის საუკეთესო ჯგუფის" წოდება; უკანასკნელი სამი წელიწადი განსაკუთრებით აღინიშნა კვარტეტის ისტორიაში – ბიჭებმა რამდენიმე საერთაშორისო ფესტივალში მიიღეს მონაწილეობა და, თითქოს, გასცდნენ ლოკალური საესტრადო სივრცის ფარგლებს. მაგრამ ათი წლის შემდეგ მათგან ერთ-ერთი ქუჩის ბიჭიც განცალკევდა; ეს კი ადგილობრივი შოუბიზნესის წრეებში ისეთივე ხმაურის მიზეზი გახდა, როგორც ნაპოვნი მეოთხეს საყოველთაო წარდგინება.

ვერა ნეფარიძე

"ქუჩის ბიჭების" უკანასკნელი საჯარო გამოჩენა პომპეზურობით აღინიშნა. შეხვედრის ადგილი – "შერატონ-მეტეხი პალასი"; მასმედიის მობილიზება და დაპირება: საჩუქარი და სიურპრიზი (ჯგუფის ახალი ალბომი და პრესკონფერენციის დასასრულს შესრულებული "მრავალჟამიერი"); შეხვედრის მიზეზი კი, - ჯგუფის ახალი წევრის გაცნობა საზოგადოებისთვის და "ქუჩის ბიჭების" ახალი, რიგით მეოთხე ალბომის წარდგენა.

ვინ იქნება მეოთხე? – ეს შეკითხვა, შესაძლოა, მართლაც, ბევრს აწუხებდა თავად "ქუჩის ბიჭებთან" ერთად. არ გამიკვირდება – კვარტეტი ხომ სამამულო შოუბიზნესის წარმატებული პირმშოა?! ცნობისმოყვარეობა და ქილიკი... ისევე, როგორც ხდება ხოლმე ვარსკვლავების შემთხვევაში, კვირის ბოლოს დადასტურდა, მას შემდეგ, ტელეეთერით სავარაუდო კანდიდატის გაცნობა მოხდა და მასმედიას "ქუჩის ბიჭების" მეოთხე წევრი გააცნეს.

"ქუჩის ბიჭები" ისევ ოთხნი არიან.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

პაატა ცეცხლაძე "ქუჩის ბიჭებში" სიონის საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდიდან მოხვდა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ახალგაზრდა მომღერალი ესტრადის გამო ეკლესიას დატოვებს. როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, პაატა ახალთან ერთად, ჩვეულებრივად გააგრძელებს ძველ საქმიანობას. თუ როგორ მოერგო იგი ჯგუფს, ამის განსჯა დღეიდან შეიძლება – დღეიდან რადიოეთერში გავა განახლებული "ქუჩის ბიჭებისა" და მერაბ სეფაშვილის ახალი დუეტი (რომელიც, როგორც მომღერლებმა თქვეს, ეძღვნება "ვარდების რევოლუციის" შემდგომ ჩვენს საზოგადოებას). რაც შეეხება ჯგუფის ახალ, მეოთხე ალბომს SOS, მასზე ჯგუფის ძველი შემადგენლობის შემოქმედებაა მხოლოდ. ბიჭებმა დაგვარწმუნეს, რომ ალბომის სახელწოდება არაფერ შუაშია ჯგუფის შემოქმედებით თუ ერთმანეთს შორის ურთიერთობის კრიზისთან. "ჩვენ ეს სახელწოდება შევარჩიეთ მსოფლიოში და ჩვენს ირგვლივ გამძაფრებული ძალადობის გამო", - თქვეს მათ. განიცდის თუ არა ჯგუფი შემოქმედებით კრიზისს, ამას ალბათ, თავად ალბომის მოსმენის შემდეგ გადაწყვეტენ მსმენელები. ჯგუფის წევრებმა კი "შერატონში" შეხვედრაზე, გლობალურ პრობლემებზე მეტად, კონკრეტულ გასაჭირზე ისაუბრეს. სხვათა შორის, თუ არ ვცდები, "ქუჩის ბიჭებმა" პირველებმა გაახმაურეს კომპანია "არტ-იმედში" (რომელთანაც ჯგუფს კონტრაქტი აკავშირებს) მიმდინარე რეორგანიზაციის მოსალოდნელი შედეგები. ერთ-ერთი ვერსიით, კომპანიის ახალი ხელმძღვანელი მომღერალი მერაბ სეფაშვილი შეიძლება იყოს. "ქუჩის ბიჭებმა" პრესკონფერენცია ძველი მეგობრისადმი მხარდაჭერის გამოსახატავადაც გამოიყენეს.

ირჩევდა თავად ვინჩენცო გიუბა

ქართველ მოდელებს ფლორენციაში მიიწვევენ

ნანა ბასილაშვილი

იტალიის მაღალი მოდის აკადემია 20-წლიანი მოღვაწეობის აღსანიშნავად გრანდიოზული იუბილესთვის ემზადება. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მოდელებთან ერთად 23 აპრილს ფლორენციაში 12 ქართველი გოგონაც მიიღებს მონაწილეობას.



ეს გოგონები ფლორენციაში მიდიან.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

სასტუმრო "მერიოტში", თამარ მეფის დარბაზის კართან გუშინ დიდი ვნაბათაღელვა იყო. პროფესიონალი ქართველი მოდელები თავად იტალიის მაღალი მოდის აკადემიის "იტალიანას" პრეზიდენტს ვინჩენცო გიუბას "ეპრანჭებოდნენ". ორი სააგენტოდან ("ამსა" და "ნატალი") შერჩეული 12 გოგონა 23 აპრილს ფლორენციაში იტალიის მოდის აკადემიის იუბილესთან დაკავშირებულ გრანდიოზულ ფეშენ-შოუში მიიღებს მონაწილეობას. მიზეზი სანერვიულოდ ნამდვილად ღირდა. თუმცა, აკადემიის პროფესორ ვინჩენცო გიუბას წინაშე ღელვას არავინ იმჩნევდა - ქართველი მოდელები საკმაოდ თავდაჯერებულად გამოდიოდნენ.

აქამდე ვინჩენცო გიუბას ჰგონებია, რომ საქართველოში ტანდაბალი გოგონები ცხოვრობენ; კავკასიის მაცხოვრებლებზე, ზოგადად, ასეთი წარმოდგენა მქონდაო, - კასტინგის შემდეგ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა სტუმარმა. ჩვენი ქვეყნის შესახებ, როგორც იტყვიან, მას მხოლოდ ყურმოკვრით ჰქონდა გაგონილი. ამის მიუხედავად, საქართველო-იტალიის მოდის სამყაროს პირველივე ურთიერთობისთანავე სერიოზული თანამშრომლობის გეგმებს ჩაეყარა საფუძველი. "იტალიანას," თითქმის, ყველა ქვეყანაში საკუთარი ფილიალი აქვს გახსნილი. აკადემია დღემდე ოფიციალურად თანამშრომლობს რუსეთთან, შვედეთთან, ამერიკასთან, ინგლისთან, გერმანიასთან, ჩინეთთან და ა.შ; ახლა მათ რიცხვს საქართველოც შეემატება. გრანდიოზულ საიუბილეო შოუზე სწორედ ამ ქვეყნების მოდელები და დიზაინერები მიიღებენ მონაწილეობას.

ამიერიდან იტალიის მოდის აკადემია საქართველოსთანაც ითანამშრომლებს. "საქართველო პარტნიორ ქვეყანად გავიხადეთ. იუბილესათვის გოგონების შერჩევა მომავალი ურთიერთობისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯები იყო. მოხიბლული ვარ ქართველი გოგონებით", - კმაყოფილი საუბრობდა ვინჩენცო გიუბა.

სააგენტოების "ამსა"-ს და "ნატალი"-ს გოგონები "იტალიანას" პრეზიდენტმა ტანის, ხასიათის, ტიპაჟისა და სიარულის მიხედვით შეარჩია. "ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმან, რომ ასაკით პატარა გოგონები უკვე საკმაოდ პროფესიონალურად დადიან", - აღნიშნა გიუბამ. თუმცა, მისი არჩევანით ჟურნალისტები ოდნავ გაკვირვებულები დავრჩით - მაგალითად, გიუბას გემოვნება არ დააკმაყოფილა ქართული პოდიუმის პოპულარულმა მოდელმა ნათია მაქაცარიამ.

გუშინდელ კასტინგზე ქართული მოდის სამსახურში ერთი ახალი ინფორმაციაც გახმაურდა - სააგენტოების "ამსას" და "ნატალის" ინიციატივით, საქართველოში სამოდელო სააგენტოს ასოციაცია იქმნება. კასტინგი, რომელიც გუშინ "მარიოტში" გაიმართა, ამ ასოციაციის პირველი ერთობლივი პროექტი იყო. ასოციაციის შექმნის თაობაზე, მისი მიზნებისა და ამოცანების შესახებ, უფრო კონკრეტულად, "ამსას" ხელმძღვანელი სოფო ჭყონია და სააგენტო "ნატალის" ხელმძღვანელი ნატალია სამადალაშვილი საგანგებო პრესკონფერენციის გამართვას გეგმავენ.

3 აპრილს იტალიის მოდის აკადემიის პრეზიდენტი კვლავ ჩამოვა საქართველოში. დიზაინერთა მეოთხე საერთაშორისო კონკურსზე ვინჩენცო გიუბა ჟიურის ერთ-ერთ წევრად მოგვევლინება.

ქართველებს და ბასკებს საერთო კულტურა აკავშირებთ

წერილი ამ სათაურით გაზეთ "ვაშინგტონ ტაიმსში" გამოქვეყნდა და მას კულტურისა და ხელოვნების განყოფილებაში თითქმის ორი გვერდი მიეძღვნა. ცხადია, "ვაშინგტონ ტაიმსი", "პოსტის" მსგავსად, არ გახლავთ ისეთი მნიშვნელოვანი და სოლიდური გამოცემა, რომ იქ ქართული თემის გაჟღერებით განსაკუთრებული ეროვნული სიამაყე დაგვეუფლოს. თუმცა, მაინც საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბასკებისა და ქართველების ნათესაობის თემამ ამერიკული პრესის ფურცლებზეც გაჟონა და თანაც, ფრიად საინტერესო კუთხით – თანამედროვე მხატვრობის თვალსაზრისით.
მიმომხილველმა ჯოანა შოუ-იგლმა ვაშინგტონში, დიუპონის მოედანზე გალერეა "ფონდო დელ სოლში" გახსნილი გამოფენა სახელწოდებით "ენ ომენახე ა ნუესტროს ანტეპასადოს" – "ჩვენი წინაპრების მოსაგონებლად" მოინახულა და შემდეგ თავის წერილში ესპანურ-ქართული მხატვრობა შეადარა ერთმანეთს.
ასე აღმოჩნდა "ვაშინგტონ ტაიმსის" "ბე-1" გვერდზე ვლადიმერ კანდელაკისა და მამუკა მიქელაძის ნამუშევრები. აი, რას წერს ჟურნალისტი გამოფენისა და ქართულ-ბასკური კულტურული ნათესაობის შესახებ:

თამარ ბაბუაძე

დღეს შესაძლოა, დიდი მოულოდნელობა იყოს იმის გაგება, რომ ქართველებს – ყოფილი საბჭოთა კავშირიდან და ახლა ესპანეთსა და პორტუგალიაში მცხოვრებ ბასკებს – ძველი იბერიიდან – საერთო წინაპრები ჰყავდათ. თუმცა, ძველი ბერძნები და რომაელები ქართველებსა და ბასკებს იბერიელებს უწოდებდნენ. სტალინმა კი იმდენად შეურაცხყოფილად იგრძნო თავი ქართულ-ბასკური სისხლის სავარაუდო ერთიანობით, რომ თავისი მმართველობის პერიოდში სიტყვა "ბასკის" ხმარება საერთოდ აკრძალა.

მარკ ზუვერი ლათინო-კარიბული ალტერნატიული ცენტრის "ფონდო დელ სოლის" კურატორია. სწორედ მან გადაწყვიტა ორ კულტურას შორის კავშირი გამოეკვლია და ამ თემას გამოფენაც მიუძღვნა "ჩვენი წინაპრების მოსაგონებლად".

ზუვერი ვიზუალური ხერხებით იკვლევს ჯერაც საკამათო თეორიას იმის შესახებ, რომ დაახლოებით 10 ათასი წლის წინ, ქართველები შავი ზღვის ნაპირებიდან დღევანდელ ბასკეთში გადასახლდნენ – ჩრდილოეთ ესპანეთში. ეს კულტურული მსგავსებები სტუმრებისთვისაც რომ თვალსაჩინო გახდეს, კურატორი ერთმანეთის გვერდით ათავსებს ქართველი მამუკა მიქელაძის ნახატს – "უსახელო" და ნიკარაგუელი ალეხანდრო აროსტეგუის "მხეცს". ასე რომ, მნახველს ეძლევა საშუალება ერთმანეთს შეადაროს ადამიანის თავიანი ხარი, რომელიც ქალს ეხვევა და ხარზე ამხედრებული მოჩვენება.

ეს გამოფენა ცხადყოფს იმასაც, თუ როგორ შეიძლებოდა, ძველ ბასკებს ლათინურ ამერიკაში გადაეტანათ არქიტეპული იბერიული ფორმები – ცხენზე ამხედრებული გმირები, ეგზოტიკური გარეგნობის ქალები და ღმერთის მსგავსი ხარები.

გამოფენის პირველ ნაწილს "დაკარგული იბერიის ძიებაში" ჰქვია. აქ გამოფენილია ორი ქართველის ვლადიმერ კანდელაკისა და მამუკა მიქელაძის ნამუშევრები, რომელთა ნახვის საშუალებაც ამერიკაში იშვიათად აქვთ. იქვე სპეციალურ ტრაფარეტზე ზუვერი თავის მთავარ თეზისს აყალიბებს: "ქართველები და ბასკები მსგავსი კულტურული და გენეტიკური ფესვებიდან მოდიან. "მათ აერთიანებთ პრე-ინდო-ევროპული ენა და ძალზე იშვიათი O და RH-ის უარყოფითი სისხლის ფაქტორი".

ზუვერი დასძენს, რომ "მიუხედავად ამ მოსაზრებებისა ამ ორი ხალხის გენეტიკური კავშირის დასადგენად დამატებითი კვლევის ჩატარებაა საჭირო".

გამოფენის მეორე ნაწილში კი კურატორი ახალ თემას ეხება

Civil War/3
Movie Listings/4
Arts&culture
Time Out Puzzles/5
The Rainbow Page/6
The Washington Times
SECTION B
Arts / Joanna Shaw-Eagle
Georgians, Basques linked culturally
Exhibit pays 'Homage'
see ARTISTS, page B2

– თუ როგორ "იმოგზაურეს" ქართულ-ბასკურმა მხატვრულმა პროტოტიპებმა "ახალ სამყაროში". ამის თვალსაჩინო მაგალითია ალეხანდრო აროსტეგუის ნახატები და კუბელი როგელიო ლოპეზ მარტინის (ასევე ცნობილია სახელით "გორი") სიურეალისტური ფოტოები.

იქვეა მაიქლ ოლდის შთამბეჭდავი სკულპტურული ინსტალაცია "გენოციდის შემდეგ: გვახსოვდეს ანაკაონა". იამაიკური წარმოშობის ხელოვანი ამ ნამუშევარს უძღვნის ტაინოსა და კარიბელ ინდიელებს – მე-15 საუკუნეში ძლიერებით სავსე ანაკაონა ხომ ტაინოს ლეგენდარული ქალი ბელადი იყო.

"ეს სისხლიანი პერიოდი გახლდათ – ესპანელები დაუნდობლად ჟლეტდნენ ინდიელებს. სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკის ისტორიაც სწორედ აქედან – კარიბიდან იწყება, სადაც კოლუმბი 1492 წელს ტაინოს ინდიელებს შეხვდა", - ამბობს ოლდი.

ქართული ხელოვნების სექცია ზუვერმა საბჭოთა "ნონკონფორმისტული ხელოვნების" ცნობილი ამერიკელი კოლექციონერის, 76 წლის ნორტონ დოჯის დახმარებით შეადგინა. დოჯმა ახლახან თავისი 22 ათასი ექსპონატისგან შემდგარი კოლექცია ჯეინ ვურჰიზ ციმერლის ხელოვნების მუზეუმს შესწირა ნიუ ჯერსიში.

დოჯის თქმით, მისთვის ყველაზე საყვარელი საბჭოთა რესპუბლიკა საქართველო იყო. ამიტომაც ყოველთვის დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს ქართულ მხატვრობას. მის კოლექციაში 130-მდე ხელოვანის 1000 ნამუშევარი ინახება. დოჯის თქმით, კანდელაკი ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი მხატვარია. კედლის ერთ-ერთ ტრაფარეტზე დოჯი წერს: "კანდელაკის ხელოვნება სავსეა ქართული კულტურული მემკვიდრეობისადმი სიამაყით და იმ ძნელბედობებით, რაც მან ოჯახთან ერთად რევოლუციის, სამოქალაქო ომისა და საბჭოთა რეჟიმის დროს გადაიტანა. კანდელაკის ნახატებს სრულყოფილ სახეს სწორედ ეს განცდები და თემატიკა სძენს". დოჯი იქვე დასძენს, რომ მხატვარი ცოტა ხნით ფილადელფიაში ცხოვრობდა.

გამოფენის სტუმრებს კოლექციონერი აცნობებს იმასაც, რომ კანდელაკი არ ემორჩილებოდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ მხატვრებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. "მისი საყვარელი თემები იყო ქართული ფოლკლორი, ისტორია, ადათწესები, ქალაქური ცხოვრება – ეს ნაციონალური შტრიხები კი საშინლად არ მოსწონდათ მოსკოველ ცენზორებს. ამიტომაც 60-იან წლებში კანდელაკმა სამშობლო დატოვა, რათა თავისუფლად ეხატა ის, რაც ნამდვილად სურდა", - წერს კოლექციონერი დოჯი თავის წიგნში "ვლადიმერ კანდელაკი, ორ სამყაროს შორის". ეს გამოცემა იქვე, საგამოფენო დარბაზის მაღაზიაში იყიდება.

სექციაში "დაკარგული იბერიის ძიებაში" უფრო ახალგაზრდა მხატვრის, მამუკა მიქელაძის ნამუშევრებიცაა წარმოდგენილი. ის ანტიკური ქართული თემატიკიდან უფრო პოეტურ, ჰეროიკულ ეპიზოდებს ირჩევდა და ხშირად თავის ნახატებს მთლიანად აფუძნებდა ძველ ქართულ კედლის მხატვრობას. მათგან ყველაზე მომხიბვლელი "მეფე დავითია".

არავინ იცის, ბოლომდე მიჰყვებიან თუ არა გალერეის სტუმრები ზუვერის კომპლექსურ, ხანდახან ბუნდოვან დამაკავშირებელ რგოლებს ახალი სამყაროს ხელოვნების იბერიული გავლენის გამოსაძიებლად, მაგრამ ფაქტია, რომ მის მიერ წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშები მართლაც მაღალი კლასისაა. გამოფენა, პირველ რიგში, სწორედ ამ კუთხითაა მნიშვნელოვანი. და, ვინ იცის, იქნებ ზუვერის ინიციატივა მოგვიანებით დიდმა მუზეუმებმაც აიტაცონ და უფრო მეტი თვალსაჩინოების გამოყენებით სრულყოფილად გამოიკვლიონ ძველი კულტურული ნათესაობის თემა.

ექსპოზიცია 1 მარტის ჩათვლით გრძელდება.

კოლექციები თაყვანისმცემლებისთვის

მოდისა და მუსიკის დაკავშირების ადრეული მცდელობები ასე გამოიყურებოდა: კონცერტის დასრულების შემდეგ ვიღაც ტიპები მაისურებს ჰყიდდნენ, რომლებსაც მკერდზე შემსრულებლის თუ ჯგუფის გამოსახულება ამშვენებდა, ზურგზე კი მისი (მათი) სახელი ეწერა ან კონცერტების ჩამონათვალი იყო აღბეჭდილი. თუ ამას წინაფრიანი ქუდები და გასაღების საკიდებიც ახლდა, ამბობდნენ ხოლმე, კონცერტზე სუვენირების ფართო არჩევანი იყოო.

ასეთი რამ, ცხადია, დღესაც ხდება, მაგრამ გამჭრიახი მუსიკოსები უფრო შორსაც წავიდნენ და ამ საქმეს პროფესიონალურად მოეკიდნენ: მათ ბაზარზე მთელი კოლექციები გააქვთ, "მოდა ამისა და ამისგან", რომელიც მაღაზიებშიც იყიდება და რომლის ცალკეული ნიმუშების შეკვეთა ინტერნეტითაცაა შესაძლებელი.

ამ გზას დაადგნენ ჯენიფერ ლოპესი, ბიონსი, კაილი მინოუგი, ემინემი და Jay-Z, ისევე, როგორც თითქმის ყველა რეპერი. მუსიკოსებს მსახიობებიც შეუერთდნენ, სედი ფროსტი თუ ტილ შვაიგერი. მერე მოდის შექმნის აზრი მოდელებმაც აიტაცეს – ჰაიდი კლუმმა, ალეკ ვეკმა, კრისტი ტარლინგტონმა, მერე – სპორტსმენებმა, შტეფი გრაფმა თუ დევიდ ბექჰემმა, ამათ "ყოფილი ცოლებიც" მიჰყვნენ, ვთქვათ, ბარბარა ბეკერი და ვერონა ფელდბუში... ყველას ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა, უფრო იოლი იმის დაწერა იქნებოდა, რომელ ვარსკვლავს არ შეუქმნია თავის მოდის კოლექცია.

იმას, რომ მოდის ბიზნესი ვარსკვლავისთვის ძალიან იოლი საქმეა, დიდი მიხვედრა არ სჭირდება. ეფექტი ძალიან მარტივად აიხსნება: თაყვანისმცემლები დიდი სიამოვნებით იცვამენ თავიანთი კერპის მსგავსად, რადგან თვლიან, რომ ამგვარად მას ოდნავ მაინც უახლოვდებიან ან ემსგავსებიან. თუკი კერპს საკუთარი კოლექცია აქვს შექმნილი, მის თაყვანსმცემელს ასპროცენტიანი გარანტია აქვს, რომ აღარაფერი შეეშლება და სწორედ ისე ჩაიცვამს, როგორც საჭიროა. "თაიმ მეგეზინი" წერს: "თუკი დიზაინერები ოთხმოცდაათიან წლებში ვარსკვლავები იყვნენ, ვარსკვლავები ახალი საუკუნის დიზაინერები გახდნენ".

ტანსაცმლის, ხელჩანთების თუ საცვლების კოლექციების შექმნა ყოველთვის გამდიდრებისთვის როდი ხდება (თუმცა არც უამისობაა). ზოგი ვარსკვლავი ცდილობს, სხვა საქმეშიც ივარგოს და მოდელიორობაშიც გამოსცადოს თავი. თუმცა, რა დასამალია: ვარსკვლავების მიერ შექმნილ კოლექციებს შედევრს ვერაფრით ვუწოდებთ, და ესთეტური თვალსაზრისითაც დიდად შთამბეჭდავი არაა.

ასეთია, მაგალითად, "ჯენიფერ ლოპესის ჯეი ლო". მისი პირველი ნაწარმი შარვალი იყო, რომელზეც მომღერლის მშობლების სამშობლოს, პუერტო რიკოს ალამი იყო დაკერებული (იმხანად ლოპესი ანდი ფილფიგერთან ერთად მუშაობდა, ხოლო ენდის ძმა, ტომი, დროშების დიდებული მცოდნე გახლავთ). მიუხედავად ამისა, შარვალს დიდი წარმატება არ ჰქონია.

ლოპესმა განაცხადა, რომ შემოქმედებითი დირექტორის ფუნქციებს ამიერიდან თავად შეასრულებს, და მზის სათვალეების, საცურაო კოსტუმების, სუნამოსა და საკუთარი ზომის, ანუ უზარმაზარი ქვედა საცვლების წარმოებაც დაიწყო. მისი ყვავილებით მოჩითული, ბამბის საცვლები არაფრითაა ღირსშესანიშნავი, გარდა იმისა, რომ ლოპესის ესკიზების მიხედვითაა შეკერილი და შეიძლება ვინმეს მისი სახელგანთქმული უკანალიც მოაგონოს. ჯეი ლოსეული ტანსაცმელი ახლოსაც ვერ მივა იმ დიდებულ სამოსთან, რომელშიც ის თავად იწონებს ხოლმე თავს, მას დაბალი ფენის წარმომადგენელ გოგოსთან მეტი აკავშირებს, ვიდრე ვარსკვლავთან, რომელიც ამ დაბალი ფენის წიაღიდან ამობრწყინდა. ლოპესის მოდა ხაზს უსვამს იმას, რომ ჯეი ლოც ჩვეულებრივი გოგოა, ჩვენნაირი. უნდა ითქვას, რომ ან გულთბილმა კონცეფციამ გასულ წელს მის ავტორს 175 მილიონი დოლარი მოუტანა.

ამავე ხაზის მიმდევარია ჰაიდი კლუმიც, რომელიც პოდიუმზე ექსკლუზიური მოდელების პრეზენტაციას ახდენს. "ოტოსთვის" შექმნილ კოლექციასთან დაკავშირებით მან თქვა: "მინდა ისეთი მოდა შევქმნა, რომლის ტარებაც შესაძლებელი იქნება, რომელიც მოდურიცაა და პრაქტიკულიც". მისი ნაწარმის ფასებიც მოკრძალებულია: ჯინსები – 59,59 ევროდ, მაისური – 14,99 ევროდ.

ავსტრალიელი მომღერალი, კაილი მინოუგი, "საყვარელი კაილის" სექსუალურ იმიჯს მოდის შექმნის დროსაც არ ღალატობს: თავისი საცვლების, განსაკუთრებით კი აზლუდების პრეზენტაციას ის იშვიათად თუ ანდობს ვინმეს – თავად კაილის, ოდნავ პირდაღებულს, მიამიტი მზერით, ეს საუკეთესოდ გამოსდის.

ალმოდოვარის თაფლობის თვე ფრანგულად

უკვე გაქარწყლდა ხმები იმის შესახებ, რომ კანის კინოფესტივალს ქუენტინ ტარანტინოს "მოკალი ბილის" მეორე ნაწილი გახსნიდა. უკანასკნელი ცნობების მიხედვით, ტარანტინო ჟიურის თავმჯდომარის პოსტს დასჯერდება, ხოლო ფესტივალს პედრო ალმოდოვარის "ცუდი განათლება" გახსნის. ეს კანის ისტორიაში იქნება პირველი ესპანური ფილმი, რომელიც ფესტივალზე წითელ ლენტს გაჭრის.

პედრო ალმოდოვარს კომენტარისთვის მადრიდში დაუკავშირდნენ. რეჟისორმა იმდენად ამაღელვებელი და ემოციური სიტყვა წარმოთქვა, რომ ჯობს, სიტყვა-სიტყვით მოვუსმინოთ მას და გავიგოთ, თუ რას ნიშნავს პედროსთვის კანის ფესტივალის გახსნა – ანუ, იმ როლის საკუთარ თავზე აღება, რომელიც შარშან ნაკლებად შთამბეჭდავ "ფან-ფან ტულპანს" ერგო:

"ამ ახალმა ამბავმა ბავშვივით გამახარა. უცებ ისევ იმ ახალგაზრდა კაცად გადავიქეცი, რომელიც "სუპერ 8" ფორმატის ფილმებს იღებდა და რომლისთვისაც კანი მუდამ საუკეთესო ფესტივალი იყო.

თუმცა, განუზომელი სიხარულისთვის სხვა მიზეზებიც მაქვს. პირველ რიგში, უნდა ვაღიარო, რომ საფრანგეთთან განსაკუთრებული ურთიერთობა მაკავშირებს. ეს ქვეყანა გაცილებით უფრო კარგად იღებს ჩემს ფილმებს, ვიდრე ესპანეთი. ამიტომ კანის ფესტივალის გახსნა ჩემთვის იმ თაფლობის თვის ერთი შესანიშნავი ეპიზოდი უფროა, რომელსაც უკვე წლებია, ფრანგულ პუბლიკასთან ერთად ვატარებ.

თანაც ვიცი, რომ ესპანური ფილმით ფესტივალი პირველად იხსნება. მე კი ისღა დამრჩენია, მხურვალე აპლოდისმენტებით გა-

დავუხადო მადლობა მათ ვინც "ცუდ განათლებას" ამხელა პატივი არგუნეს. ეს სურათი, მართალია, მადრიდიდან არის, მაგრამ ის იმდენადვეა ესპანური, რამდენადაც ევროპული. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ეს პატივისცემა გავამართლო. გმადლობთ".

პედრო ალმოდოვარი კანის ჟიურის წევრი 1992 წელს იყო, 1999 წელს კი საუკეთესო რეჟისორის პრიზი მიიღო ფილმისთვის "ყველაფერი დედაჩემის შესახებ". შარშან გამოსული და მრავალგზის დაჯილდოებული სურათის "ელაპარაკე მას"-ის შემდეგ კი პუბლიკა განსაკუთრებული ინტერესით ელის ალმოდოვარის ბოლო ფილმს "ცუდ განათლებას". როგორც კანის ფესტივალის ვებ-გვერდზე წერენ, ფილმი ორი ბიჭისა და მღვდლის მეგობრობის შესახებ მოგვითხრობს. ბიჭები მამა მანოლოს რელიგიურ სკოლაში ერთმანეთს 1960-იან წლებში გაიცნობენ, ერთად ეძებენ და იპოვიან სიყვარულს, კინოსა და შიშს. მერე ერთმანეთს 70-იან წლებში კიდევ შეხვდებიან, ბოლოს კი 80-იანებშიც... ფილმში მექსიკელი მსახიობი გაელ გარსია ბერნალი თამაშობს. ის წელს ვოლტერ სალასის ფილმში "მოტოციკლეტის დღიურები" ახალგაზრდა ჩე გევარას როლშიც მოგვევლინება.

რაც შეეხება კანის ფესტივალს, ტარანტინო მას 12 მაისს გახსნის და დახურულად 23 მაისს გამოაცხადებს. შეგახსენებთ, რომ 1994 წელს კანის ჟიურიმ ტარანტინოს ოქროს პალმის რტო "მაკულატურისთვის" გადასცა. ალმოდოვარის "ცუდი განათლება" კი საფრანგეთის კინოთეატრებში კანში გამართული პრემიერის პარალელურად გამოვა.

ფორმულა 1

"უილიამსი" - ჩემპიონის მოლოდინში

მონტოია ოპტიმისტურად არის განწყობილი

მრავალ საჯინიბოთა შორის არიან ისეთები, რომლებსაც რეალურად შეუძლიათ ჩემპიონობისთვის ბრძოლა. მათ შორის კი ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტი ფორმულა 1-ის უმთავრესი ტიტულის დაუფლებაში "BMW-უილიამსის" გუნდია. მის პილოტებს, კოლუმბიელ ხუან-პაბლო მონტოიასა და გერმანელ რალფ შუმახერს ჩემპიონობის ამბიციაც აქვთ და შნოც. კოლუმბიელს განზრახული აქვს, გაისად "მაკლარენში" ჩემპიონის რანგში გადაბარგდეს. მონტოიასგან განსხვავებით, გერმანელს აუცილებლად გამარჯვება სჭირდება რათა "უილიამსში" დარჩეს თუ დატოვონ.

BMW-Motorsport-ის ყოფილი დირექტორი გერჰარდ ბერგერი კი, ყველაფრის გათვალისწინებით, მოუთმენლად ელის ახალი სეზონის დაწყებას, რათა "უილიამსის" შიდა დუელი იხილოს: "2004 წელს "BMW-უილიამსის" მანქანა უძლიერესი იქნება. რალფიც ბევრად გაიზარდა და თუ სრული სეზონის განმავლობაში სტაბილურად ასპარეზობას შეძლებს, მაშინ შესაძლებელია, ჩემპიონადაც მოგვევლინოს...

ტიტულის დაუფლება ხუან-პაბლოსაც შეუძლია, მაგრამ უნდა გაითვალისწინოს, რომ რალფის დაუფასებლობა არ იქნება. ჯერჯერობით ძნელია იმის თქმა, თუ რას მოგვცემს მათი ორთაბრძოლა. ერთი რამ ცხადია: ეს უშელავათო დუელი იქნება".

საინტერესოა თავად მონტოიას შეფასებაც, ოღონდ არა თანაგუნდელზე, არამედ რალფის ძმაზე – მიხაელ შუმახერზე, 2004 წლის მსოფლიო ჩემპიონატის კიდევ ერთ გამოკვეთილ ფავორიტზე.

ჩემპიონატის სტარტამდე ორ კვირაზე ცოტა მეტი რჩება და სულ უფრო ხშირად გაისმის კითხვა, თუ ვინ გახდება წლეულს ჩემპიონი. მონტოიას აზრით, "ფერარის" გერმანელ პილოტს უნდა გაუჭირდეს ტიტულის შენარჩუნება.

"ალბათ, ასეც იქნება. იგივე შეიძლებოდა შარშანაც მომხდარიყო, "ფერარი" ბოლო რბოლებში ძლიერად რომ არ გამოსულიყო, - მიაჩნია კოლუმბიელს. – ამ სეზონში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საბურავები. აშკარაა, "მიშელინი" სულ უფრო ძლიერდება. თუმცა, მნიშვნელოვანი იქნება საიმედოობაც – ძრავებმა მთელ საუიკენდო რბოლებს უნდა გაუძლოს...

ჩვენ კი... ჩვენ სწორ გზაზე ვდგავართ. წინა სეზონებისგან განსხვავებით, ახალი სეზონისთვის ბევრად უკეთ მოვემზადეთ. თუ ბარსელონის ტესტებს გადახედავთ, შეამჩნევთ, რომ "ბრიჯსტოუნის" საბურავები არცთუ კონკურენტუნარიანი ჩანს.

შესაძლოა, შუმახერზე წინ ავიღოთ სტარტი და მეტი ქულებიც დავაგროვოთ. შარშან მიხაელი კარგ მდგომარეობაში იყო, რადგან ყველაზე სწრაფი მანქანა ჰყავდა. ამის გამო მან არაერთი კვალიფიკაცია მოიგო და გაიმარჯვა კიდეც. და მაინც, წლიდან წლამდე ბევრად რთულდება ბრძოლა".

TV–სპორტი

ორშაბათი 23 თებერვალი.

HTB + ФУТБОЛ

08:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 2000. აღმოსავლეთ კონფერენციის ნახევარფინალი. "NEW YORK KNICKS" - "MIAMI HEAT". მე-6 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
01:25 01:25-დან 04:00 შესვენება
04:00 NBA TV. ყველაფერი კალათბურთის შესახებ
04:30 NBA TV. დღიური
05:00 NBA TV. "MEMPHIS GRIZZLIES" - "DENVER NUGGETS". პირდაპირი ტრანსლაცია

HTB + СПОРТ

11:00, 14:15, 17:00, 19:45 პრესცენტრი
11:15, 20:15 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 ჭადრაკი. ლინარესის სუპერ-ტურნირი
12:15 ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი ჰოლანდიაში. ფინალი
14:30 მძლეოსნობა. გრან-პრი საბერძნეთში
17:15 ავტოსპორტი. "ყველა ვარსკვლავთა" რბოლა. შესვენებისას (18:15) - "NHL - პლუს"
19:30 "რკინის ფაქტორი". ოლიმპია-2003-ის საუკეთესო მომენტები
20:20 სახვალიო ტელეპროგრამა
20:30 სპორტული ცეკვები. ევროპის ჩემპიონატი. ევროპული პროგრამა
21:30 "ორშაბათამდე მივატანთ"
22:00 დიდი რინგი. პროგრამა პროფესიულ კრივზე
00:00 "NHL - პლუს"
00:15 ჭადრაკი. ლინარესის სუპერ-ტურნირი
00:55 ბრძოლა წესების გარეშე - "Ultimate Fighting Championship". შესვენებისას (01:25) – ახალი ამბები

EUROSPORT

11:30 სნოუბორდი. მსოფლიო ჩემპიონატი ავსტრიაში
12:00 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასი შვედეთში
13:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი ბელგიაში
14:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი სლოვენიაში
15:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი სლოვენიაში
16:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა – სუპერ 16
16:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა – სუპერ 16
17:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა – სუპერ 16
18:45 მძლეოსნობა. საერთაშორისო შეჯიბრება დიდი ბრიტანეთში
19:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი სლოვენიაში
21:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა – სუპერ 16
21:30 ფეხბურთი. ევროგოლები
22:30 მულტისპორტი
23:00 სუმო. გრანდ ტურნირი (ბაშო) იაპონიაში
00:00 სუმო. გრანდ ტურნირი (ბაშო) იაპონიაში
01:00 მულტისპორტი
01:15 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის ბედნიერი საათი
02:15 ფეხბურთი. ევროგოლები
03:15 ახალი ამბები
03:30 მულტისპორტი. კვირის სტუმარი
03:45 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი იტალიაში
04:15 ახალი ამბები

რაგბი

მოულოდნელი შედეგი თუ ქართული რაგბის დღევანდელი მდგომარეობა

პაატა თოთაძე

ევროპის ერთა თასი

ესპანეთი – საქართველო 6:6

ესპანეთი: *სალასარი, მონრეალი (სარსოსა), სერანო (კაბაიერო), დავილა, ლოპესი (ლოპატეგი), კრიადო, კამაჩო, მატა, ბელტრანი, მარტინესი (კოვალენკო), პარდო, მარტინი, კანოსა, გარსია, ბელასკო*

2 საჯარიმო – *მარტინესი, კოვალენკო*

საქართველო: *ხინჩაგიშვილი, დადუნაშვილი, გასვიანი, გორგოძე, ზედგენიძე, მაისურაძე, უჩავა, უდესიანი, მოდებაძე (სამხარაძე), გუგავა (ხეხელაშვილი), ალანია (ანდღულაძე), ზიბზიბაძე, კაცაძე, ბარკალაია*

2 საჯარიმო - *კვინიხიძე*

თავი დავკარგეთ? თუ თამაში დაგვავიწყდა?

სატურნირო მდგომარეობა ორი სეზონის ჯამში

1.	**რუმინეთი**	7	6	0	1	221:62	19
2.	**პორტუგალია**	7	6	0	1	178:135	19
3.	**საქართველო**	7	3	1	3	143-113	14
4.	**რუსეთი**	6	2	0	4	144:123	10
5.	**ჩეხეთი**	6	2	0	4	88:221	10
6.	**ესპანეთი**	7	0	1	6	94:234	8

პროგრამა მინიმუმი შესრულებულია – საქართველოს ნაკრებს ერთა თასის A ჯგუფიდან გავარდნა არ ემუქრება. ასე მოხდა, ქართული რაგბის ბოლოდროინდელი წარმატებების შემდეგ ამგვარ თემაზე გვიხდება საუბარი. ერთა თასის მომგები და მსოფლიო ჩემპიონატზე ნათამაშები გუნდი ზედიზედ ორი მატჩია, ვერ იგებს. იმასაც ხომ აქვს მნიშვნელობა, ვისთან – ესპანეთს რუსეთმა გასულ კვირას 36:6 მოუგო, ხოლო წინა კვირას ჩვენი მომგები პორტუგალია იმავე ანგარიშით რუმინეთმა დაამარცხა, გუშინწინ და ყველას დაუმტკიცა, რომ მისი შარშანდელი მარცხი პორტუგალიაში შემთხვევითი, მოულოდნელი და ალოგიკური იყო. სხვათა შორის, იმავე ესპანეთს შარშან ბორჯღალოსნებმა 34:3 მოუგეს. მაშ რა მოხდა წლეულს? გუნდის გადახალისება, გაახალგაზრდავება მიმდინარეობს და ამიტომაც ამ პერიოდში, შესაძლოა, ცუდი შედეგები გვქონდესო, ადრე ითქვა. ვერაა დამაჯერებელი არგუმენტი. თაობათა ცვლა და გუნდის გადახალისება, ადრე თუ გვიან, ყველა გუნდში ხდება, მაგრამ არა ერთბაშად, არამედ ნელ-ნელა, ეტაპობრივად. ამასთან, თუ ეს პროცესი ნორმალურად ვითარდება, შედეგები უარესდება თანაბარძალოვან გუნდებთან და არა სუსტებთან პაექრობისას. შესაძლოა, მავანი არ დაგვეთანხმოს – თუ გვამარცხებენ, რაღა სუსტები არიანო. სამწუხაროდ, იმიტომ გვიგებენ, რომ ჩვენც დავსუსტდით, ანუ საქართველოს ნაკრებმა რეგრესი განიცადა. არგუმენტები საიმისოდ, თუ რატომ ითამაშა ნაკრებმა ამგვარად, არაერთი მოიძებნება – გამოუცდელობა, ცოტა უიღბლობა და კიდევ სხვა, მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ მეტოქეც გამოუცდელი იყო – 11 ესპანელს ხომ აქამდე ნაკრებში არ უთამაშია!

ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ წაგებას გადავურჩით, ანუ შეიძლება ითქვას, რომ იღბალი სწორედ ჩვენ გვწყალობდა. მართალია, მატჩში იყო ათწუთიანი მონაკვეთი, როცა ქართველები მეტოქის ლელოს მიუახლოვდნენ და კარგა ხანს ესპანელთა 22-შიც იტრიალეს, მაგრამ ეს იყო და ეს – მეტოქის კარგი დაცვის თუ ჩვენი ცუდი შეტევის ბრალი იყო, ლელო ვერ გავიტანეთ. ჩვენს ორ ჯარიმას კი ესპანელებმა ხუთით უპასუხეს, მაგრამ, ბედად, სამი ააცილეს.

პირველი მატჩის მსგავსად, ვერაფერით გამოირჩა ბობა კვინიხიძე, რამდენჯერმე აუტში ვერ გადააგდო ბურთი. ვერ იყოჩაღა ვერც კახა ალანიამ, რომელიც შემდეგ ნონო ანდღულაძემ შეცვალა. ალანიას ადგილი ვასილ კაცაძემ დაიკავა, ანდღულაძემ კი გარემარბის პოზიცია დაიკავა. შესვენების შემდეგ ნაკრებში გამოჩნდა ბადრი ხეხელაშვილიც, რომელმაც ლექსო გუგავა შეცვალა, მაგრამ... მოკლედ, გუშინ ვერც ერთმა ქართველმა ვერ ივარგა.

პირველ ტაიმში მასპინძლები საგრძნობ უპირატესობას ფლობდნენ. ჩვენების ცუდ თამაშთან ერთად ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ქართველები ქარის საწინააღმდეგოდ თამაშობდნენ. პირველ ტაიმში ესპანელთა ნახევარმცველმა მარტინესმა ორი საჯარიმო ააცილა. ანგარიში კი მისი მესამე ცდიდან გაიხსნა. ამ დროს ქართველები რიცხობრივ უმცირესობაში იყვნენ – იტალიელმა არბიტრმა დადუნაშვილი 10 წუთით გააძევა მოედნიდან.

შესვენების შემდეგ მარტინესის ადგილი წარმოშობით უკრაინელმა ანდრეი კოვალენკომ დაიჭირა, თუმცა, მთლად კარგად ვერც მან ურტყა კარისკენ – ორიდან ერთი საჯარიმო გაიტანა, ერთი კი, ესპანელთა თქმით, ძელს მოარტყა, თანაც, მატჩის ბოლოს, როცა მეტოქე ჩვენი ლელოს სიახლოვეს ტრიალებდა, ანგარიში კი 6:6 იყო.

რაც შეეხება ჩვენი ჯგუფის სხვა მატჩებს, რუმინელებსა და პორტუგალიელებზე უკვე ვთქვით, რუსეთ-ჩეხეთის შეხვედრა კი უამინდობის გამო გადაიდო.

შარშანდელი არ გაგვიმეორდესო და, რუმინელთა მწვრთნელმა პორტუგალიის წინააღმდეგ სათამაშოდ 11 ლეგიონერს უხმო. მათაც თავი არ შეირცხვინეს, მაგრამ რუმინელთა სათამაშო უპირატესობა იმდენად დიდი ყოფილა, იქაური რაგბის კავშირის საიტზე არაერთს ათქმევინა, მხოლოდ ადგილობრივებითაც გავიდოდით ფონსო.

გასულ კვირას ესპანელთა სტუმრობის შემდეგ კრასნოდარში გამუდმებით თოვს. ჰოდა, სტადიონის პერსონალმა ვერაფერით ვერ მოახერხა მოედნის მომზადება, გაყინულ და დათოვლილ მინდორზე თამაში კი მორაგბეებმა და მატჩის კომისარმა შეუძლებლად მიიჩნიეს. ჯერჯერობით არაა დაზუსტებული, თუ როდისთვის გადაიდო მატჩი, თუმცა, ერთა თასის კალენდრიდან გამომდინარე, აპრილამდე ვერაფერით ვერ გაიმართება.

დარჩენილი მატჩები

6 მარტი
საქართველო – რუსეთი
რუმინეთი – ესპანეთი
ჩეხეთი – პორტუგალია

20 მარტი
საქართველო – ჩეხეთი
რუსეთი – რუმინეთი
ესპანეთი – პორტუგალია

27 მარტი
რუმინეთი – საქართველო
პორტუგალია – რუსეთი
ჩეხეთი – ესპანეთი

კალათბურთი

ძველი ფავორიტები ახლებმა შეცვალეს

სანდრო ნავერიანი

ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია, როგორც ჩანს, "ALL STAR"-ის შემდეგ გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. სპეციალისტები ხუთი თვის შემდეგ პირველად ალაპარაკდნენ ფავორიტებზე და აუტსაიდერებზე. მას შემდეგ, რაც ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რეგულარული ჩემპიონატი დაიწყო, ხუთი თვე გავიდა და სწორედ ახლა გამოჩნდნენ ის გუნდები, რომლებსაც შეუძლიათ, ჩემპიონის ბეჭდები მოირგონ.

დღეს ასოციაციის საუკეთესო გუნდები არიან "მინესოტა თიმბერვულვზი" და "ინდიანა პეისერზი". ამ გუნდებმა ჩატარებული 55 მატჩიდან 40 მოიგეს. "თიმბერვულვზსა" და "პეისერზს" კვალდაკვალ მიჰყვება "საკრამენტო ქინგზი", რომელსაც 53 მატჩიდან 39 მოგება აქვს.

სეზონის დასაწყისში მთავარ ფავორიტებად "დალას მავერიქსი", "სან-ანტონიო სფურზი", "ნიუ-ჯერსი ნეთსი" და, რაღა თქმა უნდა, "ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" მოიაზრებოდნენ, მაგრამ დღევანდელ ფავორიტთა სამეულში ზემოთ ჩამოთვლილი არც ერთი გუნდი არ ჩანს.

"მინესოტა თიმბერვულვზმა", როგორც იქნა, მის შესაძლო გაჩემპიონობაზე სპეციალისტები აალაპარაკა. კევინ გარნეტი, სემ კასელი და ლატრელ სპრიუელი დიდი ძალაა. მათ იმდენს მიაღწიეს, რომ ლიგაში საუკეთესო სამეულად თვლიან. "მე მზად ვარ, ათი წლის სიცოცხლე დავტოვო მოედანზე, ოღონდ ჩემპიონები გავხდეთ", - განაცხადა კევინ გარნეტმა.

"ინდიანა პეისერზის" უბერებელი ლიდერი რეჯი მილერი, ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესოა წლევანდელ სეზონში და არაფრის დათმობას არ აპირებს. რეჯისთან ერთად ჯერმაინ ო`ნილიც ოპტიმისტურად არის განწყობილი. ის აცხადებს, რომ მისი გუნდი მზად არის ჩემპიონის ბეჭდების მოსარგებად - "ინდიანა პეისერზი" ხომ

კევინ გარნეტი და "მინესოტა" ჩემპიონობას უმიზნებენ

საუკეთესო გუნდია მსოფლიოში! ასე ფიქრობს ჯერმაინი, მაგრამ რამდენად მართალია, ამას მხოლოდ დრო გვიჩვენებს.

"საკრამენტო ქინგზი" კი შარშანდელი შეცდომების გამეორებას არ აპირებს და, პეჟა სტოიაკოვიჩის იმედად დარჩენილი, ჩემპიონობისკენ ილტვის. თავად პეჟა სტოიაკოვიჩს ლიგის ყველაზე "სასარგებლო მოთამაშის" სახელი "ემუქრება". ვეტერანი ვლადი დივაციც სასურველ ფორმაშია. აღარაფერს ვამბობთ კრის ვებერსა და მაიკ ბიბიზე – ისინი დღითიდღე აუმჯობესებენ თამაშის ხარისხს.

ასე რომ, ამ სამ გუნდს ჩემპიონობის ყველაზე დიდი შანსი აქვს, მაგრამ ისე როდი ხდება, როგორც ვიწინასწარმეტყველებთ. კალიფორნიელი ლეიკერები არაფრის დათმობას არ აპირებენ და უახლოეს მატჩში, რომელსაც "მინესოტას" წინააღმდეგ გამართავენ, იმის დამტკიცებას აპირებენ, თუ რაოდენ დიადი გუნდია "ლოს-ანჯელეს ლეიკერსი".

გუშინ ღამით გაიმართა რამდენიმე მატჩი, რომლის შედეგებსაც ქვევით შემოგთავაზებთ. ნიკოლოზ ცქიტიშვილის "დენვერ ნაგეთსი" "მაიამი ჰიტთან" გასვლით შეხვედრაში დამარცხდა. "სკიდამ" სამი წუთი დაყო მოედანზე და გუნდს ვერაფრით დაეხმარა. ვლადიმერ სტეფანიას "ტრეი ბლეიზერსმა" საკუთარ მოედანზე ოდესღაც უძლიერესი "ბოსტონ სელტიქსი" მიიღო და დაამარცხა კიდეც, მაგრამ ამ გამარჯვებაში სტეფანიას მონაწილეობა არ მიუღია.

ნიუ-ჯერსი - ნიუ-ორლეანი	**97:84**
ჩიკაგო - მემფისი	**98:105**
დალასი - ჰიუსტონი	**97:88**
გოლდენ სთეითი - სიეტლი	**94:92**
მაიამი - დენვერი	**97:81**
მილუოკი - კლიპერსი	**103:105**
პორტლენდი - ბოსტონი	**105:84**

ინფოთეკა

ფეხბურთი. შაბათს ბუნდესლიგის მორიგი ტურის შეხვედრაში მიუნხენის "ბაიერნსა" და "ჰამბურგს" შორის ბავარიელთა შემადგენლობაში არ ჩანდა გუნდის საუკეთესო მეკარე ოლივერ კანი. კანს ტრავმა აწუხებს. მისი თქმით, ზურგის ტკივილის გამო, რომელიც ფეხბურთელს დიდი ხანია სტანჯავს, შეიძლება გამოტოვოს ჩემპიონთა ლიგის მატჩი მადრიდის "რეალის" წინააღმდეგ. "იმედი მაქვს, ჩემი შანსი, მონაწილეობა მივიღო ამ მატჩში, საკმაოდ დიდია. თუმცა, ახლა დარწმუნებით რაიმეს თქმა ძნელია", - განაცხადა ოლივერ კანმა.

■ ■ ■

ფეხბურთი. ლონდონის "არსენალის" მეკარე იენს ლემანმა ოლივერ კანს ბოდიში მოუხადა. ლემანმა კანი დაადანაშაულა იმაში, რომ ის მზად არ არის, ევროპის ჩემპიონატზე ბუნდესნაკრების კარი დაიცვას, რადგან ის ერთ-ერთი გოგონასგან ბავშვს ელოდება. "მე აზრადაც არ მომსვლია, მის ცხოვრებაში ჩავრეულიყავი, - თქვა ლემანმა, - მესმის, რომ ჩემს სიტყვებს ინტერპრეტაცია გაუკეთეს, როგორც მორალის კითხვა, მაგრამ ეს ასე არ არის. ჩემი სიტყვებისთვის კანს უნდა მოვუბოდიშო". ლემანმა ისიც აღიარა, რომ ძალიან უნდა, გერმანიის ნაკრებში პირველობა მოიპოვოს. "სამი დიდი ტურნირის განმავლობაში მე კანის დუბლიორი ვიყავი, მაგრამ ამისგან პრობლემა არასდროს შემიქმნია. ნაკრებში ყოველთვის სიამოვნებით მოვდიოდი. თუ ევროპის ჩემპიონატზე სათამაშოდ გამომიძახებენ, სიამოვნებით წავალ, მეორე მეკარედაც კი", - ამბობს ლემანი.

■ ■ ■

ფეხბურთი. როგორც ჩანს, რომაელებს ყელში ამოუვიდათ გაუთავებელი საუბარი იმის თაობაზე, რომ მათ საყვარელ კლუბ "რომას" რუსი ოლიგარქები ყიდულობენ. "რომამ" ოფიციალურად უარყო ხმები, რომ რუსულ კომპანია "ნეფტა-მოსკვასთან" მოლაპარაკებას აწარმოებს. კლუბის განცხადებაში ნათქვამია, რომ გუნდის შეძენასთან დაკავშირებით არავითარი წინადადებები არ ყოფილა და, შესაბამისად, მოლაპარაკებაც არავისთან გამართულა.

■ ■ ■

ფეხბურთი. ლონდონის "არსენალის" კაპიტანმა პატრიკ ვიეირამ შეიძლება გამოტოვოს ჩემპიონთა ლიგის მატჩი ესპანური "სელტას" წინააღმდეგ. შაბათს, "ჩელსისთან" მატჩში, ვიეირამ სწორედ ის მუხლი დაიზიანა, რომლის გამოც პრემიერლიგის ბოლო ჩემპიონატის დარჩენილი ნაწილი გამოტოვა. "ჯერჯერობით ფრანგს მუხლზე ყინული ადევს. სამწუხაროა, მაგრამ ვიეირას ძველი ტრავმის რეციდივი აქვს. საბოლოო ვერდიქტს მე ვერ გამოვიტან, რადგან ექიმებმა დილით მას მუხლი უნდა შეუმოწმონ", - "ჩელსისთან" შეხვედრის შემდეგ განაცხადა "არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა.

■ ■ ■

კრივი. მეორე ქვესაშუალო წონაში WBA-ის ყოფილი ჩემპიონი ენდრიუ ლუისი ჯორჯთაუნის პოლიციამ დააპატიმრა. ლუისმა ძალის დემონსტრირება სცადა. პოლიციამ მოკრივე მას შემდეგ დააკავა, რაც ის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე ცეცხლსასროლ იარაღს იყენებდა. ამ საქმესთან დაკავშირებით სასამართლო მოსმენა 15 მარტს გაიმართება.

■ ■ ■

მძლეოსნობა. ბირმინგემში ეთიოპიელმა კენენისა ბეკელემ დახურული დარბაზისთვის ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა - მან 5 კილომეტრი 12 წუთსა და 46,60 წამში გაირბინა. წინა რეკორდი ბეკელეს თანამემამულეს, ჰაილე გებრესელასიეს ეკუთვნოდა. აღსანიშნავია, რომ გებრესელასიემაც თავისი რეკორდი 1999 წელს ბირმინგემში დაამყარა. ბეკელემ გამარჯვებისთვის 30 ათასი დოლარი მიიღო.

■ ■ ■

ჭადრაკი. ლინარესში მიმდინარე მე-20 კატეგორიის საერთაშორისო ტურნირზე კვლავ ვერ გაიმარჯვეს გარი კასპაროვმა და ვლადიმირ კრამნიკმა. ამჯერად კასპაროვი უნგრელ პეტერ ლეკოს დაუზავდა, ხოლო კრამნიკი - ახალგაზრდა აზერბაიჯანელ ტეიმურ რაჯაბოვს, რომელიც ლინარესში წარმატებით ასპარეზობს. ყაიმით დასრულდა აგრეთვე ესპანელ ალექსეი შიროვისა და ბულგარელ ვესელინ ტოპალოვის პარტიაც.

■ ■ ■

ბიატლონი. მინსკში მიმდინარე ბიატლონისტთა ევროპის ჩემპიონატზე გაიმართა ქალთა ინდივიდუალური რბოლა 15 კილომეტრზე. გაიმარჯვა ბულგარელმა ეკატერინა დაფოვსკამ, რომელმაც სროლის დროს ორი შეცდომა დაუშვა. მეორე ადგილზე, ასევე ორი შეცდომის შემდეგ, ბელორუსი ალიონა ზუბრილოვა გავიდა. ბრინჯაოს მედალი დაფოვსკას თანამემამულეს, პავლინა ფილიპოვას ერგო.

■ ■ ■

ფორმულა 1. ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ გაჩნდა პირველი ხმები, რომ "რენომ" და ესპანურმა კონცერნმა "ტელეფონიკამ" თანამშრომლობა დაიწყეს. პარასკევს ოფიციალურად გაცხადდა იმის შესახებ, რომ "ტელეფონიკა" მხარს დაუჭერს იმ გუნდს, რომელშიც ესპანელი პილოტი ფერნანდო ალონსო ასპარეზობს. როგორც ესპანური გაზეთი "ელ მუნდო" იუწყება, "ტელეფონიკა" "რენოს" სპონსორი კი არა, არამედ კრედიტორია და ისიც იმ დრომდე, სანამ ფრანგული გუნდის საჭესთან ესპანელი ფერნანდო ალონსო ზის. შეთანხმების მიხედვით, "ტელეფონიკა" "რენოს" 9 მილიონ ევროს გამოუყოფს. მომავალ სეზონში ფერნანდო ალონსო 1,6 მილიონ ევროს მიიღებს.

"საოჯახო ლოტო"-ს 21 თებერვლის №47 გათამაშების ცხრილი

ბილეთის N	მოგებული თანხა
000032	3,0
000051	3,0
000055	1,5
000058	2,0
000073	1,0
000105	1,5
000111	7,0
000144	1,0
000145	1,0
000161	1,5
000169	1,5
000199	1,0
000209	1,5
000213	3,5
000237	1,0
000302	1,5
000305	2,5
000306	2,0
000378	1,0
000387	2,0
000394	2,0
000403	2,5
000404	2,5
000420	2,0
000422	1,5
000442	1,5
000458	1,5
000476	2,0
000538	2,0
000573	2,0
000580	1,0
000597	2,5
000604	2,0
000663	1,5
000691	1,0
000699	1,5
000709	2,0
000740	7,0
000766	1,5
000777	1,5
000784	1,5
000789	10,0
000796	7,0
000806	2,5
000857	2,0
000861	2,0
000864	1,0
000883	1,0
000884	3,0
000887	1,0
000911	1,0
000913	2,5
000933	1,0
000953	1,5
000996	3,0
001009	1,0
001028	4,5
001037	6,0
001039	4,5
001064	4,0
001084	2,5
001094	2,0
001095	1,0
001145	2,0
001167	1,0
001170	1,5
001184	3,0
001202	4,5
001265	2,0
001269	1,0
001292	3,0
001310	2,0
001345	1,5
001356	1,0
001363	1,5
001401	1,0
001404	1,0
001411	6,0
001437	1,0
001446	1,0
001462	4,0
001468	4,0
001469	2,0
001482	3,0
001532	2,0
001553	6,0
001556	2,0
001600	1,0
001617	2,0
001648	1,0
001667	4,0
001677	1,5
001694	1,0
001696	2,5
001698	4,5
001727	1,0
001740	2,5
001755	6,0
001771	1,0
001791	1,0
001793	4,5
001847	3,0
001851	2,5
001857	2,0
001859	1,0
001888	3,5
001890	2,0
001899	3,5
001906	1,0
001918	1,0
001958	2,0
001972	1,0
001977	2,0
002017	1,5
002059	1,5
002075	1,5
002162	4,0
002171	1,5
002181	1,0
002184	1,0
002188	2,0
002199	2,0
002226	2,0
002255	3,5
002280	8,0
002285	7,0
002287	7,0
002302	1,0
002306	1,0
002308	1,0
002311	1,0
002330	1,0
002334	2,0
002353	3,5
002372	3,0
002377	2,0
002385	1,0
002394	3,0
002405	4,0
002409	2,0
002416	3,5
002456	1,5
002496	1,5
002537	25,0
002585	1,0
002594	1,5
002603	9,0
002608	1,5
002626	10,0
002627	2,5
002643	9,0
002678	2,5
002723	5,0
002739	2,0
002758	2,5
002777	2,0
002830	2,0
002834	6,0
002840	1,5
002850	1,0
002874	1,5
002881	1,5
002885	12,5
002890	2,0
002913	1,0
002931	10,0
002940	1,5
002943	1,5
002951	2,0
002964	1,0
002976	9,0
003022	1,0
003043	1,5
003049	2,0
003053	1,0
003054	1,0
003059	1,0
003060	1,5
003075	2,0
003099	2,0
003104	1,5
003105	1,0
003119	6,0
003145	2,0
003159	1,5

ბილეთის N	მოგებული თანხა
003171	1,0
003193	1,0
003206	5,0
003231	3,0
003243	1,5
003262	4,0
003281	1,5
003285	1,5
003378	1,0
003385	1,0
003419	1,0
003444	1,0
003477	1,0
003484	2,0
003519	2,0
003523	4,5
003550	2,0
003553	2,5
003560	2,0
003586	1,5
003589	1,5
003595	1,5
003598	1,5
003626	1,5
003641	4,0
003660	4,0
003664	1,5
003675	2,0
003690	1,5
003696	4,0
003697	1,0
003699	1,5
003703	1,0
003752	3,5
003754	1,0
003761	1,5
003791	5,0
003835	1,0
003865	1,5
003901	1,0
003909	2,0
003916	2,0
003920	1,5
003941	2,0
003947	4,0
003964	3,5
003988	1,0
004000	1,0
004003	1,5
004043	2,0
004129	3,5
004181	4,0
004194	2,0
004197	3,5
004224	4,0
004235	1,5
004266	1,5
004297	1,5
004301	7,0
004329	3,5
004352	2,0
004371	2,0
004374	2,0
004393	1,0
004403	1,5
004405	2,0
004419	2,5
004422	2,0
004435	1,5
004445	1,5
004483	1,5
004503	1,5
004512	1,0
004523	9,0
004550	1,0
004558	1,5
004574	1,5
004595	1,0
004608	1,5
004624	1,5
004644	1,0
004651	3,5
004653	2,5
004659	1,0
004676	1,5
004681	1,0
004685	3,0
004707	2,0
004712	1,0
004721	1,0
004726	1,5
004745	1,5
004764	25,0
004767	3,5
004809	4,5
004828	1,0
004841	4,5
004862	1,5
004878	2,5
004934	1,5
004936	2,5
004970	1,5
004979	30,0
004986	1,5
004987	2,0
005011	2,0
005023	3,0
005039	1,0
005049	3,0
005063	2,0
005069	4,0
005109	2,0
005112	5,0
005131	1,5
005133	4,5
005146	2,0
005171	2,0
005195	3,0
005238	1,5
005243	1,5
005260	3,5
005292	2,5
005296	1,0
005319	1,5
005325	2,0
005346	2,0
005368	1,0
005379	4,5
005380	1,5
005383	1,5
005396	4,0
005398	2,0
005403	2,0
005414	1,5
005420	15,0
005424	1,5
005428	1,5
005466	4,0
005469	3,5
005476	1,5
005490	1,5
005491	1,0
005528	2,0
005537	2,5
005555	2,0
005556	2,0
005600	3,0
005609	1,0
005626	1,0
005643	2,0
005696	9,0
005699	5,0
005700	4,0
005763	4,0
005797	9,0
005823	1,5
005851	1,0
005867	2,0
005887	2,0
005897	1,5
005900	1,5
005901	3,0
005904	3,0
005911	1,5
005916	2,0
005920	2,0
005923	1,0
005924	1,0
005933	1,0
005950	2,0
005951	1,0
005955	1,0
005973	1,0
005978	1,5
005980	1,0
005986	1,0
005989	2,0
006019	2,0
006030	1,5
006034	1,5
006051	1,0
006064	1,5
006067	2,0
006070	2,0
006074	1,0

ბილეთის N	მოგებული თანხა
006089	1,5
006094	1,5
006121	1,5
006131	4,5
006147	1,5
006159	2,0
006170	1,0
006171	2,0
006177	1,0
006189	2,0
006211	4,5
006220	2,0
006221	4,5
006235	1,5
006238	6,0
006242	1,5
006244	1,5
006265	3,0
006280	1,0
006306	1,5
006320	1,0
006346	7,0
006362	3,0
006400	1,5
006436	1,0
006439	2,0
006442	1,0
006486	2,5
006513	1,5
006525	2,0
006541	1,5
006569	2,0
006583	2,0
006586	1,5
006597	6,0
006609	2,0
006626	1,0
006639	1,5
006677	2,0
006683	2,0
006690	3,0
006741	2,0
006759	3,0
006771	1,5
006853	2,5
006876	1,5
006880	2,0
006887	2,5
006932	1,5
006943	1,5
006947	1,0
007039	1,0
007060	2,0
007090	1,0
007094	2,0
007114	2,0
007118	9,0
007122	1,0
007140	1,5
007148	5,0
007162	1,0
007164	1,5
007195	1,0
007238	3,0
007246	7,0
007259	1,0
007261	3,5
007264	1,0
007292	1,5
007309	3,0
007323	1,5
007333	2,0
007338	1,5
007346	2,0
007357	6,0
007359	1,5
007530	2,0
007540	2,0
007543	2,0
007547	12,5
007557	8,0
007570	1,0
007576	1,5
007583	2,0
007593	1,5
007610	2,0
007616	1,0
007671	1,5
007677	1,0
007679	2,0
007684	2,0
007689	1,0
007733	7,0
007760	1,0
007766	2,0
007776	1,5
007784	1,5
007809	1,5
007821	4,0
007831	1,5
007833	1,5
007842	3,5
007860	1,5
007880	3,0
007889	1,0
007904	1,5
007918	1,0
007941	1,5
007952	1,0
007957	1,5
007983	4,0
007989	7,0
008010	1,5
008073	3,0
008088	1,0
008096	1,5
008104	1,5
008119	1,5
008143	1,0
008163	3,5
008179	2,0
008215	1,5
008229	4,5
008247	1,5
008267	2,5
008268	1,0
008271	1,0
008275	1,5
008277	2,5
008281	1,0
008284	2,0
008291	2,0
008300	1,0
008305	1,5
008307	3,0
008320	1,0
008324	2,5
008338	1,0
008341	1,5
008351	1,0
008360	1,0
008367	2,0
008382	2,0
008403	2,0
008444	1,0
008450	2,0
008477	2,5
008521	1,5
008531	2,5
008542	2,5
008548	2,5
008553	1,5
008571	2,0
008588	3,0
008597	3,0
008599	1,5
008620	1,0
008627	9,0
008629	1,0
008634	1,5
008641	2,5
008647	1,5
008648	2,5
008680	1,5
008706	2,5
008713	2,0
008714	2,5
008769	2,0
008775	1,0
008781	2,5
008807	1,5
008816	1,0
008821	4,5
008829	2,5
008844	2,5
008859	1,5
008884	2,0
008888	2,0
008947	1,5
008955	2,0
008959	1,0
008997	4,0
009005	2,0
009010	1,5
009011	4,5

ბილეთის N	მოგებული თანხა
009025	1,0
009038	2,0
009046	4,5
009057	1,0
009081	6,0
009094	1,5
009125	1,5
009149	1,5
009152	2,0
009163	1,5
009173	2,0
009183	2,0
009203	1,5
009206	2,0
009210	1,5
009218	1,0
009232	1,0
009238	3,0
009258	1,0
009293	1,0
009317	2,5
009334	2,5
009346	2,0
009349	2,5
009362	1,0
009365	2,0
009370	1,5
009379	2,0
009383	3,5
009385	1,0
009414	2,0
009418	3,0
009456	4,0
009458	2,5
009468	1,5
009476	1,0
009487	1,0
009489	2,5
009494	1,0
009520	1,5
009537	1,0
009548	2,5
009568	2,5
009600	6,0
009603	1,5
009606	1,5
009634	1,5
009635	1,5
009676	2,0
009679	1,5
009715	4,0
009718	1,5
009769	1,5
009770	4,0
009805	1,5
009851	1,0
009853	1,0
009868	7,0
009870	1,5
009901	1,0
009904	1,0
009915	1,5
009919	1,0
009925	3,0
009927	2,5
009951	4,5
009956	2,0
009960	1,0
009966	2,5
009968	2,0
009977	1,0
009982	1,0
009983	4,5
009986	1,0
010010	2,0
010028	3,5
010056	1,0
010078	1,0
010117	6,0
010123	2,0
010129	1,5
010135	2,0
010140	1,0
010150	2,0
010153	2,0
010156	1,5
010163	1,5
010270	1,5
010278	2,0
010279	1,0
010298	1,5
010299	2,0
010350	2,0
010351	3,0
010360	1,5
010362	1,0
010379	2,5
010396	2,0
010399	1,0
010418	4,0
010446	2,0
010449	1,0
010453	1,5
010466	3,0
010470	2,5
010471	1,5
010481	2,0
010493	1,5
010509	3,0
010533	2,0
010553	1,0
010562	1,5
010579	1,5
010584	12,5
010663	2,0
010670	2,0
010675	5,0
010685	1,5
010695	2,0
010716	1,5
010723	2,5
010732	3,0
010740	1,0
010741	1,0
010752	2,0
010803	1,0
010807	2,0
010830	3,0
010832	2,0
010871	1,5
010892	1,5
010899	1,5
010952	1,0
010963	1,5
010976	1,5
011002	2,5
011014	1,0
011033	2,0
011562	1,5
011589	1,0
011604	1,0
011606	1,5
011607	2,0
011619	1,0
011625	5,0
011647	2,5
011651	1,0
011654	2,0
011677	5,0
011696	1,0
011754	1,0
011761	2,0
011769	2,0
011772	2,0
011781	4,5
011783	4,5
011826	2,0
011829	1,5
011844	1,0
011848	2,0
011854	2,0
011877	1,5
011918	1,0
011929	3,0
011941	9,0
011961	2,5
011970	2,0
011999	1,0
012028	1,0
012029	1,5
012054	1,5
012081	1,5
012209	2,0
012251	3,5
012268	1,0
012274	1,5
012282	7,0
012318	1,0
012326	1,5
012328	1,5
012330	2,0
012331	1,5
012367	1,0
012513	2,5
012517	1,5

ბილეთის N	მოგებული თანხა
012538	1,0
012543	7,0
012567	1,0
012577	2,5
012593	4,0
012602	1,0
012614	1,0
012621	1,0
012626	2,0
012630	1,5
012639	1,5
012642	2,0
012647	1,5
012649	3,0
012687	2,5
012689	2,0
012691	1,0
012728	1,5
012729	1,5
012743	2,5
012753	1,0
012761	1,5
012771	1,0
012785	3,0
012792	3,5
012793	15,0
012794	1,5
012798	2,0
012812	1,5
012813	2,0
012818	1,5
012871	2,0
012873	3,5
012893	1,5
012899	1,0
012900	2,0
012930	1,5
012931	1,0
012966	1,0
012971	1,0
